# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 3 ივლისი 2001 №122 (1395) | ფასი 50 თეთრი


# ტრუალებს... ტრუალებს...

...ქართველებმა ვერ ივარგეს საქმეში და თვალი უცხოელისკენ გაიქცა. მით უმეტეს, რომ იტალიელი ჯანი კარნევალის განვრთნილმა „ვიტ ჯორჯიამ" ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპი გაიარა.

ავსტრიული „რიდის" 1:0, 1:2 ძლევა სასიამოვნო ამბად შეფასდა, თორემ ქართველთა თამაშით ვინმე არც მაშინ აღფრთოვანებულა. უბრალოდ, ითქვა, რომ ვიტელთა გამარჯვება სხვების დამარცხებებზე უკეთესია, მაგრამ რა იქნებოდა დღეს, ძნელი სავარაუდო იყო.

შაბათს „ვიტ ჯორჯია" შერცხვა და შეგვარცხვინა; შაბათ-კვირას ასე არავის ნაუგია, როგორც ქართველებს ფრანგულ „ტრუასთან". 6 გოლიც, მით უმეტეს, ერთ კარში, სხვა არცერთ მატჩში გასულა.

საქმეს ვერც იტალიელმა უშველა. მხოლოდ იტალიელობა კარგ მწვრთნელობას, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს.

მაგრამ მთავარი უბედურება ისაა, რომ შინაურით თუ უცხოელით, ქართველით თუ იტალიელით ამ ყველაფერს უკვე აშკარად დაჰკრავს საფეხბურთო პროვინციალიზმის ელფერი, გინდ დედაქალაქის გუნდი იყოს, გინდ, პერიფერიისა.

ჩვენს თვალწინ ერთი და იგივე მოთამაშეები, ერთი და იგივე მწვრთნელები, ერთი და იგივე საფეხბურთო მოღვაწენი და ერთნაირი შედეგები – ნაგებები, უკვე მერამდენე წელია, მოსაბეზრებლად ირევიან.

ქართული ფეხბურთი, პირველ რიგში, ცხადია, საკლუბო, მთლიანად გაპროვინციულდა.

იქამდე, ქართული ფეხბურთის ბორბალიც, კი აღარ ტრიალებს, არამედ ტრუალებს...

იხილეთ მეორე გვერდი

ინტერტოტოს თასი 2001. მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

## ტრუა 6:0 ვიტ ჯორჯია

ტრუა. „აბატი დეშანი". მაყურებელი 5 500. 30 ივნისი. 23 საათი



EPA ოსურნიდან

ვიტჯორჯიელი დავით დიღმელაშვილი (№18) ფრანგ მედი ლერუას ჩაწოდებას უფარებს

# პისტოლ პიტი ვეღარ გაისვრის



REUTERS ოსურნიდან

როჯერ ფედერერი

პიტ სამპრასის ოთხწლიან განუყოფელ ბატონობას „ოლ ინგლენდ კლაბის" ბალახის კორტებზე ბოლო მოეღო. უიმბლდონის შეიდგზის ჩემპიონს თავის საყვარელ ტურნირზე გამარჯვებათა 31-მატჩიანი სერია 19 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა შეაწყვეტინა, რომელმაც შეძლო ის, რაც თავის დროზე ანდრე აგასის, პატრიკ რაფტერს, ბორის ბეკერს და ამერიკელის მიერ აქ დაჩაგრულ სხვადასხვა თაობის არაერთ ვარსკვლავს ვერ მოეხერხებინა. ფედერერმა სამსაათნახევრიან მარათონში 7:6(9:7), 5:7, 6:4, 6:7(2:7), 7:5 იმარჯვა და იქვე, ცენტრალურ კორტზე ცრემლად დაიღვარა. ვინ ისარგებლებს მეფის ტახტიდან ჩამოგდებით, კვირას გავიგებთ, გუშინ კი ქალებმაც და ვაჟებმაც მეოთხედფინალისტთა ვინაობა გაარკვიეს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS ოსურნიდან

პიტ სამპრასი

# შამპანური გასეირნება

## ქართველებს ბუტ-ალი წაეკიდათ

ინტერტოტოს თასი 2001. მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

**estac ტრუა 6:0 ვიტ ჯორჯია**

ოსერი. „აბატ დეშანი". მაყურებელი 5 500. 30 ივნისი. 23 საათი

1:0 მენირი (17) 2:0, 3:0 ბუტალი (30, 40) 4:0 გუსე (47) 5:0 ჯუკიჩი (59) 6:0 ბუტალი (67)

ტრუა: ერტები, მენირი, ლერუა, გუსე (ნეინი 62), სეფი, ბრაჯა, ამედი, როტენი (ტომასი 73), სელესტინი, ბუტალი (გაზი 68), ჯუკიჩი
სათადარიგონი: სეკლი, ზავანო, ზამბერნარდი
მწვრთნელი: ალენ პერენი

ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია (ბეროშვილი 73), არეშიძე (დეიქრიშვილი 46), ქანქოტაძე, ინწკირველი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, ციციანი, დ. დოლიძე (სულთანიშვილი 46), ადამია, მელქაძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი, წუწუნავა, ზ. მეტრეველი
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

მსაჯები: ალონ იეფეტი; შლომო ზონშაინი, იოსეფ ბენიშტი (სამივე ისრაელი); ჟან პოლ შოდრი (საფრანგეთი)

**თბილისის** „ვიტ ჯორჯიამ" „ტრუას" ვერაფერი დააკლო. ქართველებმა 6 გოლი გაუშვეს, რომელთაგან 3 ბუტალის ანგარიშზეა. ეს შედეგი ტრუელთა თავდასხმის კარგად თამაშის დასტურია. იმედია, ჩვენი ფეხბურთელები საფრანგეთის ჩემპიონატშიც ასეთი შედეგიანობით გამოირჩევიან.

უკეთეს ევროპულ დებიუტზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. გამანადგურებელი გამარჯვება ნათელყოფს „ტრუას" მიზანს, რომელსაც ამ მეორეხარისხოვანი შეჯიბრიდან უეფას თასზე გადაბარგება სურს. მატჩამდე გუნდის მთავარი მწვრთნელი ალენ პერენი აცხადებდა, „ინტერტოტო უკვე ევროპააო" და მისმა გუნდმა დაამტკიცა, რომ ამ სიტყვებს სრული სერიოზულობით ეკიდება.

„ბასტიასგან" განსხვავებით, რომელმაც ხორვატიაში 0:1 წააგო, „ტრუამ" მეტოქის კარი ამოავსო. ანგარიში მედი მენირიმ გახსნა მე-16 წუთზე. მან „ტრუას" მაისურით პირველი გოლი კუთხურის შემდეგ მშვენიერი თავურით შეაგდო. თხუთმეტიოდე წუთში სამუელ ბუტალმა თავურითვე გააორმაგა ანგარიში, 41-ე წუთზე კი მან მესამე გოლი გაუტანა ქართველებს მედი ლერუას ზუსტი პასით.

შესვენებაზე სამბურთიანი უპირატესობით გასულ შამპანელებს არც მეორე ტაიმში დაუგდიათ თამაშის ტემპი და გუსემ 48-ე წუთზე მეოთხე გაახარა ქომაგები. ჯუკიჩმა და ბუტალმა კი საერთოდ მიწასთან გაასწორეს თბილისელები.

საქართველოში მოგზაურობა უბრალოდ გასეირნება უნდა გამოდგეს, რადგან სასწაული თუ არ მოხდა, „ტრუა" ინტერტოტოს მესამე წრეში გავა, სადაც დანიურ „ოდენსესა" და შვედურ „აიკს" შორის გამარჯვებულს შეხვდება.

**ბენუა ბიო, ტრუადან საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

| ინტერტოტოს თასი 2001 |
|---|
| მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები. 30 ივნისი და 1 ივლისი |
| INTERTOTO CUP |
| **შტურმი** (ავსტრია) 0:1 **ლოზანა** (შვეიცარია) |
| 0:1 მასუ (64) |
| შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, როხასი, ფერნანდესი, შტრაფნერი, პელდტი (რაინმაიერი 65), ვასტიჩი, კორსოში, პრეგელი, ვეტლი (მიოლიხი 65), პაასი (ტაბიჩი 65) |
| მუჟირი სათადარიგო იყო |
| **ოდენსე** (დანია) 2:2 **აიკ** (შვედეთი) |
| 0:1 ტიერნსტრიომი (16), 0:2 ვანსტრანდ ბიორკი (33), 1:2 ს. ანდერსენი (35), 2:2 პემინგსენი (68) |
| **სინოტი** (ჩეხეთი) 3:2 **უნივერსიტატია** (რუმინეთი) |
| 1:0 ტრუსილი (45), 1:1 კრაჩუნესკუ (51), 2:1 ბლაჰა (65), 3:1 ტრუსილი (68), 3:2 გრიგორე (70) |
| **მიუნხენ 1860** (გერმანია) 3:1 **სარტიდი** (იუგოსლავია) |
| 1:0, 2:0 მაქსი (21, 59), 3:0 რისეტი (65), 3:1 ვასკოვიჩი (66) |
| **მეტალურგსი** (ლატვია) 3:2 **ჰერენვენი** (ჰოლანდია) |
| 0:1 ლურლინგი (6), 1:1 ტატარჩუკი (45), 1:2 ლურლინგი (51), 2:2, 3:2 კატასონოვი (52, 72) |
| **ცელიე** (სლოვენია) 5:0 **პეტრჟალკა** (სლოვაკეთი) |
| 1:0 ბოგატინოვი (13), 2:0 ლუნგუ (30), 3:0 ბოგატინოვი (68), 4:0 გობეცი (84), 5:0 გორენაკი (90) |
| **პარი სენ ჟერმენი** (საფრანგეთი) 3:0 **ჯაზი** (ფინეთი) |
| 1:0, 2:0, 3:0 რობერი (44, 53, 67) |
| **ტილიგული** (მოლდოვა) 1:1 **ტატაბანია** (უნგრეთი) |
| 1:0 პრიგანიუკი (68), 1:1 ტიუშკე (81) |
| **სპარტაკი** (ვარნა, ბულგარეთი) 2:0 **ტავრია** (უკრაინა) |
| 1:0 პეტროვი (10), 2:0 სტანჩევი (68) |
| ტავრია: ველიჩკო, ნაზაროვი, პოლიაკოვი, ოპარინი, მიტროფანოვი, კისლოვი, დონიუშკინი, კრავჩენკო, ვ. გიგიაძე, ტრაპაიძე, ხომენკო |
| ჩომახიძე სათადარიგო იყო |
| **ზაგლებე** (პოლონეთი) 2:2 **ლოკერენი** (ბელგია) |
| 1:0 გჟიბოვსკი (44), 2:0 ჟურავსკი (68), 2:1 დე ბეუ (77), 2:2 კომოტო (86) |
| **ბაზელი** (შვეიცარია) 3:0 **გრინდავიკი** (ისლანდია) |
| 1:0 მარო (4), 2:0 ჩუა (18), 3:0 ტუმი (60) |
| **ჩელიკი** (ბოსნია) 1:0 **გენტი** (ბელგია) |
| 1:0 ტაბაკოვიჩი (30) |
| **დინამო** (მინსკი, ბელარუსი) 2:0 **ჰაპოელი** (ჰაიფა, ისრაელი) |
| 1:0, 2:0 ლეტანოვი (36, 78) |
| **პობედა** (მაკედონია) 2:1 **რიზესპორი** (თურქეთი) |
| 1:0 კრსტევი (28), 1:1 ტანერი (41), 2:1 რისტოვსკი (66) |
| **სლავენი** (ხორვატია) 1:0 **ბასტია** (საფრანგეთი) |
| 1:0 დოდიკი (7) |
| *საპასუხო მატჩები გაიმართება 7-8 ივლისს* |



ვიტელი გიორგი ადამია (№22) და პირველი გოლის გამტანი ტრუელი მედი მენირი

EPA ფოტო

# სად საფრანგეთი, სად ჯორჯია

**ვუფრთხოდით** და, სამწუხაროდ, „ბეითარი" ტკბილ მოგონებად დარჩა. ფრანგულმა „ტრუამ" ჩვენებურ „ვიტ ჯორჯიას" ოსერში შავი დღე აყარა. საპასუხო მატჩი ფორმალობადღა იქცა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ქართული ფეხბურთის სიძაბუნეში. თანამედროვე საფეხბურთო ევროპა მართლაც შორი ყოფილა...

ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი, ფინანსურად წელგამართული, ფეხბურთელებიდან ზოგი ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ზოგიც ეროვნული გუნდის წევრობის კანდიდატი... და მარცხი ექვსი უპასუხო ბურთით საფრანგეთის ჩემპიონატის მეშვიდეადგილოსანთან. ამის შემდეგ ყველაფერს აზრი ეკარგება. უხერხულიც კია მომავალზე საუბარი.

ასეთ დროს წაგების სხვა მიზეზების კვლევა ერთობ უხერხულია. უბრალოდ, ჩემი აზრით, მიზეზი ეს გახლავთ — დაბალი დონე, ჩამორჩენილობა და არასწორი გზით სიარული.

„ტრუას" ვიტელთა კარში ბოლო გოლი 67-ე წუთზე გაუტანია. საკითხავია, ფრანგებს დარჩენილ 23 წუთში რომ მოენდომებინათ, მაშინ რა ანგარიში დაფიქსირდებოდა?! ანაც თამაში ტრუაში რომ ჩატარებულიყო, რა მოხდებოდა? ალბათ, ქართული კლუბებისთვის ევროსარბიელზე მონაწილეობის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო „რეკორდი" დაემხობოდა.

„ვიტ ჯორჯიას" მაინც შეუძლია, მშვიდად იყოს. „რეკორდს" ვერ შესწვდნენ ვიტელები. ფოთის „კოლხეთს" და თბილისურ „ლოკომოტივს" ამაში ვერ შეეცილნენ.

ჯანი კარნევალიმ ხელთ არსებული რეზერვიდან საუკეთესოები აარჩია და შაბათს „ტრუას" დაუპირისპირა, მაგრამ ფრანგი ჟურნალისტების გადმოცემით, იმ „საუკეთესოებს" მეტოქისთვის ფაქტობრივად ერთხელაც ვერ შეუტევიათ.

საუკეთესოებიო კი ვთქვით, მაგრამ გაუგებარია, რატომ იდგა კარში მირზა მერლანი და სად იყო ავსტრიულ „რიდთან" თავგამოჩენილი სერგო ჭურაძე? მას განაცხადშიც ვერ იპოვიდით. იქნებ ტრავმამ შეაწუხა ჭურაძე? არა გვგონია, თამაშის წინა დღეს, უფრო სწორად, საღამოს, ბოლო ვარჯიშის შემდეგ მსგავსი არაფერი შეგვიტყვია.

ან კი ჭურაძე რაღას შეცვლიდა, ფაქტობრივად ვერაფერს, თუმც მისი არყოფნის მიზეზს „ვიტ ჯორჯიას" თბილისში დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ. ვიტელები 5 ივლისს, გამთენიისას, ჩამოვლენ, ორ დღეში კი არაფრისმთქმელი და არაფრისმომცემი საპასუხო მატჩია.

„აბატ დეშანმა" კი ულმობლობა გამოიჩინა ვეტერინარებისადმი, „ვიტ ჯორჯიას" საშინელი რისხვა დაატეხა თავს, „ტრუას" კი ლოცვა-კურთხევა არ მოაკლო.

**მამუკა ქვანტალიანი**

# შენ ისევ აქ ხარ, ლამაზო?

## კახიანი ასიანს შემოზნევს

**თვრამეტთვიანი** პაუზის შემდეგ მსაჯობას დაუბრუნდა თბილისელი იოსებ კახიანი. ჩვენში „ლამაზოდ" ცნობილი არბიტრი მეთერთმეტე მსაჯია უმაღლეს ლიგაში განსჯილი მატჩების რაოდენობით. კახიანს აქამდე 89-ჯერ გაუყვანია უმაღლესი ლიგის გუნდები მოედანზე. მოქმედ არბიტრთაგან მასზე მეტ მატჩში მხოლოდ კვარაცხელიას, მალალურაძეს და შილაკაძეს უმსაჯიათ.

ქართველ თემიდელებს იოსებ კახიანი მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის ბოლოს ჩამოშორდა. მაშინ ოფიციალური მიზეზი არ დასახელებულა — 41 წლის „ლამაზო" თამაზ ლაცაბიძესთან და გურამ ასკაროლლისთან ერთად მოჰყვა შემცირებაში. ისე, ფაქტია, კახიანის საქმე ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩის („ტორპედო" — „ვიტ ჯორჯია") შემდეგ აირია. იმ უგოლო მატჩში მოპოვებულმა ქულამ ვეტერინარებს ვერცხლი მოუტანა, კახიანი კი უმუშევარი დატოვა.

ასეა თუ ისე, კახიანი მსაჯობას დაუბრუნდა, გასულ პარასკევს „ლოკომოტივი" — „გორდას" ამხანაგურ მატჩში იმსაჯა. 5 ივლისს 14 მსაჯთან ერთად ბაკურიანშიც გაემგზავრება მოსამზადებელ შეკრებაზე და 17-18 ივლისს პრაქტიკულ-თეორიული გამოცდებიც თუ ჩააბარა, მეცამეტე ეროვნულ ჩემპიონატში 100-მატჩიან იუბილესაც იზეიმებს.

**ბაატა ქვანტალიანი**



იოსებ კახიანი

# მჟავანაძე მოსკოვის კაცია

## ახალი სატრანსფერო რეისი: ბათუმი — სპარტაკი

**რუსეთის** ჩემპიონი „სპარტაკი" უქართველოდ არ დარჩენილა. წინა კვირაში მოსკოველებმა ოთარ ხიზანეიშვილი „როსტსელმაშში" რომ გაასხვისეს, შაბათს გუნდში კახა მჟავანაძე მიიღეს, „ბათუმის" და „შუქურას" ყოფილი მცველი, რომელსაც სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

22 წლის მჟავანაძე მოსკოვის „სპარტაკში" ორ კვირას ვარჯიშობდა და მოასწრო კიდეც გუნდის უფროსობისთვის თავის მოწონება. როგორც ვთქვით, ჩვენებურმა მცველმა კონტრაქტი შაბათს გააფორმა, იმ დღესვე შინ, ქობულეთს გაემგზავრა პირადი საქმეების მოსაგვარებლად და მოსკოვში დღეს უნდა დაბრუნდეს.

სამწუხაროა, მაგრამ მჟავანაძის „სპარტაკში" გადასვლით „ბათუმი" ვერ იხეირებს. ყოფილ გუნდთთან მას კონტრაქტი დამთავრებული ჰქონდა და ყველასგან და ყველაფრისგან თავისუფალი იყო.

„ბათუმის" მწვრთნელ ასლან ბალაძის თქმით, „სპარტაკის" ხელმძღვანელობა კახა მჟავანაძის მომზადების დონით ერთობ კმაყოფილი დარჩენილა. რუსებს, თურმე, სწორედ მჟავანაძის სტილისა და ამპლუის ფეხბურთელი სჭირდებოდათ.

ქართველი მცველი „სპარტაკთან" ვარჯიშს ხვალიდან განაახლებს და არც ის არის გამორიცხული, რომ 11 ივლისს „ჩერნომორეცის" წინააღმდეგ ითამაშოს კიდეც. რუსეთში ხომ ჩემპიონატის პირველი წრე შაბათს დამთავრდა და სატრანსფერო სეზონი გუშინდლიდან გაიხსნა.

**ქობა ინასარიძე**



დაშავებულ ზაზა ზირაქიშვილს გერმანიაში უწამლებენ

*„ვიტ ჯორჯიას" საპასუხო მატჩი კი ელის „ტრუასთან", მაგრამ ევროტურნირებს ოთხი ქართული გუნდიდან ერთი რომ უკვე გამოეთიშა ნაღდია. ახლა „ტორპედოს", „ლოკომოტივსა" და „დინამოს" მოუწევთ მეტად მკაცრი გამოცდების გავლა.*

# ვიდეოპატრული ბორისოვში, ზირაქიშვილი გერმანიაში

**თბილისის „დინამო"** ბაკურიანშია, სამთო-სათხილამურო კურორტზე განაგრძობს მზადებას. ძირითადი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზეა გადატანილი. კარგა ხანია, დინამოელებს სრულფასოვანი მოსამზადებელი ეტაპი არ გაუვლიათ და ფეხბურთელებს ცოტა არ იყოს, უჭირთ დიდი დატვირთვების მიღება. თავად განსაჯეთ: საუზმემდე დინამოელები 4-5 კილომეტრს დარბიან, სადილის წინ კი გრძელი კროსები აქვთ — სასტუმრო „ივერიადან" კოხტაგორა 1 ან კოხტაგორა 2-მდე. დარბიან და უკან ბრუნდებიან. ბიჭებს არც მესამე, უკვე ბურთით ვარჯიშს აკლებენ მწვრთნელები — იქვე, სადღაც ტყეში საფეხბურთო მინდორის მაგვარი მოუხლაფორთებიათ და ბურთაობენ. გარდა ამისა, ფეხბურთელებს ათლეტიზმში ვარჯიშიც ევალებათ. ერთი სიტყვით, დინამოელები კარგ კურორტზე არიან...

პრობლემაც გასჩენია გუნდს. „დინამოს" მეგოლე ზაზა ზირაქიშვილს ბაკურიანში ასფალტზეც ურბენია და კვლავ გამიზეზებია მარჯვენა კოჭი. ჰოდა, წინა ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო მოთამაშე ახლა მხოლოდ ძალისმიერ ვარჯიშებს თუ ასრულებს, რასაც სირბილი არ სჭირდება.

ბაკურიანში ჩასვლის შემდეგ გუნდს ჩამოსცილდა გოჩა ტყებუჩავა, რა თქმა უნდა, დროებით. დინამოელთა მწვრთნელი სადაზვერო სამუშაოებისთვის მიუვლენიათ ბელარუსში. გასულ უქმეებზე „დინამოს" მეტოქე უეფას თასის საკვალიფიკაციო რაუნდში ბორისოვის „ბატე" ბელარუსის ჩემპიონატის მატჩში შინ „მოლოდეჩნოს" მასპინძლობდა და გაიმარჯვა კიდეც — 6:3. ტყებუჩავას თან ახლდა „დინამოს" ვიდეოოპერატორიც. დინამოელთა დესანტი დღეს დაბრუნდება თბილისში.

მთავარი მწვრთნელი **გივი ნოდია** კი გუნდთან ერთადაა ბაკურიანში, მას გუშინ ტელეფონით შევეხმიანეთ.

— მომზადების პროცესით კმაყოფილი ვარ. ამინდიც ხელს გვიწყობს. თავიდან ერთჯერადი ვარჯიშებით დავიწყეთ, მერე კი თანდათან მოვუმატეთ დატვირთვებს.

— **როგორც შევიტყვეთ, ბევრ ფეხბურთელს უჭირს ასეთი დატვირთვების ატანა...**

— ყველა ფეხბურთელი ამას ერთნაირად ვერ ეგუება, ზოგს მართლაც შეექმნა პრობლემები, თუმც საერთო სიტუაცია დამაკმაყოფილებელია. გუნდის მედპერსონალი ყველაფერს კონტროლს უწევს. პირობები ჩინებულია, აღდგენით პროცედურებისთვის სასტუმროში აუზიც არის და საუნაც. პატარა დისკომფორტს ის თუ გვიქმნის, რომ მაღალმთიან რეგიონში უწევთ ფეხბურთელებს ვარჯიში.

— **ზირაქიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?**

— მან გასული სეზონის ბოლო ორი თვე ფეხმტკივანმა ითამაშა, რამაც კოჭის ტრავმა ქრონიკული გახადა. თბილისში დაბრუნებისთანავე გამოკვლევები ჩაუტარდება და ალბათ გერმანიაში, სადაც შეკრებას გავაგრძელებთ, მკურნალობის კურს ჩაიტარებს.

— **„დინამოში" ახლა 27 ფეხბურთელი ვარჯიშობს, გერმანიისთვის კი მათი რიცხვი ალბათ შემცირდება.**

— დიახ, გერმანიაში 23-24 ფეხბურთელით ჩავალთ. შესაძლოა, ახლებიც დავიმატოთ.

**დავით თაგართქილაძე**

# აჭარული ავანჩავანი

## ბათუმში თურქები მოდიან



ვახტანგ თურმანიძე (მარჯვნივ) „ტორპედოდან" „ბათუმში" „სამგურალის" გავლით

**ორი** კვირაა, რაც „ბათუმი" ახალი სეზონისთვის სამზადისს შეუდგა. გუნდი შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა და მთავარ მწვრთნელ ასლან ბალაძესაც სელექციური სამუშაოც უხვად დაუგროვდა.

შევსებაზე რომ მიდგა საქმე, ბათუმელებმა ქუთაისის „ტორპედოს" 29 წლის მცველ ზურაბ არჩვაძის გადაბირება განიზრახეს — ამ ფეხბურთელმა ორგზის ჩემპიონთა რიგები დატოვა და სხვა კლუბში სურს კარიერის გაგრძელება. არჩვაძესა და „ბათუმს" შორის წინასწარ შეთანხმება არსებობდა, მაგრამ ქუთათურებმა მის სანაცვლოდ ფული მოითხოვეს, რაც ზღვისპირელებს ეძვირათ. იგივე მიზეზის გამო „ბათუმმა" ვერ მოახერხა კიდევ ერთი ტორპედოელი მცველის, ვახტანგ ხვადაგიანის გადაყვანა. თუმც ზღვისპირელებმა ერთი ყოფილი ტორპედოელი 28 წლის მცველი ვახტანგ თურმანიძე „სამგურალიდან" მაინც შეიმატეს.

ასლან ბალაძის გუნდს, „მერანიდან" წამოსული მარცხენა ნახევარმცველი, 31 წლის გია ჩხაიძე და გორის „დილას" ყოფილი მოთამაშე არჩილ ოლგესაშვილი შეემატნენ. ბათუმელები ტერნოპოლის „ნივიდან" დღე-დღეზე ელიან ავთანდილ სიხარულიძეს და ავთანდილ გვიანიძეს. სიხარულიძის ამბავი გარკვეულია, ხოლო რაც შეეხება გვიანიძეს, რაღაც-რაღაცეები კიდევ დასაზუსტებელია. ბათუმელები კვლავაც იმედის თვალით უყურებენ ხორვატი ლეგიონერის ჩამოსვლას, თუმც მისი ვინაობა ჯერაც არ იციან.

„ბათუმშია" თსუ-დან წამოსული ცენტრალური ნახევარმცველი ზვიად გვაზავა, ეს 22 წლის ფეხბურთელი ახლახან თბილისის „დინამოში" იყო გასინჯვაზე. მისი „ბათუმში" ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია. ასლან ბალაძის გუნდში ვარჯიშობს სამტრედიის „იბერიიდან" წამოსული მცველი შალვა ლაცაბიძეც.

გადაწყდა, რომ ზღვისპირელები უცხოურ შეკრებაზე არ წავლენ — გუნდი ხომ ჯერ არაა ბოლომდე დაკომპლექტებული. სამაგიეროდ, „ბათუმმა" პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა სტუმრად ფოთის „კოლხეთთან". სტუმრებმა პირველი ტაიმში ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს, მეორეში კი ახალგაზრდა ახალწვეულები გამოცადეს. შალვა აფხაზავას გოლით „ბათუმი" პირველ ტაიმში კი დაწინაურდა, მაგრამ მეორეში ფოთელებმა ორით უპასუხეს და გაიმარჯვეს.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას ბათუმელები დღეს გამართავენ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ ლანჩხუთის „გურიასთან". დაგეგმილია მატჩები „ტორპედოსთან" და „სამგურალთან".

ზღვისპირელებს უცხოელი სპარინგ-პარტნიორიც გამოუჩნდათ. 10-დან 25 ივლისამდე აჭარაში შეკრებაზე ჩავა თურქეთის მეორე ლიგის გუნდი „ხოფასფორი", რომელთანაც „ბათუმი" აუცილებლად ითამაშებს.

**დავით თაგართქილაძე**

# კრება დარჩა მხიარული

## გორდა შეივსო და შეიკრიბა

**საახალსეზონოდ** „გორდას" ამბიციები გაიზარდა. შაბათს გამართულ კლუბის კრებაზე გადაწყდა, რომ რუსთაველ გუნდს მძიმე კლასიკოსიძე, მეკარე ანდრო კოროშინაძე და უფრო სახელგანთქმული მოთამაშე მცველი ნუგზარ ლომჯარიძე დაეხმარება. ასე რომ, გუნდი თითოეულ სათამაშო როლში სოლიდური შევსება მიიღო. „გორდას" პრეზიდენტმა თემურ ბეგლარიშვილმა შემდეგ თავისი ლეგენდარული პირობები დაკმაყოფილდა, რასაც ახალწვეულები ითხოვდნენ.

შაბათსვე გადაწყდა, რომ ახალი სეზონიდან „გორდაში" ყოფილი თბილელი ზვიად ლაბაძე ითამაშებს. გუნდს დაუბრუნდა მიხეილ ხახუაძე. თამაზ მეტრეველმა კი „გორდა-ლში" წასვლა გადაწყვიტა და ევროპულ გუნდებთან გაუჩნდა მოლაპარაკება, სხვაგან განაგრძობს თამაშს, თუ კარიერას დაასრულებს. ტორპედოელებს — ნიკა ტოგონიძეს, ლევან სილაგაძეს და ზურაბ არჩვაძეს გადაბირება კი ბუილებში დადიოდა მოახერხა.

შაბათამდე გაურკვეველი იყო ალექსანდრე ბურნაძის საკითხი. ეს ფეხბურთელი უცხოეთში აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ „გორდას" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შემდეგ ისიც რუსთაველ გუნდში დარჩა.

მომღვიძებულმა რუსთაველებმა პარასკევს პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართეს თბილისის კახა ცხადაძის „ლოკომოტივთან". მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა, მაგრამ „გორდა", განსაკუთრებით მეორე ტაიმში, რკინიგზელებზე უკეთ გამოიყურებოდა. რუსთაველებმა პენალტი გიორგი კილასონიძემ გაიტანა და „ლოკომოტივის" კარში ვარლამ კილასონია წააქცევს საჯარიმოში.

1 ივლისს იასონ ალადაშვილის გუნდი ბაკურიანში გაემგზავრა 12-დღიან შეკრებაზე. ეს არის, გარკვეული პრობლემების გამო გიორგი კილასონია და ალექსანდრე ბურნაძე დღეს შეუერთდებიან თანაგუნდელებს, ვარლამ კილასონია კი ხვალ გაემგზავრება ბაკურიანში.

**[illegible]**

[illegible]
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
[illegible] 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

# ჭეიშვილის დიაგნოზი: ზესტაფონში ფეხბურთი ჯანზეა



ეროვნულ ჩემპიონატში ამ გუნდის ბიოგრაფია სულ ორ წელიწადს ითვლის. შარშანწინ იყო, უმაღლესი ლიგიდან გავარდნილ „მარგვეთს“ ზესტაფონში კონკურენტი გამოუჩნდა, ფეროშენადნობთა ქარხანამ საფეხბურთო კლუბი „მეტალურგი“ დააფუძნა, რომლის სადებიუტო სეზონიც რეგიონულ ლიგაში შედგა და გუნდი „ა“ ზონაში მეოთხე ადგილზე გავიდა. გასულ გათამაშებაში „მეტალურგმა“ უკვე პირველ ლიგაში ითამაშა და საკადრისადაც — ზესტაფონელები მეორე ადგილზე გავიდნენ და უმაღლეს ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

„მეტალურგზე“ ნაკლები სტაჟი აქვს ეროვნულ ჩემპიონატში მის მთავარ მწვრთნელს, 38 წლის ვასილ ჭეიშვილს. ბოლო დრომდე მის შესახებ ბევრს არც სმენოდა, მაგრამ...

*ვასილ ჭეიშვილმა* შარშან ზაფხულს ჩაიბარა „მეტალურგი“ და ერთი სეზონი დასჭირდა გუნდის უმაღლეს ლიგაში ალსაზევებლად. დებიუტიც ამას ჰქვია!

„მეტალურგის“ თავკაცმა საუბრის დასაწყისში საკუთარი საფეხბურთო ბიოგრაფია გაგვაცნო.

— ფეხბურთის თამაში თბილისში 35-ე სკოლაში დავიწყე ნოდარ ლეჟავასთან, მერე ვარჯიში „ავაზაში“ გავაგრძელე, სადაც ცხონებული კობა თურაზაშვილი იყო ჩემი მწვრთნელი. მხოლოდ ერთი სეზონი ვითამაშე საქართველოს პირველობაზე. 1984 წელს ხობის „კოლხეთში“ ექვსი მატჩი წინ ვითამაშე, მერე კარში ჩავდექი.

**— მეკარეობა უფრო გეხერხებოდათ?**

— შეიძლება ასე ითქვას.

**— მერე?**

— მწვრთნელთა სკოლაში, იგივე ფიზკულტურის ტექნიკუმში მოვეწყვე და წარჩინებითაც დავამთავრე, რის შემდეგ სამი წელიწადი მერაბ წიკლაურთან ერთად 35-ე სკოლაში ვავარჯიშებდი ბავშვებს. მერე უკრაინაში მომიწია მუშაობა. შეპეტოვკის საფეხბურთო სკოლა-ინტერნატში უფროსი მწვრთნელი გახლდით. ცოტა მოგვიანებით ამ ქალაქის გუნდში აღმოვჩნდი. „ტემპის“ პრეზიდენტმა ჯუმბერ ნიშნიანიძემ მეკარეების წვრთნა შემომთავაზა. შეპეტოვკაში ორი წელიწადი ვიმუშავე და ისევ თბილისში დავბრუნდი, „ლოკომოტივის“ საფეხბურთო სკოლაში უფროსი მწვრთნელი ვიყავი.

1997 წელს უზბეკეთში მიმიწვიეს. იქაური მეორე ლიგის ბეკაბადის „ჰოსთან“ თავიდან მოკლევადიანი, ასე ვთქვათ, საცდელი კონტრაქტი გავაფორმე. კლუბის მესვეურები ჩემი მუშაობით კმაყოფილნი დარჩნენ და მიუხედავად იმისა, რომ უზბეკეთის მოქალაქეობა არ მქონდა, რაც აუცილებელი იყო ტაშკენტში მწვრთნელთა მომზადების უმაღლეს სკოლაში სასწავლებლად, ყველაფერი იღონეს, რათა ჩემთვის გამონაკლისი დაეშვათ. სკოლაში ჩავირიცხე. კლუბმა სწავლის საფასური გადამიხადა, სამოთახიანი ბინა და მანქანა გამომიყო. „ჰოსში“ თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ მერე კლუბს ფინანსები შემოაკლდა, საქმე აირია და გუნდი ჩემპიონატს გამოეთიშა. მაგრამ მე კლუბის ხელმძღვანელებს უყურადღებოდ არ დავუტოვებივარ. მათივე რეკომენდაციით ბეკაბადის მეორე გუნდ „ცემენტჩიში“ გავაგრძელე მუშაობა და ამავე დროს „სემურგის“ კონსულტანტიც გახლდით.

ამის შემდეგ ტაშკენტის ოლქის უმაღლესი ლიგის გუნდებთან ვთანამშრომლობდი, ვადგენდი სასწავლო-საწვრთნელ გეგმებს, ვაწარმოებდი დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს. „ა“ კატეგორიის მწვრთნელის კვალიფიკაცია და ძალიან საინტერესო სამუშაო მქონდა, მაგრამ ხომ იცით, მაინც უცხო გარემოში ვიყავი, იქ სულ სხვა, ძნელად შესაჩვევი სამყაროა და ისევ სამშობლოში წამოსვლა ვამჯობინე. სიმართლე გითხრათ, ერთ ხანს ძალიანაც ვნანობდი, ეს ნაბიჯი რომ გადავდგი. სამუშაო ვერ ვიშოვე. უკვე გადაწყვეტილიც მქონდა უზბეკეთში დაბრუნება, როცა „მეტალურგის“ პრეზიდენტი ნუგზარ მდივანი შემეხმიანა და გუნდის გაწვრთნა შემომთავაზა.

**— პრეზიდენტი, ცხადია თავის პირობებსაც გაგაცნობდათ...**

— ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით, რომ გუნდი ჯერ პირველ ექვსეულში უნდა გასულიყო, დანარჩენი მერე გამოჩნდებოდა.

**— წინასასეზონო პერიოდი როგორ გაიარეთ?**

— ფეხბურთელების შესარჩევად ერთი კვირა დაგვჭირდა. საამისოდ დიაგნოსტიკის მეთოდი გამოვიყენეთ.

**— კონკრეტულად?**

— საგანგებო ხელსაწყოს საშუალებით მოთამაშეების ტესტირებას ვატარებდით, ვისი კონდიციებიც არ გვაკმაყოფილებდა, გუნდიდან ვუშვებდით. საბოლოოდ, მხოლოდ ისინი დავიტოვეთ, ვინც გამოგვადგებოდა. ვფიქრობ, ჩემპიონატისთვის ნორმალურად ვემზადეთ.

**— პროგრამა-მინიმუმის შესრულება გაგიჭირდათ?**

— იყო მომენტი, როცა ჩვენ მე-7 ადგილზე ჩამოვქვეითდით, „თბილისთან“ გაუთვალისწინებელი მარცხი ვიგემეთ, მაგრამ მაინც გვჯეროდა, რომ ექვსეულში მოვხვდებოდით...

**— დასკვნით ეტაპზე „მეტალურგი“ მეორე ადგილზე გავიდა. ამაში გამართლების მომენტი თუ იყო?**

— ექვსეულში „შუქურა“ გამოიყურებოდა სუსტად, დანარჩენი გუნდები დაახლოებით თანაბარი ძალისა იყვნენ, თუმც მე გარკვეულ უპირატესობას „სამგურალს“ მივანიჭებდი. მძიმე ბრძოლები გადაგვხვდა. მეორე წრეში შინ „გურიას“ რომ ვერ მოვუგეთ, ფარხმალი არ დაგვიყრია. ყველაფერი ბოლო ტურებში გადაწყდა. „სამგურალთან“ გამარჯვების შემდეგ 90 პროცენტით დარწმუნებული ვიყავით, რომ უმაღლეს ლიგაში მოვხვდებოდით. ცხადია, გამართლების მომენტიც იყო, წნორში „მილანი“ — „გურიას“ ფრე ჩვენთვის მალამოსავით იყო.

**— „მეტალურგის“ თამაშის ხარისხზე რას იტყვით?**

— თქვენც კარგად იცით, გუნდს გარკვეული ჩავარდნები ჰქონდა, მაგრამ საერთო ჯამში ბიჭების თამაშით კმაყოფილი დავრჩი. თითოეულმა ფეხბურთელმა თავისი წვლილი შეიტანა წარმატებაში, ზოგმა იმაზე მეტიც, რასაც ველოდით.

დადებითად შესაფასებელია მეკარის თამაზ ოდიკაძის გარჯა. მთელი სეზონი სტაბილურად თამაშობდა დაცვის ხაზი. ლურსმანაშვილს პრაქტიკულად შეცდომა არ დაუშვია. მაღლაკელიძე, გოგაძე, გურეშიძე, ორმოცაძე, მერებაშვილი, მემარნიშვილი კარგად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. ნახევარდაცვაში გვქონდა ხარვეზები, რაც უმეტესად ტრავმებით იყო გამოწვეული, თუმც გამოცდილმა ამაშუკელმა, კაციაშვილმა, გეწაძემ მაინც გაართვეს თავი საქმეს. იგივეს ვიტყოდი თავდამსხმელებზეც. გვაზავამ წინასწარ ეტაპზე 12 ბურთი გაიტანა, მაგრამ მერე ფეხი დაიშავა და ჩვეული ფორმიდან ამოვარდა. სამდურავი არა მაქვს ფირცხალაიშვილთან, ყველა თამაშში ძალიან აქტიურობდა. გაზაფხულზე „იბერიიდან“ მოსული დავით ოდიკაძეც კარგად ჩაეწერა გუნდში. მისმა გოლმა „სამგურალთან“, ფაქტობრივად, ჩვენი ბედი გადაწყვიტა. ახლა ყველას გვარს არ ჩამოვთვლი და გუნდის მთელ შემადგენლობას მადლობას ვეტყი იმისათვის, რაც გაკეთდა.

**— გუნდის წვრთნაში ვინ გეხმარებოდათ?**

— ზურაბ ბოჭორიშვილი. გამოცდილი მწვრთნელია, მუდამ გვერდში მედგა, შეთანხმებულად ვმუშაობდით.

**— პირველი ლიგის გათამაშების სისტემაზე რა აზრის ხართ?**

— შეიძლება ეს ჩემი სუბიექტური აზრი იყოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ სისტემამ გაამართლა. იმატა დაძაბულობამ, საინტერესო მატჩებმა. თუ ასე გაგრძელდა, ორ-სამ წელიწადში პირველ ლიგაში თამაშის დონე საგრძნობლად ამაღლდება.

**— კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი თუ მოგსვლიათ?**

— პირიქით, კლუბში კარგი ატმოსფეროა, ნუგზარ მდივანი ულალატო კაცია, ძალიან უყვარს ფეხბურთი და არაფერს იშურებს გუნდისთვის. იგი ბოლომდე გვენდობა, მწვრთნელების აზრს ყოველთვის იზიარებს, მუშაობის საშუალებას გვაძლევს და ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს. მადლობას მოვახსენებ ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელებს, ბატონებს დავით შალიკაშვილს, ვახტანგ ასლანიკაშვილს და მათ თანამოსაქმეებს იმ ყურადღებისთვის, რომელსაც ისინი გუნდისადმი იჩენენ.

**— „მეტალურგი“ ახალ სეზონს უმაღლეს ლიგაში დაიწყებს. როგორ ემზადებით და რა პერსპექტივა აქვს თქვენ გუნდს?**

— ცხადია, პირველი ლიგა უმაღლესს ვერ შეედრება. იქ თამაში გაცილებით ძნელია, მაგრამ ჩვენ იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ მას დროებით მოვევლინოთ. ზესტაფონი კარგი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქია და ჩვენი მოვალეობაა გუნდის ქომაგთ იმედები არ გავუცრუოთ. მე-13 ეროვნულში ჩვენი მიზანი ლიგაში დამკვიდრება იქნება, თუმც შევეცდებით მცირედით არ დავკმაყოფილდეთ. ახლა მთავარია, გუნდი ისე დავაკომპლექტოთ, რომ ამოცანის შესრულება არ გაგვიჭირდეს.

**— გუნდში რა სიახლეებია?**

— ამ კითხვაზე პასუხისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. ოფიციალურად ჯერ არავინ შეგვიმატებია და არც არავინ გაგვიშვია. წვრთნას 10 ივნისიდან შევუდექით. ერთ კვირაში კი, ალბათ, დავლაგდებით.

**— ფეხბურთელების შესარჩევად ისევ დიაგნოსტიკის მეთოდს გამოიყენებთ?**

— ბუნებრივია. მე მას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

**— წვრთნას ზესტაფონში გააგრძელებთ?**

— ჯერ აქ ვივარჯიშებთ, მერე ტყიბულში მოვაწყობთ ორკვირიან შეკრებას.

**იუზა ქაციტაძე**



ზესტაფონის „მეტალურგის“ თავდამსხმელი ზვიად ფირცხალაიშვილი (მარჯვნივ)



ვლადიმერ ხაჩიძე

# დილამ მთისკენ გაიხედა

## უმაღლესისკენ ხაჩიძესთან ერთად

**გორელებმა** ამ ათი წლის მანძილზე თავიანთი არხეინობით იმდენი მოახერხეს, რომ უმაღლეს ლიგას დაემშვიდობნენ. აწი გვიანია თითზე კბენანი. ან კი ვიშვიშს რაღა აზრი აქვს. ქართლელებმაც საქმეს მოჰკიდეს ხელი და პირველ რიგში საკუთარი ქომაგის თვალში რეაბილიტაციაზე ფიქრობენ.

„დილა“ უმაღლესში უნდა დაბრუნდესო, გაიძახიან გორელები და კლუბის ხელმძღვანელობაც ამ აზრზეა. გუნდმა ახალი სეზონისთვის მზადება გუშინწინ დაიწყო. საწვრთნელ პროცესს ახალი მწვრთნელი, აქამდე ხაშურის „ივერიაში“, ზუგდიდურ „ოდიშში“, თბილისურ თსუ-სა და „ვიტ ჯორჯიაში“ ნამუშევარი ვლადიმერ ხაჩიძე უძღვება. უმაღლესისკენ სწორედ ის წაიყვანს გუნდსო, აცხადებენ კლუბის ხელმძღვანელები.

„დილას“ უკვე დაეთხოვა მარჯვენა მცველი ვახტანგ აკოფიანი. „ტაისონამ“ კლუბიდან გათავისუფლების ფურცელი აიღო და გატორპედოელდა.

ნახევარმცველი გიორგი რევაზიშვილი „მერანში“ ვარჯიშობს, ხოლო ასევე შუახაზელი არჩილ ოლგესაშვილი „ბათუმშია“ გასინჯვაზე. სხვები ჯერ ადგილზე არიან, თუმც რამდენიმეს მსურველი კიდევ ჰყავს და როგორ გადაწყდება მათი საკითხი, ჯერ უცნობია.

„დილა“ 8 ივლისამდე გორში ივარჯიშებს, მერე ქალაქიდან 30 კილომეტრის მოშორებით, მთაში აიწევს და 10 დღით ბოშურში გააგრძელებს მზადებას.

**გამუკა კმანტალიანი**


# იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა
30 კვ.მ. მიშენებით,
დიღმის მასივში,
მე-4-ე კვარტალი,
მე-19-ე კორპუსი,
პირველი სართული.

**ფასი შეთანხმებით**

ტელ.: 95-90-32,
39-71-98,
877 42-82-83



# მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## სამხრეთ ამერიკა

# ურუგვაიმ ბრაზილია დალია

### XIII ტური

**ურუგვაი 1:0 ბრაზილია**

1:0 მაგალიანესი (32პ)

**ურუგვაი:** კარინი, მენდესი, მონტერო, სორონდო, გიგუ, პაბლო გარსია, რომერო, დე ლოს სანტოსი, რეკობა (ლემბო 76), დარიო სილვა (რეგუერო 62), მაგალიანესი

**ბრაზილია:** მარკოსი, კრისი, ძაგო (ჟარდელი 76), როკე ჟუნიორი, კაფუ, რობერტო კარლოსი, ემერსონი, რივალდო, ჟუნინიო, ელბერი (ეულერი 60), რომარიო

62 000 მაყურებელი

**კვირა** საღამოს თითქმის მთელ სამხრეთ ამერიკაში, წესით და რიგით, გვარიანი სმა უნდა გაჩაღებულიყო. ამ ფრიად სასიამოვნო საქმის მიზეზს ზოგი სულაც არ ეძებს, თუმცა ამჯერად მიზეზი ნამდვილად არსებობდა. ურუგვაელთათვის ეს საძულველი ბრაზილიის დამარცხება იყო, არგენტინელთათვისაც იგივე, მერე რა, რომ ბრაზილიელები მშრალზე მათ კი არა, ურუგვაელებმა დატოვეს, ბრაზილიელებს კი დარდის გასაქარვებლად უნდა დაელიათ.

ის, რაც მონტევიდეოს „სენტენარიოზე" მოხდა (ეს ის სტადიონია, რომელმაც 71 წლის წინ მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ფინალს უმასპინძლა), ბრაზილიაში დიდხანს ეხსომებათ და ამის მიზეზიც ბევრია. უპირველესი კი ალბათ ისაა, რაც ერთი შეხედვით წარმოუდგენელია — ბრაზილიის ნაკრები კორეა-იაპონიის მიღმა დარჩენის საფრთხის წინაშე დგას. აქვე აღვნიშნოთ, რომ ბრაზილიელებს დარჩენილი ხუთი მატჩიდან ორი სტუმრად აქვთ ჩასატარებელი — არგენტინასა და ბოლივიასთან. ვეჭვობთ, იოლი გასეირნება ელოდეთ — არგენტინას მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს, მაგრამ ბრაზილიასთან რისი დამთმობიცაა, კარგად მოგვეხსენება, ბოლივია კი საშინაო მატჩებს 3600 მეტრის სიმაღლეზე მართავს.

თუმცა თემას გადავუხვიეთ. მატჩამდე ისეთი განწყობა იყო, რომ ყველა ბრაზილიაზე ლაპარაკობდა და ურუგვაელებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. არადა, მარცხს მათთვის უფრო სავალალო შედეგი მოჰყვებოდა, ვიდრე ბრაზილიელებისთვის, რაკილა თვრამეტი ქულით ხუთეულს მიღმა რჩებოდნენ. სწორედ ამას გულისხმობდა ურუგვაელთა ლიდერი ალვარო რეკობა, როცა თამაშის დაწყებამდე წაგების შეუძლებლობაზე ლაპარაკობდა. და იქნებ გაცვეთილი ფრაზა იყოს, მაგრამ გამარჯვებისადმი ასეთი სწრაფვა საბოლოო შედეგის საწინდარი გახდა.

ერთადერთი, ესე იგი, გამარჯვების გოლი პირველ ტაიმში გავიდა. კაფუმ საკუთარ საჯარიმო მოედანზე ალვარო რეკობა წააქცია, პენალტის შესრულება კი ფედერიკო მაგალიანესმა იკისრა — ბურთი და მეკარე მარკოსი სხვადასხვა კუთხეში გაფრინდნენ.

უნდა ითქვას, რომ ურუგვაელებმა გოლი დაიმსახურეს. პენალტამდე დარიო სილვამ აკრობატულ ნახტომში დაარტყა და ხარიხას გაარტყა. პენალტის მერეც მასპინძლებს ბლომად მომენტები ჰქონდათ, გამორჩეულად კარგად კი ალვარო რეკობამ ითამაშა, რომელიც იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ საკლუბო ფეხბურთიდან ერთი წლით მოკვეთა.



ალვარო რეკობამ სიხარულისგან ტანზე შემოიხია

ბრაზილიელები შეხვედრის ბოლოსკენ გააქტიურდნენ, თუმცა რაიმე ღირებული არ გაუკეთებიათ. რივალდოსგან აჩრდილი დარჩენილიყო, ხოლო რომარიო ბურთს სულ რამდენჯერმე შეეხო. ლუის ფელიპე სკოლარის არც შეცვლებში გაუმართლა — ეულერმა და მარიო ჟარდელმაც ვერაფერი გააზერხეს.

მარცხმა ბრაზილიაში უკმაყოფილების ახალი ტალღა ააგორა, რომელიც უპირველესად ნაკრების ახალ მწვრთნელს მისწვდება და „დიდი ფილი" საკუთარ თავზე გამოსცდის, რასაც ნიშნავს ტეტრაკამპეონების მწვრთნელობა.

ჯერჯერობით სკოლარი მაგრად დგას და ცდილობს, ურუგვაისთან მარცხს გადამეტებული შეფასება არ მისცეს: „ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატმა შესაძლოა უჩვენოდ ჩაიაროს. შინ სამი მატჩი გვაქვს ჩასატარებელი, მათგან უახლოესი — პარაგვაისთან. იმ თამაშისთვის ყველა შეცდომას გავაანალიზებთ და აუცილებლად მოვიგებთ. რაც შეეხება დღევანდელ შედეგს, მას შემთხვევითს ვუწოდებ, რადგან ურუგვაელებს განსაკუთრებული მომენტები არ ჰქონიათ".

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ურუგვაის მსოფლიოს ჩემპიონატზე 1990 წლის მერე არ უთამაშია.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 13 | 10 | 2 | 1 | 33:11 | 32 |
| პარაგვაი | 13 | 8 | 2 | 3 | 21:11 | 26 |
| ეკვადორი | 13 | 8 | 1 | 4 | 17:16 | 25 |
| ბრაზილია | 13 | 6 | 3 | 4 | 22:12 | 21 |
| ურუგვაი | 13 | 6 | 3 | 4 | 15:9 | 21 |
| კოლუმბია | 13 | 5 | 4 | 4 | 12:12 | 19 |
| ბოლივია | 13 | 3 | 4 | 6 | 14:20 | 13 |
| პერუ | 13 | 3 | 3 | 7 | 12:17 | 12 |
| ჩილე | 13 | 3 | 1 | 9 | 12:18 | 10 |
| ვენესუელა | 13 | 1 | 1 | 11 | 8:40 | 4 |



მოწყენილი რომარიო და გახარებული ურუგვაი

## აფრიკა

### VII ტური

#### A ჯგუფი

**ლიბია 1:1 ანგოლა**

1:0 ჟურბი (32), 1:1 ზიკო (89პ)

**კამერუნი 2:0 ტოგო**

1:0 ეტოო (27), 2:0 ფოე (49)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 7 | 6 | 0 | 1 | 12:2 | 18 |
| ანგოლა | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | 12 |
| ზამბია | 6 | 2 | 1 | 3 | 8:7 | 7 |
| ტოგო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:12 | 5 |
| ლიბია | 6 | 0 | 2 | 4 | 5:13 | 2 |

*კამერუნი გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე*

#### B ჯგუფი

**ლიბერია 1:2 განა**

0:1 ამოა (33), 1:1 სებვე (44), 1:2 ბოაკიე (60)

**სუდანი 0:4 ნიგერია**

0:1 ოკოჩა (40), 0:2 აიეგბენი (47), 0:3 აგალი (80), 0:4 აიეგბენი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია. | 7 | 4 | 1 | 2 | 12:3 | 13 |
| ლიბერია | 7 | 4 | 0 | 3 | 9:8 | 12 |
| სუდანი | 6 | 3 | 0 | 3 | 5:9 | 9 |
| განა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:6 | 8 |
| სიერა ლეონე | 6 | 1 | 1 | 4 | 2:11 | 4 |

#### C ჯგუფი

**მაროკო 1:0 ეგვიპტე**

1:0 ბაჯი (31)

**ნამიბია 0:4 ალჟირი**

0:1 სეტარა (31), 0:2, 0:3 უაზიდი (34, 37), 0:4 ელ აუნი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 7 | 4 | 3 | 0 | 8:2 | 15 |
| სენეგალი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:2 | 9 |
| ეგვიპტე | 6 | 2 | 3 | 1 | 7:4 | 9 |
| ალჟირი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:13 | 7 |
| ნამიბია | 6 | 0 | 2 | 4 | 1:13 | 2 |

#### D ჯგუფი

**კოტ დივუარი 6:0 მადაგასკარი**

1:0, 2:0 ბაკაიოკო (25, 39პ), 3:0 ა. კუიტა (47), 4:0 იაბი იაბო (71), 5:0 ფ. კუიტა (79), 6:0 ბაკაიოკო (82)

**ტუნისი 6:0 კონგო**

1:0 ბადრა (28), 2:0 ზიტუნი (38), 3:0 გაბსი (44), 4:0 მეჟდები (57), 5:0 ბაია (65), 6:0 ჯელასი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 7 | 5 | 2 | 0 | 20:4 | 17 |
| კოტ დივუარი | 6 | 4 | 2 | 0 | 16:5 | 14 |
| კონგოს დრ | 6 | 2 | 1 | 3 | 5:12 | 7 |
| კონგო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |
| მადაგასკარი | 7 | 1 | 0 | 6 | 4:15 | 3 |

#### E ჯგუფი

**ბურკინა ფასო 1:1 სამხრეთ აფრიკა**

0:1 ზუმა (24), 1:1 ნანა (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 13 |
| ზიმბაბვე | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ბურკინა ფასო | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| მალავი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |

*სამხრეთ აფრიკა გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე*

# შავი სამყარო აზიისკენ დაიძრა

## ვეას სატოდავი ძლევენი და გადამგდები ბაბანგიდა



სამუელ ეტოო

**კვირას** კამერუნელებმა მალიორკელი სამუელ ეტოოსა და ლიონელი მარკ ვივიენ ფოეს გოლების წყალობით ტოგოს ნაკრები დაამარცხეს, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და მეხუთედ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება. ეს აფრიკული ქვეყნებისთვის რეკორდული მიღწევაა.

მასპინძლებმა მატჩი ახალი მწვრთნელის, ფრანგი რობერ კორფუს თვისტომი ჩაატარეს, რომელმაც თანამემამულე პიერ ლეშანტრე შეცვალა. ეს უკანასკნელი კონფედერაციის თასზე წარუმატებელი გამოსვლის გამო დაითხოვეს. კორფუს თქმით, იგი კამერუნულ ფეხბურთს ნაკლებად იცნობს, ამიტომ ნაკრების მომზადების პერიოდში ძირითადად ასისტენტების რჩევებით ხელმძღვანელობდა.

კამერუნელებს კვალში სამხრეთაფრიკელები ჩაუდგნენ. ისინი ბურკინა ფასოს ეწვივნენ და კორეა-იაპონიის საგზურის მოსაპოვებლად ფრეც აძლევდათ ხელს. სტუმრები 24-ე წუთზე ზუმას მიერ გატანილი გოლით 76-ე წუთამდე იგებდნენ, სანამ მასპინძელთა კაპიტანმა ალენ ნანამ არ გაათანაბრა. დარჩენილ დროში ბურკინაფასოელები გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და სამხრეთაფრიკელებმა კამერუნთან ერთად პლანეტის მთავარ საფეხბურთო ფორუმზე მონაწილეობის უფლება ერთი ტურით ადრე გაინაღდეს.

ლიბერიაში კი, სადაც იქაურებს განელებისთვის უნდა ემასპინძლათ, მატჩამდე გაზეთმა „გრაფიკ სპორტსმა" ასეთი ცნობა გაავრცელა: 1995 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა ჟორჟ ვეამ და მისმა დამქაშებმა სტუმართა გუნდის მოთამაშეთა მოსყიდვა სცადეს, რათა მათ თამაში დაეთმოთ.

თავის მხრივ, განელთა პრესმდივანმა კოხო ფიანოომ არ დაადასტურა მსგავსი ფაქტის არსებობა და განაცხადა, ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური შეტევა იყო ლიბერიელთა მხრიდან, რათა მათ სტუმართა რიგებში დესტაბილიზაცია შეეტანათო.

ჰქონდათ თუ არა რაიმე ჩაფიქრებული ლიბერიელებს, გამოცანადვე დარჩა. ხოლო განელებმა, ემანდ მატჩის გაყიდვა მართლა არ დაგვაბრალონო, მასპინძლები დაამარცხეს და ყველა ჭორი გაფანტეს. ამ წაგებით ვეას გუნდმა ჯგუფში ლიდერობა ნიგერიას დაუთმო.

„სუპერარწივებმა" სტუმრად სუდანში იქაურ ნაკრებს დამაჯერებლად სძლიეს. დუბლი შეასრულა აიეგბენიმ, ხოლო თითო გოლი ოკოჩასა და აგალის ანგარიშზეა.

თავი გამოიჩინა აიაქსელმა ტიჯანი ბაბანგიდამაც, ოღონდ სხვა მხრივ. როგორც ერთ-ერთი აფრიკული სააგენტო იუწყება, შარშან მან თავისი ქორწილის დღის აღსანიშნავად ნიგერიის ნაკრებსა და ქალაქ კანოს (სადაც ნაკრებს უნდა ევარჯიშა) გუნდ „კანო პილარსს" შორის შეხვედრის ორგანიზება ითავა. ამისთვის ფეხბურთელმა ადგილობრივი მერიისგან 5 330 დოლარი მიიღო. დათქმულ დღეს მატჩი არ შედგა, რის გამოც განრისხებულმა უფეხბურთოდ დარჩენილმა გულშემატკივრებმა ქალაქს გარკვეული მატერიალური ზარალი მიაყენეს. კანოს მერიამ ბაბანგიდას დაუანგარიშა და მისგან 8 900 დოლარი ითხოვა. თავად ფეხბურთელის თქმით, ეს შეხვედრა იმიტომ გადაიდო, რომ ქორწილის დღეს მომხდარ ავტოკატასტროფაში მისი ძმა დაიღუპა. ოფიციალური პირები აცხადებენ, თითქოს ფეხბურთელი უბრალოდ უარს ამბობს ფულის გადახდაზე.

წინა სამშაბათს, ნაკრების ვარჯიშის დროს, „კანო პილარსის" ადმინისტრატორმა კაბირ ბაიტამ სამართალდამცავებთან ერთად ტიჯანი ბაბანგიდას დაკავება სცადა, მაგრამ ნაკრების წარმომადგენლებმა და სხვა ადგილობრივმა ავტორიტეტებმა განზრახვაზე ხელი აალებინეს.

მოგვიანებით სასტუმროში დახურულ კარს მიღმა ამ საქმის გარჩევა შედგა. ბაიტას შეხვედრის კონკრეტულ შედეგებზე არაფერი უთქვამს, თუმცა ბაბანგიდას საკადრისად დასჯას ჯერაც დაჟინებით მოითხოვს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## კონკაკაფი

### VI ტური

**ჰონდურასი 2:3 კოსტა რიკა**

0:1 ვანჩოპე (9), 0:2 ფონსეკა (13), 1:2, 2:2 გუევარა (25პ, 38), 2:3 სოლისი (83)

**ჰონდურასი:** ფლორესი, კაბალიერო, რეიესი, კლავასკინი, ტურსიოსი, გერერო, პინედა, გუევარა, მედინა, სუაზო, ნუნესი (კარკამო 74)

**კოსტა რიკა:** ლონისი, პარქსი, უოლესი (სენტენო 81), მარტინესი, დრუმონდი, ლოპესი, სოლისი, კორდერო (გომესი 52), კასტრო, ვანჩოპე, რ. ფონსეკა (მედფორდი 74)

40 000 მაყურებელი

**მექსიკა 1:0 აშშ**

1:0 ბორგეტი (16)

**მექსიკა:** ო. პერესი, ვიდრიო, სუარესი, ბრაუნი, ტორადო, ტ. კამპოსი, ასპე (ვალდესი 76), არელანო (ხ. ერნანდესი 86), როდრიგესი (გუტიერესი 66), ბორგეტი, პალენსია

**აშშ:** კელერი, ჩერუნდოლო, ლამოსა, აგოსი, რეგისი, სანე, არმასი, სტიუარტი, მური (ჯონსი 46), რაზოვი (კლეინი 82), კიროვსკი (მაკბრაიდი 61)

115 000 მაყურებელი

**ტრინიდადი და ტობაგო 1:2 იამაიკა**

1:0 ე. ჯონი (26), 1:1 ლოუი (30), 1:2 ბარტონი (68)

**ტრინიდადი და ტობაგო:** ინსი, მ. ენდრიუსი, ელკოკი, ე. ჯონი (ლ. ენდრიუსი 86), ქერინგტონი, დეილ სონდერსი, ტრომბანი (იეი 46), შ. ჯონი, ბიერი, რუჟიე, დვარიკა

**იამაიკა:** ა. ლოურენსი, გარდნერი, მარშალი, დ. ბარტონი, დიქსონი, გუდისონი, დ. სინკლერი, სიმპსონი, დ. ბეული (ჯ. ლოურენსი 43), ჰიდი, ლოუი

4 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:7 | 13 |
| აშშ | 6 | 4 | 1 | 1 | 7:2 | 13 |
| ჰონდურასი | 6 | 2 | 2 | 2 | 13:11 | 8 |
| იამაიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 5:8 | 8 |
| მექსიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| ტრინიდადი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:13 | 1 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი
## 1/4 ფინალი

# მსოფლიოდან ევროპა გააძევეს

*მეოთხედფინალურმა მატჩებმა გვაჩვენა, რომ სამხრეთამერიკულ და აფრიკულ ფეხბურთს იმედისმომცემი თაობა ეზრდება. ევროპელთა სამეულმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინა: თუკი ჰოლანდიელთა მარცხი მისი ახალგაზრული ასაკით უნდა აიხსნას, საფრანგეთისა და ჩეხეთის წარუმატებლობა მეტოქეთა სიძლიერეს უნდა დავაბრალოთ...*

*არგენტინელმა სავიოლამ სამი გოლი გაუტანა ფრანგებს და რვა ბურთით ჩემპიონატის ბომბარდირთა სათავეში მოექცა. არადა, წინ კიდევ ორი მატჩია — ორი მატჩი სავიოლასთვის, ორიც — სხვათათვის. იქნება თუ არა სიურპრიზები, ძნელი სათქმელია, თუმცა, ერთი რამ აქედანვე შეიძლება ითქვას — ფინალში სამხრეთამერიკის წარმომადგენელი აფრიკულ გუნდს დაუპირისპირდება. ვნახოთ, ვისი აჯობებს. მანამდე კი ნახევარფინალებია...*



განა — ბრაზილია. განელი მენსას ოქროს გოლმა ბრაზილია განზე დატოვა

### არგენტინა 3:1 საფრანგეთი

1:0 სავიოლა (5), 1:1 მეშე (44), 2:1, 3:1 სავიოლა (45პ, 84)

**არგენტინა:** ლუქსი, ბურდისო, არკა, მედინა, კოლოჩინი, ერერა (დომინგესი 68; ბუმადა 75), კოლოტო, პონციო, როდრიგესი, რომანიოლი (დალესანდრო 46), სავიოლა

**მწვრთნელი:** ხოსე პეკერმანი

**საფრანგეთი:** პენეტა, ვინალი (მატონი 85), გიგუ, მეშე, შეირუ, ფაბიანო, აპამადა, ჟ. სისე, დანიკა, მენდი, ბუნე (რუდე 60)

**მწვრთნელი:** რამონ დომენეკი

**გაფრთხილება:** მენდი, მეშე, კოლოჩინი, აპამადა, როდრიგესი, მენდი

**გაძევება:** მენდი (89)

**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

32 000 მაყურებელი

**ჩემპიონატის** დაწყების წინ გულშემატკივრები და ფეხბურთის სპეციალისტები ბჭობდნენ — გაიბრწყინებდა თუ არა არგენტინის ჩემპიონატზე სავიოლას ვარსკვლავი. არგენტინა — საფრანგეთის მეოთხედფინალური შეხვედრის შემდგომ თამამად შეიძლება ითქვას — ეს ჩემპიონატი უთუოდ სავიოლასია და არა იმიტომ, რომ ფრანგებს სამი გოლი გაუტანა, არამედ იმიტომაც, რომ საკუთარი ოსტატობითა და ტექნიკური არსენალით იგი უთუოდ გამოირჩევა თანატოლებისგან.

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. იყო ლამაზი გარღვევები, ეფექტური დარტყმები, თუმცა იყო გადაჭარბებული უხეშობაც. უხეშობდნენ ფრანგები. როდესაც პირველი ტაიმის ბოლო ორი დრამატული წუთის შემდგომ არგენტინელები დაწინაურდნენ, მინიმალური სხვაობა ევროპელებს შეხვედრის გადარჩენის იმედს უტოვებდა, ამიტომაც ისინი გააფრთებით ეკვეთნენ მეტოქეს, თუმცა აშკარად ვერ მოზომეს.

სავიოლას გატანილმა მესამე გოლმა და ორბურთიანმა სხვაობამ თამაში ოდნავ ჩააცხრო, თუმცა ფრანგთა უხეშობა კვლავაც გაგრძელდა.

### განა 2:1დ.დ. (1:1) ბრაზილია

0:1 ადრიანო (44), 1:1 იბრაჰიმი (80), 2:1 მენსა (93, ოქროს გოლი)

**განა:** ბანაჰენი, მუნტარი, ქსიენი, ვილარსი, პაპოე, იბრაჰიმი, პიმპონგი (ოსეი 24), დ. ბოატენგი, ობოდაი (ტომპსონი 46), მენსა, პანცილი

**მწვრთნელი:** ემანუელ აფრანი

**ბრაზილია:** რუბინიო, ვაიკონი, ედუ დრაჩენა, მარკინოში, ედუარდო, პინგა, ფერნანდო, ლუიზაო, კაკა, ადრიანო, რობერტი (ჟულიო ბაპტისტა 77)

**მწვრთნელი:** კარლოს რამოსი

**გაფრთხილება:** პანცილი, ფერნანდო, ბოატენგი, იბრაჰიმი

**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

11 000 მაყურებელი

**მატჩის** დამატებითი დროის მეორე წუთზე ოქროს გოლით აფრიკელმა მენსამ დაამსხვრია ბრაზილიელთა იმედები. ანგარიში კი ამ ჩემპიონატისთვის დამახასიათებელი ტიპური სცენარით გაიხსნა — მეკარე მაქსველ ბანაჰენის შეცდომა განელებს გოლად დაუჯდათ. თუმცა აფრიკელებმა მერე საკმაოდ მონდომებულად ითამაშეს და ძირითადი დროის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გაათანაბრეს.

ბრაზილიეთა წარუმატებლობა, უნდა ითქვას, ერთგვარად კანონზომიერიც იყო, რამდენადაც ის სათამაშო სტილი, რომელიც მათ არგენტინაში აირჩიეს, საკმაოდ სახიფათო გამოდგა. მთელი მატჩის განმავლობაში თამაშის სადავეების ხელში აღება, მიუხედავად მოწინააღმდეგის სისუსტისა, ნებისმიერი გუნდი წარმატების საწინდარია. ბრაზილიელები კი შეხვედრის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს თამაშობდნენ ჯიგრიანად, დანარჩენ დროს კი მინდორზე ისვენებდნენ. აკი, ვარაუდობდა არგენტინელთა მწვრნელი ხოსე პეკერმანი — ბრაზილია თუკი სერიოზულად არ მიუდგება საქმეს, საეჭვოა წარმატებას მიაღწიოსო.

### ჩეხეთი 0:1 პარაგვაი

0:1 სალკედო (31)

**ჩეხეთი:** ჰუბშმანი, კრაპი, სირლი, გლოსი (მაჩეკი 46), ლაფატა (სედივეცი 46), ჟივნი, პოლაკი, მუხილი, იუნი, ბესტა, ჩეკი

**მწვრთნელი:** დუშან ფიცელი

**პარაგვაი:** ბარეტო, დევაკა, მარტინესი, ბენიტესი, ფრეტესი, და სილვა (ფატეჩა 34; ქსტიგარიბია 86), გონსალესი, სალკედო, ესკოვედი, ხიმენესი, ბარეირო

**მწვრთნელი:** კრისტობალ მალდონადო

**გაფრთხილება:** სალკედო, მარტინესი, ჟივნი, პოლაკი, სირლი, ბარეტო

**გაძევება:** გონსალესი (26)

**მსაჯი:** კოფი ბონავენტურე კოჯა (ბენინი)

6 000 მაყურებელი

**ამ მატჩმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გუნდები რაც უფრო გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად მოქმედებენ, მით უფრო დიდია შანსი ისეთ დაძაბულ ტურნირში წარმატებული გამოსვლისა, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია. პარაგვაი სწორედ ამგვარი ტაქტიკური მონახაზით თამაშობდა და სრულიად დამსახურებულად გავიდა ნახევარფინალში.

მას შემდეგ რაც კაცნაკლულ პარაგვაელები დაწინაურდნენ, იგრძნობოდა, რომ თამაშის რეჟისურა მწვრთნელის კრისტობალ მალდონადოს სცენარით მიმდინარეობდა. ფაქტობრივად მთელი გუნდი საკუთარ მოედანზე დამკვიდრდა. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთამერიკელებმა შეგნებულად დაუთმეს მეტოქეს ნახევარი, ევროპელებმა ვერაფერი შეძლეს. ისინი ბევრს ეცადნენ, რამდენიმე სახიფათო შეტევაც წამოიწყეს, თუმცა უშედეგოდ.

### ჰოლანდია 1:2 ეგვიპტე

1:0 ვან დერ ვაარტი (33), 1:1 ამინი (47), 1:2 ელ იამანი (65)

**ჰოლანდია:** კუტინიო, ჰეიტინგა, ლეივიკაბესი (ბუტაჰარი 66), მენდესი, მუსტაფა, ვან დერ ვაარტი, ჰუნტელაარი (ჰოუვინგი 63), ჰერსი, სტროკელი, ვან დიიკი, კოლკი (ვან დიერენი 39)

**მწვრთნელი:** ლუის ვან გაალი

**ეგვიპტე:** სობჰი, აბუ ელ მაგდი, ამინი, ელ ატრავი, შავკი, რეიადი, შეჰატა (აბდელვაჰედი 46), ელ იამანი, ჯალი, აბუ მუსლიმი, ჰამზა (მაჰმუდი 86)

**მწვრთნელი:** შავკი ჯარიბი

**გაფრთხილება:** ვან დერ ვაარტი, ვან დიერენი, მუსტაფა, ვან დერ ვაარტი, ვან დიიკი, ჯალი, ბუტაჰარი, ელ იამანი

**გაძევება:** ვან დერ ვაარტი (55), ჰეიტინგა (90)

**მსაჯი:** კლაუდიო მარიო მარტინი (არგენტინა)

6 500 მაყურებელი

**ეგვიპტემ** ვან გაალის შეგირდები დაამარცხა, თანაც მაშინ, როცა პირველ ტაიმს აგებდა. გოლი ეგვიპტელთა მეკარის მუჰამედ სობჰის შეცდომის შედეგად გავიდა. ეგვიპტელთა ფსიქოლოგიური განწყობის სრული სურათისთვის გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფრიკელებს ჯგუფურ ტურნირში წაგებული აქვთ საკმაოდ დიდი ანგარიშით — 1:7. ასეთი კატასტროფული მარცხის მერე ბევრი გუნდი გულს გაიტეხდა და მომდევნო მატჩებს უხეიროდ ითამაშებდა, თუმცაღა, ეგვიპტემ არაფერი დათმო და უშეღავათო ბრძოლით ნახევარფინალში გააღწია — სავსებით დამსახურებულადაც.

პირველი ტაიმი მართლაც რთული აღმოჩნდა ეგვიპტელთათვის, მეორეში კი მათ ტაქტიკა შეცვალეს, სწრაფ შეტევებზე გადაიტანეს აქცენტი, რასაც რეალური შედეგიც მოჰყვა — ორმა გატანილმა გოლმა აფრიკელები ჩემპიონატის უძლიერეს კვარტეტში დაამკვიდრა.

### 1/2 ფინალი. 4 ივლისი

**ეგვიპტე — განა**

**არგენტინა — პარაგვაი**



ხავიერ სავიოლა

# ევროპის ქალთა ჩემპიონატი



შვედეთი — რუსეთი. ჰანა ლიუნგბერგმა და შვედეთმა რუსეთი ევროპის ჩემპიონატიდან გააპანღურეს

### III ტური

#### A ჯგუფი

**ინგლისი 0:3 გერმანია**

0:1 პეტრა ვიმბერსკი (57), 0:2 ბეტინა ვაიგმანი (65), 0:3 რენატე ლინგორი (68)

**შვედეთი 1:0 რუსეთი**

1:0 ლინდა ფაგერსტრომი (76)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| რუსეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |
| ინგლისი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

გერმანია და შვედეთი გავიდნენ ნახევარფინალში

#### B ჯგუფი

**დანია 1:0 ნორვეგია**

1:0 მერეტ პედერსენი (84)

**საფრანგეთი 2:0 იტალია**

1:0 მარინეტ პიჩონი (37), 2:0 ფრანსუა ჟეზეკელი (74)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |

დანია და ნორვეგია გავიდნენ ნახევარფინალში

**გვახსენდება,** რომ მეორე ტურის შემდეგ ინგლისელი ქალები იმის იმედად იყვნენ, რუსები შვედებს მოუგებენ, გერმანია კი ჩვენ დაგვითმობს, თავისთვის არაფრის მომტან თამაშსო.

ბედი არ ჰქონიათ ინგლისელებს — ვერც რუსებმა ივარგეს და თავად ხომ შერცხვნენ. ისე, გერმანელებს მაინცდამაინც არ გამოუდიათ თავი, თორემ მათი წინა თამაშები რომ გვახსოვს, ახლაც, ჯგუფში ყველაზე სუსტ მეტოქეს პირველივე ტაიმში მოუთავებდნენ საქმეს.

თუკი A ჯგუფში ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა, B ჯგუფზე იგივეს ვერ ვიტყვით. ერთი რომ, წინა ორი ჩემპიონატის ფინალისტი იტალია ნახევარფინალს მიღმა დარჩა და მეორეც — ნორვეგია მეორეზე გავიდა. ვფიქრობთ, მეორე ამბავი პირველზე მოულოდნელია. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ყველა გერმანია — ნორვეგიის ფინალს ელოდა, რაკი ევროპაში ამ ორს ბადალი არ ჰყავს. ახლა კი ისე მოხდა, რომ ესენი ნახევარფინალში ხვდებიან, რაც ერთგვარად ფინალია ფინალამდე

### 1/2 ფინალი. 4 ივლისი

**გერმანია — ნორვეგია**

**დანია — შვედეთი**

40º Copa América
Colombia 2001
11 al 29 de julio

# გული გულობდეს და ბურთი კოლუმბიაშიც გაგორდება



REUTERS

ერნან მეჯია კამპუსანო (მარჯვნივ) ტყვეობიდან კი გაათავისუფლეს, მაგრამ ამით კოპას არაფერი ეშველა

**თერთმეტ** ივლისს მილიონობით სამხრეთამერიკელი გულისფანცქალით ელოდა. ამ დღეს კოლუმბიაში კოპა ამერიკის მორიგი გათამაშება უნდა დაწყებულიყო, მაგრამ კონტინენტის უპირველესი საფეხბურთო ტურნირი ერთი წლით გადაიდო. ზუსტი თარიღი შემდეგ კვირას, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის საგანგებო სხდომის გადაწყდება.

„სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები იმპროვიზაციის უნარით არიან ცნობილნი, მაგრამ მოულოდნელობების შეთავაზება კონტინენტის ფეხბურთის მესვეურთაც ეხერხებათ" — ამგვარ შეფასებას აძლევს ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო წლევანდელი კოპა ამერიკის გადადებას. მართლაც ასეა, კონფედერაციამ ჩემპიონატის დაწყებამდე ათი დღით ადრე გამოაცხადა: კოლუმბია მზად არ არის ტურნირის მასპინძლობისთვის. ატყდა დავა და სჯაბაასი. კოლუმბიელები ირწმუნებოდნენ, ჩემპიონატის ჩატარებას წინ არაფერი უდგასო. პრეზიდენტი პასტრანა კოპა ამერიკის გამოყენებას პოლიტიკური თვალსაზრისითაც ცდილობდა — კოკაინისა და ხალხის გამტაცებლების სამშობლოში, სამოქალაქო ომით დარბეულ და უმართავ ქვეყანაში კონტინენტის ჩემპიონატი „მშვიდობის თასის" რანგში უნდა ჩატარებულიყო. თორმეტი ეროვნული გუნდი მშვიდად გააგორებდა ბურთს კოლუმბიის სტადიონებზე და ეს მაშინ, როცა გატაცება, ტერორისტების მიერ ქალაქების ბომბვა და ათასი სხვა რამ ამ საშიშ ქვეყანაში უკვე მოდადაა ქცეული. პრეზიდენტის ჩანაფიქრიც ეს იყო, კოლუმბიისთვის როგორმე ჩამოერეცხა სამარცხვინო იმიჯი.

პასტრანამ და მისმა თანამემამულეებმა ვერ შეძლეს კონფედერაციის ხელმძღვანელობის დარწმუნება. საქმეს იმგვარი პირი უჩანდა, რომ კოლუმბია კოპა ამერიკის მასპინძლობას დაკარგავდა. ბრაზილიამ, ურუგვაიმ და მექსიკამ გამოთქვეს კიდეც სურვილი ჩემპიონატის მასპინძლობისა, მაგრამ კოლუმბიელები გადარჩნენ. ფეხბურთის მამებმა წლევანდელი გათამაშება გადადეს, თუმცა საგაისო მასპინძლად კვლავ ფეთქებადი და მოულოდნელობით სავსე კოლუმბია დასახელდა.

ძნელია, მოვლენებში გარკვევა, მაგრამ ამბოხებულებმა როგორც კი ჩემპიონატის გადადების შესახებ შეიტყვეს, კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის გატაცებული ვიცე-პრეზიდენტი ერნან მეჯია კამპუსანო უმალ გაათავისუფლეს. ქვეყნის ოფიციოზი ირწმუნებოდა, რომ შეიარაღებულ ანტისამთავროებს არაფერი ჰქონდათ კოპა ამერიკის საწინააღმდეგო. კამპუსანო ტურნირის დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე გაუჩინარდა და როგორც კი გახმაურდა ცნობა, რომ წლეულს კოპა ამერიკა აღარ გაიმართება, შინ გაამგზავრეს.

ერთი წლის შემდეგ რა იქნება, არავინ უწყის. ბუენოს აირესში გამართულ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის სხდომაზე, რომელსაც ტყვედყოფილი კამპუსანოც ესწრებოდა, კოლუმბიის საგაისო მასპინძლობა ცხარე საკამათო თემად იქცა. წლევანდელი ხელმოცარულები მოწინააღმდეგეებს გალმა შეედავნენ. ათასი რამ, მათ შორის 1978 წლის არგენტინის ჩემპიონატიც გაიხსენეს. იმ დროს, როდესაც არგენტინაში დიდი არეულობა, შიშიანობა სუფევდა, ოცდაათიათასამდე კაცი უგზოუკვლოდ გაქრა, ქვეყანას სასტიკი დიქტატურა და რეპრესიები სტანჯავდა, მსოფლიოს ჩემპიონატი გართულებების გარეშე ჩატარდა. წესრიგთან დაკავშირებით პრობლემები წინა ორი კოპა ამერიკის მასპინძლებს — ბოლივიასა და პარაგვაისაც ჰქონდათ, მაგრამ ტურნირის გადავადება აზრად არავის მოსვლია.

ეს რაც შეეხება პოლიტიკოსებსა და ტერორისტებს, მათ გარდა კოპა ამერიკის გადადების კიდევ ერთი, წმინდა საფეხბურთო მიზეზი არსებობს. ბევრი ფიქრობს, რომ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ჩაშლა ვარსკვლავთა ბოიკოტმაც გამოიწვია. მრავალი არგენტინელი, ბრაზილიელი, კოლუმბიელი ოსტატიც უარს ამბობდა ტერორისტთა ქვეყანაში წასვლაზე. მათ ბევრი რამ, ძირითადად კი ხანგრძლივი საფეხბურთო სეზონის შემდეგ დასვენების სურვილი მოიმიზეზეს. კოპა ამერიკა ბატისტუტას, ვერონის, რივალდოს, რობერტო კარლოსის და მრავალი დიდოსტატის გარეშე რჩებოდა. მართლაც უსამართლობა იქნებოდა, კონტინენტის ჩემპიონის ვინაობა მათ გარეშე გარკვეულიყო. აქ ფეხბურთის გულშემატკივარმა მოიგო, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ ნაკრებები გადადებული კოპა ამერიკისთვის თავიანთ ვარსკვლავებს დაიბრუნებენ? მით უმეტეს, რომ მოულოდნელობებით უკვე ცნობილი კონფედერაციის მესვეურნი მართლაც საკვირველ რამეს გვთავაზობენ. მათი თქმით, კონტინენტის ჩემპიონატი გაისად იანვარ-თებერვალში ანაც კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უნდა გაიმართოს. იანვარ-თებერვალში სამხრეთ ამერიკასა და ევროპაშიც, სადაც უამრავი სამხრეთამერიკელი ლეგიონერი ბურთაობს, ეროვნული ჩემპიონატებია გახურებული. კორეა-იაპონიის შემდეგ კი მოქანცულ ფეხბურთელებს ძალების აღსადგენად რა დრო დასჭირდებათ, ყველამ კარგად უწყის. თუ ასე გაგრძელდა, არ ყოფილა კოპა ამერიკის საშველი. კონტინენტის ჩემპიონატს გვარიანი საფრთხე, მისი მნიშვნელობის დაკნინება ელის. დასაფიქრებელია, როცა დიდი ფეხბურთელი მსოფლიოს უძველეს სანაკრებო გათამაშებაზე წაუსვლელობას დაღლილობით ხსნის. ეს ფაქტორი სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ უნდა გაითვალისწინოს. ევროპაში მობურთალ ფეხბურთელებს იქაური ჩემპიონატები მართლაც უდიდეს ენერგიას ართმევს. ამას დაემატა სიახლე — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ათი სამხრეთამერიკული ნაკრები ბოლო ორ გათამაშებას ერთმანეთში თამაშობს, ამიტომაც საერთო ჯამში ლეგიონერებს თვრამეტი მატჩის გამართვა, ევროპიდან სამშობლოში თვრამეტჯერ გადაფრენა უხდებათ. არცაა გასაკვირი, ამგვარი დატვირთვის შემდეგ ვინმემ დაღლაზე იწუწუნოს.

სამხრეთმერიკელებს ისე გამოუვიდათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევები კოპა ამერიკაა. ვფიქრობთ, ეს აზრი მრავალს გაუელვებს. ასეთ ვითარებაში, სად ჩატარდება გაუფასურებული გათამაშება, ვგონებთ, დიდად საინტერესო არ უნდა იყოს.

კოლუმბიელებმა კი გაიხარეს მასპინძლობის შენარჩუნებით. კონფედერაციასაც შეჰპირდნენ, ერთ წელიწადში ყველაფერს მოვაგვარებთო, მაგრამ უფრო უპრიანი იქნებოდა, მათ და მთელს კონფედერაციასაც სხვა რამეზე ეფიქრათ. პოლიტიკოსს, დიქტატორსა და მეამბოხეს თავ-თავიანთი ადგილი აქვთ, მისი უფროსის კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ალვარო ფინას ზემოთ ნახსენები არგუმენტი მოვიშველიოთ: ხომ ხედავდით, რა ხდებოდა არგენტინაში 1978 წელს, მაგრამ ჩემპიონატს წინ ვერაფერი დაუდგაო.

**გიორგი მამარდაშვილი**




კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალვარო ფინა და სამხრეთ ამერიკის კონფედერაციის პრეზიდენტი ნიკოლას ლეოსი

Copa Toyota Libertadores 2001

ლიბერტადორესის თასი 2001



REUTERS

„ბოკას" კაპიტან ხორხე ბერმუდესს და მწვრთნელ კარლოს ბიანკის უფულობა დაშორებთ

# ლიბერტადორესმა ბოკა და ბუენოს აირესი დაშალა

**მეკარე** კორდობა და მავანი მექსიკელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან. გამორბენი, დარტყმა და... აგუგუნდა „ლა ბომბონერა". ლიბერტადორესის თასი მეოთხედ, ზედიზედ კი მეორედ ბუენოს აირესში დარჩა. მადლიერმა გულშემატკივრებმა თასს ჩახუტებულ ბოკახუნიორსელებს საპატიო წრის ძუნძულით შემორბენა, გამარჯვებულის როკვა დააცალეს, შემდეგ კი აირია მონასტერი. ძალლი პატრონს ვერ სცნობდა. არგენტინის დედაქალაქში ფრიალებდა „ბოკას" გიგანტური დროშები, აქა-იქ ვიტრინების მსხვრევის ხმებიც გაისმა. არც მაშხალებისა და ცრემლსადენი გაზის ნაკლებობა იგრძნობოდა. ყოველივე კი ლიბერტადორესის თასის საპასუხო ფინალური მატჩის, „ბოკა ხუნიორსი" — „კრუს ასულის" წინ დაიწყო. ცხადია, თამაშმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და მრავალი ქომაგი დარჩა სტადიონს მიღმა. ბევრმა მათგანმა „ბომბონერაზე" შეღწევა მოიწადინა. პოლიციელებმა ხელკეტებიც კი დაასაქმეს. შემდეგ იყო თამაშში ექვსწუთიანი პაუზა და ცრემლსადენი გაზი. ბოლოს „ბოკამ" თერთმეტმეტრიანებში იმარჯვა და პოლიციასაც გულს ნაადრევად მოეშვა.

გიჟმაჟმა ქომაგებმა ქალაქის ცენტრში დიდი ამბები დაატრიალეს. თან გზად მდებარე მაღაზიები და ორი სკოლაც ზაფხულის სიცხეებისთვის შესაფერ მდგომარეობაში (თუმცა არგენტინაში ახლა ზამთარია) უვიტრინოდ და უმინოდ დატოვეს. შედეგად ორასამდე კაცი დააპატიმრეს. აქედან უმრავლესობა აყამაყალისთვის. დაკავებულთა შორის ამ შემთხვევაში უდანაშაულო თერთმეტი ქომაგიცაა, რომელთაც ჯიბეში ნარკოტიკი აღმოაჩნდათ. პოლიციელებს ერთი თაღლითი, ყალბი ბილეთების მოვაჭრეც ჩავარდნია ხელში.

ეს იყო და ეს, ბუენოს აირესი დაშოშმინდა. „ბოკამ" სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასი მოიგო, მაგრამ ეტყობა, რომ ძალიან უჭირს. ფეხბურთელებს გასამრჯელოს ვერ ურიგებს. ამგვარი წარმატება და დღევანდელი ფინანსური პრობლემები „ბოკა ხუნიორსს" საკუთარი ვარსკვლავური გუნდის დაშლას უქადის. მუშტარი ბუენოსაირესელებს იცოცხლეთ, ჰყავს.

არგენტინის დედაქალაქს, მიუხედავად კლუბის ხელმძღვანელობის მცდელობისა, ახალი მარადონა, ოც მილიონად შეფასებული რიკელმე მალე დატოვებს. მის კვალს ალბათ „ბოკას" კოლუმბიელთა ტრიო — კორდობა, ბერმუდესი და სერნაც მიჰყვებიან. კარის დარაჯსა და სერნას მილანის „ინტერი" ეპატიჟება, ბერმუდესს კი „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთისკენ ექაჩება. ასევე შესაძლებელია, იბარა „პორტოში", ხოლო მატელანი „შალკეში" ვიხილოთ. აბუნდაჩიერი და ტრავერსო კი მშობლიურ კონტინენტთან ახლოს, მექსიკაში აპირებენ კარიერის გაგრძელებას.

დიდი მარადონას ყოფილი გუნდი, ძალიან კარგი „ბოკა ხუნიორსი" შესაძლოა დაიშალოს. ფეხბურთს თავისი კანონები აქვს და ერთ-ერთი მათგანია — არ გადაუხდი, სხვა წაიყვანს. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ კარლოს ბიანკის ნალოლიავები გუნდი მომავალ წელს იგივე იქნება, რაც „ბოკაში" ამ მწვრთნელის მოსვლის დროს იყო. ბიანკიმ გუნდი 1990 წელს ჩაიბარა და ქვეყნის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის შუაგულის ბინადარნი სამჯერ არგენტინის ჩემპიონებად აქცია. ორჯერ ზედიზედ ლიბერტადორესი მოიგო, შარშან კი საკონტინენტთაშორისო თასი ბრწყინვალე გუნდს, მადრიდის „რეალს" არ დაანება.

**გიორგი მამარდაშვილი**



„სარაგოსას" კაპიტანმა ხავი აგუადომ სამეფო თასი მეფისგან ჩაიბარა

# დირექტორის ასეთი უნდა!

## კოსტამ სარაგოსას თასი დაუტოვა

### ესპანეთი

#### თასის ფინალი

**სელტა 1:3 სარაგოსა**

1:0 მოსტოვოი (4), 1:1 აგუადო (23), 1:2 ჟამელი (37პ), 1:3 იორდი (90)

სელტა: კავალიერო, ხუანფრანი, კასერესი, ველასკო (ედუ 66), ბერიზო, კარპინი, მოსტოვოი, ჯოვანელა, ხაიო, გუსტავო ლოპესი (მაკარტი 80), კატანია

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

სარაგოსა: ლაინესი, გურენკო, პაკო ხემესი, პაბლო, აგუადო, რებოსიო (კუარტერო 76), მარტინ ველისკა (გარიტანო 88), აკუნია, ხოსე იგნასიო, ხუანელე, ჟამელი (იორდი 66)

მწვრთნელი: ლუის კოსტა

გაფრთხილება: ბერიზო, ჟამელი, ხუანფრანი, პაბლო, ლაინესი, პაბლო

გაძევება: პაბლო (90)

55 000 მაყურებელი

**ესპანეთში** სეზონის ბოლო მატჩიც გაიმართა, თუმცა ფინალის შედეგი ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც ელოდნენ. „სელტა" პრიმერადივიზიონში მეექვსე ადგილზე გავიდა, ხოლო „სარაგოსა" ძლივს გადაურჩა გავარდნას. მაგრამ თასის თამაშების ღირსებაც ისაა, რომ ობიექტურად უფრო სუსტ გუნდებს ძლიერთა დამარცხება შეუძლიათ.

თამაშის დასაწყისი „სელტასი" იყო და გალისიელებმა მეხუთე წუთზევე გახსნეს ანგარიში. ეს ალექსანდრ მოსტოვოიმ მოახერხა. რუსმა ორი მცველი ჩამოიცილა და მეკარე სესარ ლაინესთან პირისპირ დარჩენილმა გაიტანა.

„სელტა" აქამდე ორჯერ იყო სამეფო თასის ფინალში და ორჯერვე დამარცხდა. სხვათა შორის, ბოლოს, შვიდი წლის წინ ვიგოელებმა სწორედ „სარაგოსასთან" წააგეს პენალტების სერიაში უგოლო ფრის შემდეგ. ეგებ ამიტომაც, სწრაფი გოლის შემდეგ ვიგოელებმა სიფრთხილე ამჯობინეს და დაცვაში გამაგრდნენ. უხეში შეცდომა იყო — არაგონელები შეტევაზე გადავიდნენ და 19 წუთში პირველი გოლიც მოიკეს. პარაგვაელმა ტორო აკუნიამ საჯარიმო ჩააწოდა და კაპიტანმა ხავი აგუადომ ნახტომში, თავურით ბურთი ორეულ კუთხეში გაგზავნა. არადა, აგუადოს სამი ვიგოელი მეურვეობდა.

საპასუხო გოლმა „სარაგოსას" მადა აუხსნა და სანამ „სელტა" გონს მოკებოდა, მეორეც გაიტანა. ედუარდო ბერიზომ საჯარიმოში სხვა ედუარდო, ჟამელი, წააქცია და სარაგოსელთა ბრაზილიელმა თავისიანები პენალტით დააწინაურა.

„სელტა" შესვენების მერე გამოფხიზლდა და მეტოქეს შტურმი მოუწყო. შედეგი? არანაირი. სამაგიეროდ, მატჩის მიწურულს, ბოლო წუთზე, „სარაგოსამ" გალისიელები კონტრშეტევაზე გამოიჭირა და იორდი პაბლო კავალიეროსთან პირისპირ გავიდა. მეკარემ თავდამსხმელი წააქცია, მაგრამ არბიტრ ხოსე მარია გარსია არანდას კიდევ ერთი პენალტის დანიშვნა არ დასცალდა — იორდი წამოხტა და ბურთს ფეხი წაჰკრა — 3:1.

„სელტამ" თასის სამი ფინალიდან სამივე წააგო და არსებობის 78-წლიან ისტორიაში კვლავაც ჯილდოს გარეშე რჩება. აღვნიშნოთ, რომ ვიგოელები მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ — ერთ ეპიზოდში ხუანფრანის წაქცევისთვის არანდას პენალტი უნდა დაენიშნა, ამის ნაცვლად კი წაქცეული, ვითომდა სიმულაციისთვის, ყვითელი ბარათით დასაჯა.

ეგებ, მსაჯი შეცდა კიდეც, მაგრამ ჩვენ ფაქტი აღვნიშნოთ: „სარაგოსამ" მეხუთედ მოიგო სამეფო თასი, რომელიც ჩვეულებისამებრ მეფე ხუან კარლოსმა გადასცა.

თასი, ასევე ჩვეულებისამებრ, კაპიტანმა აღმართა. საინტერესოა, რომ ხავი აგუადო ერთადერთია დღევანდელ „სარაგოსაში", რომელიც შვიდი წლის წინანდელი გამარჯვების მონაწილეა. ჯილდოს გადაცემას კი სევილიაში ჩასული თორმეტი ათასი სარაგოსელი ქომაგის ყიჟინა მოჰყვა.

გამარჯვებით დაასრულა სამწვრთნელო მოღვაწეობა ლუის კოსტამაც, რომელიც რამდენიმე თვის წინ ხუან მანუელ ლილიოს გაშვების შემდეგ მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა. კოსტა თავის ძველ პოსტს — კლუბის ტექნიკურ დირექტორობას უბრუნდება და როგორც უკვე გადაწყვეტილია, ადგილს ბილბაოს „ატლეტიკის" ყოფილ დამრიგებელ ჩიჩო როხოს უთმობს. საინტერესო დეტალია — „სარაგოსა" — „სელტას" შვიდი წლის წინანდელ ფინალში როხო „სელტას" მწვრთნელი გახლდათ.

**გიორგი დარჯანია**

#### ესპანეთის თასის ყველა მფლობელი

| | თასი | ფინალი |
|---|---|---|
| ბილბაო | 23 | 10 |
| ბარსელონა | 23 | 9 |
| რეალი | 17 | 18 |
| ატლეტიკო | 9 | 7 |
| ვალენსია | 6 | 8 |
| სარაგოსა | 5 | 4 |
| ირუნი | 4 | 1 |
| სევილია | 3 | 2 |
| ესპანიოლი | 3 | 7 |
| არენას გეჩო | 1 | 3 |
| სოსიედადი | 1 | 3 |
| ვისკაია | 1 | 2 |
| ბეტისი | 1 | 2 |
| დეპორტივო | 1 | — |
| სისლისტა | 1 | — |

# სამარაში ფრედი მერკური გააცხსენდათ...

## „კრილია" ზაფხულის ჩემპიონია

### რუსეთი

#### XV ტური

**კრილია 3:1 ფაკელი**

1:0, 2:0 კარიაკა (2, 11), 2:1 საფრონოვი (36), 3:1 სამარონი (84)

**ტორპედო 1:4 სატურნი**

0:1 მოვსესიანი (18), 1:1 ლეონჩენკო (20პ), 1:2 მილოშინი (50), 1:3 ლიაპკინი (58), 1:4 კუჩინოვი (80)

**ალანია 1:1 ტორპედო ზილ**

0:1 კლიმოვი (29), 1:1 ბიტაროვი (50)

**ანჟი 0:1 როსტსელმაში**

0:1 კირიჩენკო (78)

**ლოკომოტივი 2:0 როტორი**

1:0 ობიორა (23), 2:0 ბუზნიკინი (69)

**ზენიტი 2:1 სპარტაკი**

0:1 პარფიონოვი (17პ), 1:1 კერჟაკოვი (70), 2:1 კატულსკი (74)

**სოკოლი 0:0 ჩერნომორეცი**

**ცსკა 2:0 დინამო**

1:0 პოპოვი (59), 2:0 ფილიპენკოვი (64)

**პირველად** რუსეთის ჩემპიონატების ისტორიაში პირველი წრე „კრილია სოვეტოვმა" მოიგო. საერთოდაც, „კრილია" მეორე არამოსკოვური გუნდია, ვინც შუა სეზონში გათამაშების ცხრილს ლიდერობს. მანამდე ასეთი პატივი ქართველებით დახუნძლულ „ალანიას" რგებია 1995 და 96 წლებში. ერთი სიტყვით, მე-15 ტურში „კრილიამ" რუსული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა, რაც მისი მთავარი კონკურენტების „სპარტაკისა" და „ტორპედოს" წაგებებმა განაპირობა.

უკვე მე-10 წუთზე ანდრეი კარიაკას ორი გოლით სამარელები 2:0 უგებდნენ „ფაკელს". მეორე წუთზევე კარიაკას შორიდან დარტყმული ბურთი მეკარის ახლოს ბალახზე ახტა და კარში აღმოჩნდა. მერე კი კასიმოვის გამოზომილ პასს მეორე გოლიც მოჰყვა. 25-ე წუთზე იმავე კარიაკასთან უხეშობისთვის ვორონეჟელი კასტორნოი გააძევეს. თუმცა ტაიმის ბოლოს სტუმრებმა ერთი საპასუხო მაინც გაიტანეს და მასპინძლები მხოლოდ მაშინ დამშვიდდნენ, როცა დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სამარონიმ მესამე შეაგდო.

„მოდით, შევთანხმდეთ, წლეულს მართლაც კარგი გუნდი გვყავს და ღმერთმანი, ძალიან საწყენი იქნება თუ ვერაფერს მოვიგებთ — თქვა „კრილიას" მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა — არ დაგიმალავთ, მესამე გოლამდე ძალიან ვნერვიულობდი. ბიჭებთანაც ცოტ-ცოტა სასაყვედურო მაქვს, რაღაც მომენტში ძალიან მოეშვებიან ხოლმე. ასე იყო როსტოვშიც და რამენსკოეშიც".

ძნელი სათქმელია, რას გულისხმობდა ტარხანოვი, როცა ამბობდა „თუ ვერაფერს მოვიგებთო", მაგრამ გუნდის ქომაგებს, ეტყობა, უკვე ნათლად წარმოუდგენიათ რა უნდათ. როცა სამარის „მეტალურგის" სტადიონზე „ზენიტ" — „სპარტაკის" ანგარიში გამოაცხადეს, სტადიონის ახლო-მახლო მყოფი კაცი იფიქრებდა მასპინძლებმა გოლი გაიტანესო. მერე დიდხანს ისმოდა: „კრილია" ჩემპიონ! ბოლოს კი WE ARE THE CHAMPIONS-იც აჟღერდა. აი, ასეთი ამბავი იყო სამარაში.

ამასობაში „სპარტაკმა" პეტერბურგში წააგო „ზენიტთან". არადა, პირველ ტაიმში პარფიონოვის ზუსტად შესრულებული პენალტით იგებდა. მეორე ნახევრის ბოლოსკენ კი ოთხ წუთში ორი გოლი გაუშვა. ამან „სახალხოთა" მწვრთნელ ვიაჩესლავ გროზნის ათქმევინა: „თამაშს სამ ნაწილად დავყოფდი — პირველ და მეორე ტაიმებად, ასევე არასაფეხბურთო ნიუანსებად. პირველ ნახევარში კარგად ვითამაშეთ, თუმც ორი ნაღდი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. შირკომ გვიღალატა, გაუმართლებლად მიიღო მეორე ყვითელი და მოედნის დატოვება მოუხდა. თუმცა უპირატესობის დათმობას არ ვაპირებდით და შესვენებაზე ანგარიშის შენარჩუნებაზე სიტყვაც არავის უთქვამს. მაგრამ დასაწყისშივე ტიტოვმა სასწაულად ვერ გაიტანა, ამან ზენიტელებს აგრძნობინა, რომ თამაშის გადარჩენა შეიძლებოდა და შანსი ხელიდან არ გაუშვეს. თანაც კოვტუნი, მიტრესკი, კალინიჩენკო და ციხმეისტრუკი გვაკლდნენ, რაც ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. და მაინც, მჯერა, თუ ისე გავაგრძელებთ, როგორც პირველ ტაიმში ვითამაშეთ, ჩემპიონები ჩვენ გავხდებით".

ტურის ყველაზე სენსაციური ამბავი „ლუჟნიკიზე" მოხდა, სადაც ბოლო დროს აწყვეტილმა „ტორპედომ" შინ მეზობელ „სატურნთან" 1:4 წააგო. მასპინძლებს მიზეზთა გამო ძირითადის ოთხი ფეხბურთელი აკლდათ და მწვრთნელმა ვიტალი შევჩენკომაც დამარცხების მიზეზი ამაში იპოვა: „რა უნდა ვთქვა? დღეს ჩვენი უახლოესი რეზერვი ნახეთ. აი, ასე თამაშობს ფეხბურთს „ტორპედოს" დუბლების ოქროს ახალგაზრდობა. მოკლედ, რასაც ვიმსახურებთ, ის მივიღეთ. არც კი ვიცი, ამათგან რომელიმე ოდესმე თუ მოიკიდებს ძირითადში ფეხს.

ფული უნდა გავიღოთ და ფეხბურთელები ვიყიდოთ. სხვა გამოსავალი არ არის. ამ სეზონში სელექციისთვის 200 ათასი დავხარჯეთ. გამოდის, ეს თანხა ცოტა ყოფილა"...

„ტორპედომ" მეოთხე ადგილზე ჩაინაცვლა და მესამე საფეხური „ლოკომოტივს" დაუთმო, რომელმაც შინ „როტორს" 2:0 მოუგო და რომელსაც არცთუ სტაბილური თამაშის მიუხედავად, წლეულს ჩემპიონობის ძალიან კარგი შანსი აქვს, რაშიც ოღრო-ჩოღროდ მოარული „სპარტაკი" უწყობს ხელს.

„თასის ფინალისა და „სპარტაკთან" ორი დაძაბული მატჩის შემდეგ გუნდის ემოციური გადატვირთვისა მეშინოდა, მაგრამ ფეხბურთელები საქმეს სერიოზულად მიუდგნენ და დამსახურებულად გაიმარჯვეს" — თქვა რკინიგზელთა მწვრთნელმა იური სიომინმა.

ზაზა ჯანაშიამ ბოლო 18 წუთი ითამაშა ობიორას ნაცვლად და კვლავაც ერთადერთი ქართველი იყო, ვინც რუსეთის ჩემპიონატის ამ ტურში მინდორზე გავიდა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია | 15 | 9 | 2 | 4 | 19:9 | 29 |
| სპარტაკი | 15 | 8 | 4 | 3 | 16:12 | 28 |
| ლოკომოტივი | 15 | 8 | 3 | 4 | 23:11 | 27 |
| ტორპედო | 15 | 7 | 5 | 3 | 27:17 | 26 |
| ცსკა | 15 | 7 | 4 | 4 | 19:12 | 25 |
| ზენიტი | 15 | 7 | 4 | 4 | 21:20 | 25 |
| სოკოლი | 15 | 7 | 4 | 4 | 18:20 | 25 |
| დინამო | 15 | 5 | 5 | 5 | 18:16 | 20 |
| როსტსელმაში | 15 | 6 | 2 | 7 | 14:14 | 20 |
| სატურნი | 15 | 5 | 4 | 6 | 17:12 | 19 |
| ანჟი | 15 | 4 | 6 | 5 | 11:11 | 18 |
| ალანია | 15 | 5 | 2 | 8 | 13:22 | 17 |
| ტორპედო ზილ | 15 | 3 | 5 | 7 | 12:18 | 14 |
| როტორი | 15 | 3 | 4 | 8 | 13:21 | 13 |
| ფაკელი | 15 | 3 | 3 | 9 | 13:20 | 12 |
| ჩერნომორეცი | 15 | 2 | 5 | 8 | 7:26 | 11 |



ზენიტი — სპარტაკი. სერგო კვარაცხელიასი არ იყოს, სტანისლავ სუხინმაც თავს გაქცევით უშველა

### ფინეთი

მე-15 ტური: ატლანტისი — ტამპერე 1:3; ჰაკა — ლაჰტი 0:1; კუოპიო — ინტერი 1:2; როვანიემი — ჯაზი 1:0; ვაასა — იოკერიტი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 14 | 9 | 3 | 2 | 23:15 | 30 |
| ჰაკა | 17 | 7 | 5 | 5 | 24:15 | 26 |
| ჰიკ | 14 | 6 | 6 | 2 | 21:10 | 24 |
| მიუპა | 13 | 6 | 6 | 1 | 21:11 | 24 |
| ინტერი | 14 | 6 | 4 | 4 | 23:20 | 22 |
| ატლანტისი | 14 | 5 | 5 | 4 | 19:17 | 20 |
| ვაასა | 14 | 5 | 1 | 8 | 16:21 | 16 |
| იოკერიტი | 15 | 4 | 4 | 7 | 18:25 | 16 |
| ლაჰტი | 13 | 4 | 3 | 6 | 11:15 | 15 |
| კუოპიო | 14 | 3 | 6 | 5 | 8:14 | 15 |
| როვანიემი | 13 | 3 | 4 | 6 | 11:17 | 13 |
| ჯაზი | 13 | 1 | 3 | 9 | 7:22 | 6 |

### ბელარუსი

მე-11 ტური: ლოკომოტივი 96 — გომელი 0:1; ნემანი — დნეპრტრანსმაში 0:1; ნაფტან-დევონი — სლავია 0:2; ბატე — მოლოდეჩნო 6:3; ვედრიჩი — დინამო (ბრესტი) 2:3; ბელშინა — შახტიორი 1:0; ტორპედო მაზი — დინამო (მინსკი) გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბატე | 11 | 9 | 2 | 0 | 31:13 | 29 |
| ბელშინა | 11 | 7 | 2 | 2 | 16:6 | 23 |
| გომელი | 11 | 6 | 2 | 3 | 11:7 | 20 |
| ნემანი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:7 | 19 |
| შახტიორი | 11 | 5 | 4 | 2 | 16:10 | 19 |
| სლავია | 11 | 5 | 2 | 4 | 18:10 | 17 |
| დინამო (მინსკი) | 9 | 5 | 1 | 3 | 18:10 | 16 |
| დნეპრტრანსმაში | 11 | 5 | 1 | 5 | 14:15 | 16 |
| დინამო (ბრესტი) | 11 | 4 | 1 | 6 | 11:17 | 13 |
| ტორპედო მაზი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:13 | 12 |
| მოლოდეჩნო | 11 | 3 | 3 | 5 | 9:17 | 12 |
| ვედრიჩი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:22 | 7 |
| ლოკომოტივი 96 | 10 | 2 | 1 | 7 | 5:19 | 7 |
| ნაფტან-დევონი | 11 | 0 | 1 | 10 | 3:22 | 1 |

### ნორვეგია

მე-13 ტური: ბოდიო გლიმტი — სოგნდალი 2:2; ბრინი — ლინი 1:2; მოლდე — ვიკინგი 2:1; მოსი — სტაბეკი 1:3; რუსენბორგი — ბრანი 3:3; სტრიომსგოდსეტი — ოდ გრენლანდი 0:2; ტრომსიო — ლილესტრიომი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 13 | 8 | 3 | 2 | 35:18 | 27 |
| ვიკინგი | 13 | 8 | 3 | 2 | 27:15 | 27 |
| ოდ გრენლანდი | 13 | 8 | 2 | 3 | 27:12 | 26 |
| ლილესტრიომი | 13 | 8 | 2 | 3 | 28:17 | 26 |
| სტაბეკი | 13 | 8 | 1 | 4 | 23:21 | 25 |
| ბრანი | 13 | 6 | 4 | 3 | 32:20 | 22 |
| მოლდე | 13 | 6 | 3 | 4 | 25:20 | 21 |
| მოსი | 13 | 5 | 1 | 7 | 17:23 | 16 |
| სოგნდალი | 13 | 5 | 1 | 7 | 19:28 | 16 |
| ლინი | 13 | 3 | 4 | 6 | 19:20 | 13 |
| სტრიომსგოდსეტი | 13 | 2 | 4 | 7 | 17:33 | 10 |
| ბოდიო გლიმტი | 13 | 1 | 6 | 6 | 14:24 | 9 |
| ტრომსიო | 13 | 3 | 0 | 10 | 8:25 | 9 |
| ბრინი | 13 | 2 | 2 | 9 | 14:29 | 8 |

### ლიტვა

მე-19 ტური: კაუნასი — ვეტრა 3:0; ჟალგირისი — ინკარასი 6:0; ატლანტასი — გელეჟინისი 7:2; ეკრანასი — დაინავა 4:2; საკალასი — ნევეჟისი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 19 | 15 | 3 | 1 | 46:6 | 48 |
| ატლანტასი | 18 | 14 | 2 | 2 | 43:16 | 44 |
| ჟალგირისი | 19 | 12 | 4 | 3 | 38:17 | 40 |
| ეკრანასი | 18 | 8 | 5 | 5 | 30:18 | 29 |
| ინკარასი | 19 | 6 | 5 | 8 | 22:26 | 23 |
| ნევეჟისი | 19 | 5 | 7 | 7 | 15:22 | 22 |
| გელეჟინისი | 19 | 5 | 3 | 11 | 22:30 | 18 |
| საკალასი | 19 | 4 | 6 | 9 | 18:31 | 18 |
| ვეტრა | 19 | 3 | 3 | 13 | 15:40 | 12 |
| დაინავა | 19 | 2 | 2 | 15 | 17:60 | 8 |

### შვედეთი

მე-12 ტური: აიკ — იორგრიტე 2:2; ჰეკენი — ტრელებორგი 2:2; ელფსბორგი — იურგორდენი 1:2; იორებრო — ჰალმსტადი 1:1; ჰამარბი — ჰელსინგბორგი 3:1; მალმიო — სუნდსვალი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იორგრიტე | 12 | 5 | 5 | 2 | 19:12 | 20 |
| ჰამარბი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:11 | 20 |
| იურგორდენი | 12 | 5 | 5 | 2 | 14:12 | 20 |
| გიოტებორგი | 11 | 5 | 4 | 2 | 20:11 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 12 | 5 | 4 | 3 | 18:12 | 19 |
| მალმიო | 12 | 6 | 1 | 5 | 18:15 | 19 |
| ჰალმსტადი | 12 | 5 | 3 | 4 | 25:15 | 18 |
| ელფსბორგი | 12 | 5 | 2 | 5 | 19:21 | 17 |
| აიკ | 12 | 4 | 4 | 4 | 14:14 | 16 |
| იორებრო | 12 | 3 | 6 | 3 | 19:18 | 15 |
| ჰეკენი | 12 | 2 | 5 | 5 | 12:19 | 11 |
| ნორჩიოპინგი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:19 | 11 |
| სუნდსვალი | 12 | 2 | 3 | 7 | 7:16 | 9 |
| ტრელებორგი | 12 | 2 | 2 | 8 | 14:28 | 8 |

### მერდეკას თასი

#### ფინალი

**უზბეკეთი 2:1დ.დ. (1:1) ბოსნია**

1:0 კოშელევი (83), 1:1 ბრასნიჩი (90), 2:1 ჰამიდულაევი (119)



ფეხბურთელები პაპის წმირო სტუმრები არიან: იოანე პავლე მეორე და გაბრიელ ბატისტუტა

# ვოიტილა — ნომერი ერთი

**შესაძლოა,** მას პაპთა უძველესი სამოსის მორგება ერჩივნოს, მაგრამ ერთხელ მაინც მოუწევს სპორტული მაისურის ჩამოცმა — ლაპარაკი იოანე პავლე მეორეს და იტალიური სკუდეტოს მფლობელის, „რომას“ წითელ ფორმას ეხება.

„რომას“ წარმატების შემდეგ ეს გახლდათ პირველი მაისურა, ამ ტრიუმფისადმი მიძღვნილი და მას ზურგზე „ვოიტილა“ აწერია ანუ პაპის საერო გვარი. მაისურა პირველი ნომერია.

„პირველი ნომერია იმიტომ, რომ პაპი ყოველთვის პირველია — განაცხადა „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ ვატიკანის ტელევიზიით გამოსვლისას — კიდევ, პირველი ნომერია იმიტომ, რომ კაროლ ვოიტილა ახალგაზრდობაში მეკარე იყო და კიდევ, პირველი ნომერი იმიტომ, რომ ეს გახლავთ სკუდეტოსადმი მიძღვნილი პირველი ოფიციალური მაისურა“.

სენსის თქმით, პაპს საჩუქარს თავად ფეხბურთელები გადასცემენ მას მერე, რაც შვებულებიდან დაბრუნდებიან: „ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაში ერთხელ ხომ უნდა სცენ მეკარეს პატივი... ჩვეულებრივ ხომ ისინი არას დაგიდევენ“.

**ბაჩუნა ძიდია**

# ჯო ფეგანი



1984 წელს ჯო ფეგანმა (შუაში) „ლივერპულს“ ჩემპიონთა თასი მოაგებინა

**ოთხმოცი** წლისა გარდაიცვალა „ლივერპულის“ სამი დიდი მწვრთნელიდან უკანასკნელი — ჯო ფეგანი, 70-იანი, 80-იანი წლების „ლივერპულის“ შტაბის გამორჩეული წევრი — ჯერ ბილ შენკლის ერთ-ერთი თანაშემწე იყო, შემდეგ ბობ პეისლის მარჯვენა ხელი, 1983 წლიდან კი მწვრთნელი.

თავის სადებიუტო სეზონშივე ფეგანმა „ლივერპულს“ ქვეყნის ჩემპიონობა, ლიგის თასი და ჩემპიონთა თასი მოაგებინა. მომდევნო წელსაც ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა გუნდი, სადაც „იუვენტუსთან“ წააგო ბრიუსელის „ეიზელზე“. ამ თამაშის წინ ტრაგედია დატრიალდა. ჩხუბმა, ჭყლეტამ და ტრიბუნის ჩამონგრევამ 39 კაცის სიცოცხლე შეიწირა. ამ ამბავმა დიდად იმოქმედა ფეგანზე, რომელიც ალარაფრით გადავიდა წინასწარვე ნათქვამს და მენეჯერობიდან გადადგა. შემდეგ ფეგანი ლივერპულის „მოლვუდის“ სავარჯიშო მოედანზე მსახურობდა და ბევრ სასარგებლოს ურჩევდა მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს.

დიდი „ლივერპულის“ ერთ-ერთ შემქმნელს არასოდეს უთამაშია ამ გუნდში, ჯეელობაში „მანჩესტერ სიტის“ მცველი იყო.

24 ინფორმაცია საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)

### კირინის თასი

**იაპონია 2:0 პარაგვაი**

1:0, 2:0 იანაგისავა (16, 50)

იაპონია: კავაგუჩი, მაცუდა, მორიოკა, კ. ნაკატა, ჰატო, ინამოტო, მორიშიმა (ფუჯიმოტო 89), ტოდა (იტო 87), ონო (ჰატორი 70), იანაგისავა (იამასიტა 90), სუძუკი (ნაკაიამა 78)

პარაგვაი: ჩილავერტი, ისასი (ქსობარი 73), ხ. კასერესი, სანაბრია (ამარილია 60), ზელაია, კანისა, მორინიგო (კინტანა 46), ფერეირა, ესისო, გავილანი (მასი 83), მ. კასერესი (კუევასი 55)

გაძევება: კინტანა (81)

მსაჯი: პანია პანლუმიაუნგი (ტაილანდი)

39 073 მაყურებელი

# თეთრეულის გადაგდების ამბავი

## ლუიშ ფიგუს ქორწილში რეალმა პარმელ რუი კოშტას ფეხი სთხოვა

***ჩავხლართოთ: მილანის გუნდები „ინტერი“ და „მილანი“ შეთანხმდნენ, რომ 22 წლის ანდრეა პირლო, რომელიც ერთი წლის წინ „ინტერმა“ „ბრეშას“ ათხოვა, ახალი სეზონიდან „მილანში“ ითამაშებს, თუმცა „ფიორენტინასგან“ რუი კოშტა რომ შეეძინა, მაშინ „მილანი“ პირლოთი აღარ დაინტერესდებოდა, მაგრამ პორტუგალიელი ნახევარმცველი „პარმაში“ გაყიდეს და რომ არა ლუიშ ფიგუს ქორწილი...***





„მარკამ“ რუი კოშტა „რეალში“ უკვე გადაიყვანა

**მოდით,** აქ შევჩერდეთ. ამსიგრძე წინადადება, რომლის კიდევ გაგრძელებაც შეგვეძლო, იმიტომ მოგახსენეთ, რომ რუი კოშტას ტრანსფერის შესახებ გვეთქვა და ზედაც ის ამბავიც დაგვემატებინა, კოშტასთან ერთად პარმის გზას მეკარე ფრანჩესკო ტოლდოც რომ დაადგა.

მოგეხსენებათ, „ფიორენტინას“ სერიოზული ფინანსური კრიზისი უდგას და მოთამაშეებსაც ნაჩქარევად ამიტომ ყიდის.

აქ ერთი წუთით შევისვენოთ და იტალიური ესტრადის ვარსკვლავი ენცო გინაცი, მეტსახელად „პუპო“ გავიხსენოთ, რომელსაც ოთხმოციან წლებში ალბათ, თქვენც უსმენდით. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ცდილობს, ფინანსურად ძლიერი რამდენიმე ტოსკანელი მეწარმე გააერთიანოს, რომლებიც ფლორენციულ კლუბს იყიდიან.

„კლუბის ხელმძღვანელობის ბოლოდროინდელი განცხადებები და ქმედებები შოკში მაგდებს. ჩემი საყვარელი გუნდი მომავალ სეზონში რუი კოშტას, ენრიკო კიეზას, ნუნუ გომეშისა და ფრანჩესკო ტოლდოს გარეშე რჩებიან. ვთვლი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ვიტორიო ჩეკი გორი საღად ვერ აზროვნებს. გუნდის საქმეებს ნორმალური ადამიანები უნდა მართავდნენ და არა შიზოიდები. არსებობს დაინტერესებულ ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელთაც შეუძლიათ მყარი, მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარონ, რაც საბოლოოდ „ფიორენტინას“ წარმატებას შეუწყობს ხელს“ — განაცხადა მომღერალმა.

ამის პასუხად ვიტორიო ჩეკი გორი ამბობს, ასეთ დღეში მხოლოდ ფლორენციული კლუბი არ არისო.

„მართალია „ფიორენტინას“ პრეზიდენტი, იტალიაში ბევრ სხვა გუნდსაც უჭირს. რაც შეეხებათ ფლორენციელებს, იმედი მაქვს, რომ ისინი მალე მოაგვარებენ ყველაფერს“ — განაცხადა იმ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ, რომელმაც ჩეკი გორისგან რუი კოშტას ყიდვა ვერ მოახერხა.

ამრიგად, მანუელ რუი კოშტა და ფრანჩესკო ტოლდო ჯამში 61,24 მილიონ დოლარად პარმელები გახდნენ. თანხა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ „ფიორენტინას“ სალაროში ორი წლის განმავლობაში ჩაირიცხება. გარიგება მას მერე მოხდა (ორიოდ დღეში), რაც იტალიურმა ტრიბუნალმა ფლორენციული კლუბის გაკოტრების საკითხი დასვა.

წინა კვირას „ფიორენტინას“ დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ კლუბის ვალი 58,17 მილიონ დოლარს უდრის. ცნობილია, რომ სასამართლო მოსმენა დღესაა დანიშნული.

მაშ ასე, ჩეკი გორი პრობლემებს აგვარებს და მოთამაშეთა გუნება-განწყობას არად დაგიდევთ. გუნება-განწყობა კი ასეთია: ტოლდოს და რუი კოშტას „პარმაში“ წასვლა არ სურთ.

„სულაც არ მინდა თეთრეულივით მომიშორონ თავიდან. ჩემი და კოშტას გაყიდვა კლუბისთვის პანაცეა არ არის. მეორე მხრივ, „პარმას“ მადლობელი ვარ, ჩემდამი ასეთი ინტერესი რომ გამოიჩინა. და მაინც, ვფიქრობ, ჩემი კარიერა სხვა კლუბში უნდა გაგრძელებულიყო“ — თქვა მეკარემ.

მართლაც, ერთი წლის წინ გამართული ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე „ბარსელონაში“ გადადიოდა. კონტრაქტი ფაქტობრივად შედგენილი გახლდათ, მაგრამ...

„კატალონიელების წინადადებას დაუფიქრებლად დავთანხმდი, რადგან ჩემი კარიერისთვის უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად მიმაჩნდა. ამიტომაც, თავს ბედნიერად ვერ ვთვლი. ჯერ ერთი, „ბარსელონაში“ ვერ გადავედი და მეორეც, თავს უკვე ორგზის გაყიდულად აღვიქვამ“ — ამბობს ტოლდო.

რუი კოშტას ამბავი უფრო ჩახლართულია და ერთგვარად ფიგუს ქორწილს უკავშირდება.

მოკლედ, შაბათს ლუიშ ფიგუ და ელენა სვედინი დაქორწინდნენ. ცერემონიალი ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე, პატარა საკურორტო დაბა ალგარვეში შედგა, სადაც ფიგუ ხშირად ისვენებს ხოლმე. ქორწილს ჟურნალისტები ახლოს არ გააკარეს და შესაბამისად ფოტოებიც არსად გამოქვეყნებულა. რაღა ფოტოები, როცა ლუიშის და ელენის მრავალწლიანი ურთიერთობის დაკანონების ფაქტი საიდუმლოდ ინახებოდა და ქორწილამდე ორი დღით ადრე გაცხადდა.

დაპატიჟებულთა შორის იყვნენ: „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი, სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო, რაული, ხოსეპ გვარდიოლა, სერხი, აბელარდო, ლუის ენრიკე, ფიგუს რამდენიმე ბავშვობის მეგობარი, პორტუგალიის პრეზიდენტი და პორტუგალიისავე ნაკრების წევრები.

სტუმართაგან ჩვენ მხოლოდ სამნი გვაინტერესებს, რომლებიც, სანამ სხვები ილხენდნენ, ცალკე საუბრობდნენ — ფლორენტინო პერესი, ხორხე ვალდანო და რუი კოშტა.

პერესს და ვალდანოს კოშტასთვის უთქვამთ, „პარმაში“ რა გინდა, ჩვენთან წამოდიო და დაჰპირებიან, ჩეკი გორის მოველაპარაკებითო. პორტუგალიელსაც გაუმხელია, „რეალში“, ფიგუსთან ერთად თამაში ჩემი ოცნებაა და „პარმაში“ ბურთის გამგორებელი არ ვარო. მოკლედ, რუი კოშტა „ფიორენტინასა“ და „პარმას“ გარიგებას ამრეზით უყურებს, ისევე როგორც ფრანჩესკო ტოლდო.

ქორწილიდან ასეთი ხმაც გამოვიდა, „რეალი“ ამ დღეებში შესთავაზებს „ფიორენტინას“ 27 მილიონ დოლარსო. მაგრამ რუი კოშტა ხომ უკვე გაყიდულია? ან რას ფიქრობს „პარმას“ ხელმძღვანელობა, თუ პორტუგალიელი მათთან იმ განწყობით მივა, შეგნებულად უჯიგროდ ვითამაშებო?

ძალიან ჩახლართული ისტორიაა, არა? აკი, თავშივე მოგახსენეთ.

**ბაჩუნა ძიდია**



ლუიში და ელენი ქორწილამდეც ბედნიერად ცხოვრობდნენ

საქართველოს ჩემპიონატი. VI ტური

# ლელო შვილს!

**ქუთაისი დინამო 30 ივნისი**

**აია 19:10 ყოჩები**

**აია:** ხამაშურიძე, ჩუბინიძე, ზიბზიბაძე, თ. აშვეთია, ნამჩევაძე, ი. გიორგაძე, კ. გიორგაძე (სორდია); ა. კოპალიანი, დ. ბალანჩივაძე (კეპულაძე), ბუხაიძე (დადუნაშვილი), ნემსაძე (თ. ბალანჩივაძე), მინაძე, ტორაძე, ყურაშვილი, საყვარელიძე.
2 ლ: ზიბზიბაძე, მინაძე; 2 ს: ჩუბინიძე; 1 ა: ი. გიორგაძე
**ყოჩები:** კობერიძე, იმნაძე, ტრაპაიძე, მგელაძე (შარაშენიძე), ს. ლიპარტელიანი, კაჭარავა, გიორხელიძე; მელაძე, ხოსრუაშვილი, ფირიაშვილი, ჩაკვეტაძე, გუშარაშვილი, კ. მხეიძე, გ. ხაბეიშვილი, ხურცილავა
1 ლ: ფირიაშვილი; 1 გ და 1 ს: გიორხელიძე
გაფრთხილება: გიორხელიძე
მსაჯი: გია ჯავახიშვილი
მეთვალყურე: ზურაბ ხარშილაძე

**ზედიზედ** ხუთი გასვლითი მატჩის შემდეგ „აიას“, როგორც იქნა, შინაც მოუწია თამაში. ქალაქში აქა-იქ აფიშებიც გამოაკრეს, რაგბის მოყვარულთ „დინამოზე“ ეპატიჟებოდნენ. ჰოდა, ვინც არ დაიზარა და სტადიონზე მივიდა, არაფერი წაუგია, პირიქით, დიდად ნასიამოვნები დარჩა, ჯერ უშელავათო და ჯიგრიანი ბრძოლით და მერე მისი შედეგით, ქუთაისელებმა ხომ „ყოჩები“ წააქციეს, პირველად ბოლო ხუთი წლის მანძილზე.

ამ მატჩის ჩატარების ადგილი პარასკევამდე გაურკვეველი იყო. „დინამოს“ დირექცია მორაგბეების მოედანზე შეშვებას უარობდა იმ მოტივით, რომ ბალახი ახალი დათესილია და ნაღოლიავები საფარი დაზიანდებოდა. „აიას“, ალბათ, სადმე მეზობელ რაიონში მოუხდებოდა „ყოჩების“ გამასპინძლება, საქმეში იმერეთის გუბერნატორი რომ არ ჩარეულიყო. დიახ, ისევ თემურ შაშიაშვილის დახმარებით მორაგბეებმა „დინამოზე“ შესვლის უფლება მიიღეს.

ქუთაისელები ისედაც საგულდაგულოდ ემზადებოდნენ ამ მატჩისათვის, ხოლო საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერების, ბესო ხამაშურიძის და თედო ზიბზიბაძის გუნდში გამოჩენის შემდეგ „ყოჩებთან“ ტოლსწორად თამაშის უფრო დიდი იმედიც მიეცათ. მასპინძლები ნაცად მეტოქესთან გამარჯვებას ლამობდნენ და საბოლოოდ საწადელსაც მიაღწიეს, თუმც თავიდან მოვლენები მათთვის არასასურველად განვითარდა.

საწყისი წუთები სტუმართა უპირატესობით წარიმართა. „ყოჩებმა“ უმალ მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს თამაში, თავდაჯერებულად, ლაღად უტევდნენ და აკი დაწინაურდნენ კიდეც. მე-12 წუთზე „აიას“ ლელოსთან ახლო თბილისელებმა აუტი ბურთი მოიგეს და ფირიაშვილმაც უმალ გაარღვია დაცვა, გიორხელიძემ კი ზუსტად გარდასახა. ამის შემდეგაც კარგა ხანს ინიციატივას სტუმრები ფლობდნენ, ისინი აუტსაც იგებდნენ და შერკინებაშიც უფრო მძლავრნი ჩანდნენ, მაგრამ სადღაც შუა ტაიმში „აიამ“ მოახერხა თამაშის გათანაბრება, გაბედა და თავადაც შეუტია. მალე აშვეთიას მიეცა ანგარიშში სხვაობის შემცირების შანსი, მაგრამ 35-მეტრიანი საჯარიმო გაუცუდდა, თუმც რამდენიმე წუთში ჩუბინიძემ იმარჯვა და საკმაოდ მახვილი კუთხიდან კარის ძელებს შორის გაატარა ბურთი. ტაიმის ბოლოს ყოჩმა გიორხელიძემ ორჯერ ითავა საჯარიმოს დარტყმა და ორჯერვე ააცილა.

შესვენების შემდეგ „აიამ“ ტაქტიკა შეცვალა. სწრაფ, ხელით თამაშს მიჰყვა და ამ სვლამ გაამართლა კიდეც. მართალია, ჩუბინიძის ზუსტ საჯარიმოს გიორხელიძემ უმალ უნაკლო გასროლითვე უპასუხა, მაგრამ მასპინძლებმა ტემპი აღარ შეანელეს და უფრო მძლავრად შეუტიეს. ხუთწუთიან მონაკვეთში ყოჩები ზედიზედ ოთხჯერ დაჯარიმდნენ საკუთარი ლელოს სიახლოვეს. ქუთაისელებს ძალიან კი გაუჭირდათ შანსის გამოყენება, მაგრამ მაინც იძალეს, ბოლოჯერ კარგად გაათამაშეს ბურთი, მარჯვენა ფლანგიდან გაშალეს მარაო და ჩუბინიძის პასი ზიბზიბაძემ შეირგო. რომ იცოდეთ, როგორ ეცადა თედო ამ მატჩში თავის გამოჩენას, ის ხომ თამაშამდე ერთი საათით ადრე ვაჟიშვილის მამა გახდა. ზიბზიბაძის ლელოს სულ მალე ირაკლი გიორგაძემ მოედნის ცენტრიდან ზუსტი არეკნი მიაყოლა და „აია“ უკვე ოთხი ქულით დაწინაურდა.

მოგეხსენებათ, „ყოჩები“ ის გუნდი არ არის, მარცხს იოლად შეეგუოს. ბოლო ათი წუთი სტუმრები გააფთრებით უტევდნენ მეტოქეს, ყველა ღონეს ხმარობდნენ თამაშის გადასარჩენად, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. „აიამ“ თავიც დაიცვა და სტუმართა საბოლოოდ გამტეხი კონტრდარტყმაც განახორციელა: ყურაშვილის მიერ წამოწყებული შეტევა ჩუბინიძემ გააგრძელა, ლელოთი კი მინაძემ დააგვირგვინა.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

საფრანგეთიდან დროებით მობრუნებულმა ბესიკ ხამაშურიძემ (ბურთით) „აიას“ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო

# რა იქნა მსაჯი?

**თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა. 30 ივნისი.**

**უნივერსიტეტი 11:16 ლოკომოტივი**

**უნივერსიტეტი:** კიზირია (კ. ელოშვილი), ირემაშვილი, ო. ელოშვილი, ბარამიძე, მაჩხანელი, მხეიძე, მოდებაძე; კუთარაშვილი, ქარაბაკი, ჯანუყაშვილი (ალიბეგაშვილი, კეკელია), ავსაჯანაშვილი (კვიცარიძე), გუჯარაიძე, მინაშვილი, ლუდუშაური (კობიაშვილი), ჯალალონია
1 ლ: კ. ელოშვილი; 2 ს: მოდებაძე;
**ლოკომოტივი:** ძნელაძე, კოტრიკაძე, ბუგიანიშვილი, ანდღულაძე, ასათიანი, კვინიხიძე, სარიშვილი; მაჭუტაძე, ხინჩაგაშვილი, ქავთარაძე, კახიანი, გ. გიორგაძე, ზ. მაისურაძე, გაფრინდაშვილი (თოფურიძე), ბ. უდესიანი
2 ლ: ბ. უდესიანი, ბუგიანიშვილი; 2 ს: კვინიხიძე;
გაფრთხილება: ბ. უდესიანი
მსაჯი: პაატა ნარიმანიშვილი
მეთვალყურე: მიხეილ კალანდაძე

**თბილისი. ავლაბარი. 30 ივნისი**

**ასკ 3:53 დათვები**

**ასკ:** ხინჩაგიშვილი, ზაქარიაძე, გიორგობიანი, სუთიაშვილი, სეხნიაშვილი, ფ. უდესიანი, გეგეშიძე; მზარეულაშვილი, თათოესიანი, გურგენიძე (ლ. ლიპარტელიანი), ბერძენიშვილი (ხორგუაშვილი), გ. კოპალიანი, აფაქიძე, ვაშაყმაძე (პირველიშვილი), დათუნაშვილი
1 ა: ფ. უდესიანი
**დათვები:** დავლაძე, სვინტრაძე, პინჩუკოვი, კაპანაძე, ცუცქირიძე (ხონელიძე), კიკნაძე, ხელაძე (ევგენიძე); ნინიძე, გურეშიძე (მოლაშხია), შენგელია (ღლონტი), ბერიძე, არობელიძე, ხაჟომია, კუნჭულია, უჩავა (სვანიძე)
9 ლ: სვინტრაძე, უჩავა, პინჩუკოვი (2), ევგენიძე, სვანიძე, ღლონტი, დავლაძე, ცუცქირიძე; 4 გ: უჩავა, კიკნაძე (3)
მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი
მეთვალყურე: გელა მიქაბერიძე

**ორი** თბილისური ჯახიდან მთავარი ვარკეთილის მეურნეობაში შედგა: „უნივერსიტეტი“ ოქროსმაძიებელ „ლოკომოტივს“ დაუხვდა. ეს მატჩი მიხეილ ჩაჩუას უნდა ემსაჯა, მაგრამ იგი ვარკეთილის მეურნეობას სათოფეზეც არ გაკარებია, მატჩის გაძღოლა კი ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმა ითავა და აუღელვებლად შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

აგერ უკვე ორი წელია, „უნივერსიტეტი“ ლიდერებში გარევას ლამობს, მაგრამ აქედან არაფერი გამოსდის. თითქოს ყველაფერი გააჩნიათ სტუდენტებს საიმისოდ, რომ დაწინაურდნენ — სოლიდური შემადგენლობა, მწვრთნელთა შტაბი, გურამ მოდებაძის, დავით კილასონიას და გია ჭუმბურიძის შემადგენლობით. არც გამოუცდელობას უჩივიან სტუდენტები: უკვე სამი წელია, გუნდი ერთი და იგივე შემადგენლობით ასპარეზობს და მორაგბეები შეთამაშებულნიც არიან, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღირებული წარმატებისთვის გემო ჯერ არ გაუსინჯავთ.

ვერც ამ მატჩში იძალეს სტუდენტებმა. არადა, პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს. შტატიანი დამრტყმელის, ირაკლი მოდებაძის ორ გოლს რკინიგზელებმა ბესიკ უდესიანის ეფექტური ლელოთი უპასუხეს. რამდენიმე წუთში კი ლელოს ავტორი მსაჯმა ათი წუთით მიაბრძანა მოედნიდან. უდესიანი დაკიდებული ბურთის მოსახელთებლად ჰაერში ამხტარ უნივერსიტეტელს შეეჯახა და მეტოქე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დასცა მინდორზე. მანამდე მოდებაძეს შეეძლო, ქულათა მონაგარი გაეორმაგებინა, მაგრამ ორჯერ ააცილა ბურთი კარს.

მეორე ტაიმი მთლიანად „ლოკომოტივის“ იყო. ჩემპიონებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე. აუტებში გიორგი კახიანი ბატონობდა, შერკინებას შერკინებაზე იგებდნენ რკინიგზელები და, რაც მთავარია, თემურ ბენდიაშვილის შეგირდები თანამედროვე რაგბის პრინციპების დაცვით ცდილობდნენ, მეტოქე გაეტეხათ. ყველაფერმა ამან სულ მალე შედეგი გამოიღო. მანამდე პასიური გიორგი ბუგიანიშვილი ცრუ მოძრაობებით დაუსხლტა სტუდენტთა დაცვას და მეორედ დაალელოვა მეტოქე. ცოტა ხანში ბობა კვინიხიძემ დაარტყა ორჯერ ზუსტად. ირაკლი მოდებაძემ კი გაცუდებული საჯარიმოებით უპასუხა მეტოქეს. დრო ნელ-ნელა იწურებოდა. „ლოკომოტივს“ მშვიდად მიჰყავდა მატჩი გამარჯვებამდე. ეგ იყო, ბოლოსკენ „უნივერსიტეტის“ შეტევა გამოეპარა. სტუდენტთა გათამაშებული მარაო შეცვლაზე შესულმა კახა ელოშვილმა დააგვირგვინა ლელოთი. მოდებაძეს რომ გარდაესახა, ეგებ მსაჯის წამატებულ წუთებზე საჯარიმოსთვისაც გამოეკრათ ხელი სტუდენტებს და ფრისთვის მიეღწიათ, მაგრამ მან ვერ უსწორა მიზანს, სალელოე შეტევისთვის კი „უნივერსიტეტს“ არც დრო ჰქონდა და არც ძალები.

ჩემპიონატის უდავო აუტსაიდერი ასკ გათამაშების ფავორიტ ბათუმის „დათვებს“ დაუხვდა ავლაბარში და გულუხვად „გაუმასპინძლდა“ სტუმრებს. ზღვისპირელებმა ცხრა ლელო გაუტანეს არმიელებს და შინ ორი ქულით გაბრუნდნენ.

**ბაჩო სვანიძე**



უნივერსიტეტი — ლოკომოტივი. რკინიგზელ ბესიკ უდესიანს მატჩის პირველი ლელო გააქვს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 5 | 5 | 0 | 0 | 162:63 | 10 |
| ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | 157:83 | 10 |
| ყოჩები | 6 | 3 | 0 | 3 | 177:87 | 6 |
| უნივერსიტეტი | 6 | 2 | 0 | 4 | 131:81 | 4 |
| აია | 6 | 2 | 0 | 4 | 100:124 | 4 |
| ასკ | 5 | 0 | 0 | 5 | 16:306 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1

**ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი.** მეათე ეტაპი

# შუმახერთა საძმო ფორმულას აკონტროლებს

**შარშანდელი** ტრიუმფის, ანუ პირად-გუნდურ ჩემპიონატში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მიხაელ შუმახერმა საქვეყნოდ განაცხადა, ახალ საუკუნესთან ერთად „ფერარის" ერას ვიწყებ და კარიერის ბოლომდე 70 ეტაპის მოგებას და 1000 ქულის დაგროვებას ვაპირებო. ეს რიცხვები, ისევე როგორც ლეგენდარულ ალენ პროსტის მიერ რვა წლის წინ დამყარებული „სამუდამო" რეკორდები (51 გამარჯვება და 798,5 ქულა), თითქოს ფანტასტიკის ზღვარს მიღმა ჩანდა, თუმცა სადღეისოდ მიუწვდომლად სულაც არ გამოიყურება. მიხაელმა წლეულს ისეთი ტემპი განავითარა, რომ აშკარაა — მიღწევები დაპირებულზე ბევრად ადრე დაემხობა.

დღის წესრიგში პირველი დიდი პრიზების რაოდენობაა. ოთხგზის ჩემპიონ „პროფესორის" რეკორდი ალბათ ორსამ რბოლაში დაეცემა. გამორიცხული არაა, შუმიმ 800-ქულიან ზღვარსაც წლეულსვე გადააბიჯოს. დარჩენილ შვიდ ეტაპზე 44 ქულის დაგროვება ჯერჯერობით სამგზის ჩემპიონისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

თქმა არ უნდა, მიხაელ შუმახერი „სამეფო რბოლებში" უნიკალური, განსაკუთრებული მოვლენაა. თუმცა გერმანელი პილოტის სიდიადის სრულად წარმოჩენას მისი საათივით მომართული, უნაკლო „ფერარიც" უწყობს ხელს. სისხლისფერმა ბედაურმა ბოლო 16 ეტაპზე მხოლოდ ერთხელ უღალატა პატრონს, რომლის ფანტასტიკური სერიის (10 მოგება და 5 მეორე ადგილი) გამო ჩემპიონატმა დანარჩენებისთვის ინტრიგა და ინტერესი უკვე დაკარგა. თუკი რაიმე ფათერაკი არ შეემთხვევა, მიხაელი მეოთხე გვირგვინს ალბათ ვადამდე, ფინიშამდე რამდენიმე რბოლით ადრე დაიდგამს.

მართალია, შუმიმ საფრანგეთის დიდი პრიზი უკვე მეხუთედ დაისაკუთრა, მაგრამ „მანი კურზე" ჯირითი მას მაინცდამაინც არ ეპიტნავება — იოლი ტრასაა და მრბოლისთვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენსო. სხვათა შორის, პილოტების უმეტესობაც ამ აზრისაა. ნევერის ულტრათანამედროვე წრე თითქმის ყველაზე უხიფათოა განიერი გზისა და ფართო დამცავი ზონების გამო, ამასთან ასფალტის საფარი ყველა სხვა ტრასისას სჯობს. ერთი სიტყვით, თუ მძღოლი რაიმე განსაკუთრებულ შეცდომას არ დაუშვებს, კისრის მოტეხვა იქ გამორიცხულია.

„მანი კურზე" ისეთი ტრადიცია დამკვიდრდა, რომ ნაიჯელ მენსელმა და ორჯერ მიხაელ შუმახერმა ზედიზედ ორ-ორი გამარჯვება იზეიმეს. ასე რომ, ამჯერად შარშანდელ ტრიუმფატორ დევიდ კულჰარდს უნდა მიეღწია წარმატებისთვის. მაგრამ სტატისტიკას ხომ მხოლოდ მანამდე აქვს ფასი, ვიდრე შუქნიშნის წითელი ნათურები ჩაქრება და ქარავანი გზას გაუყვება. მერე უკვე მრბოლის ოსტატობა და მისი ბოლიდის საიმედოობა წყვეტს საქმეს. ისე, კულჰარდს გამარჯვების შანსი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ მცირე უპირატესობამ, კერძოდ, პიტლაინზე ზღვრული 80-კილომეტრიანი სიჩქარის გადამეტებისთვის ათწამიანმა ჯარიმამ შოტლანდიელი პოდიუმის მიღმა დატოვა.




რალფ და მიხაელ შუმახერებმა პოდიუმი ძმურად დაისვლეს

მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლო, ფრანგული ეტაპის გმირად რალფ შუმახერიც უნდა ჩაითვალოს. შაბათს იგი 26 წლის შესრულდა და საკუთარ თავს ჩინებული საჩუქარიც უძღვნა — საკვალიფიკაციო სესია ბრწყინვალედ წარმართა და ხუთწლიან კარიერაში პირველი პოული დაიმსახურა. მენსელის ცხრა წლის წინანდელი მიღწევა თითქმის წამით გაუმჯობესდა — 1.12,989. მიხაელი ძმას წამის მეასედით ჩამორჩა, მეორე რიგი კულჰარდისა და მიკა ჰაკინენის „მაკლარენებმა" დაიკავეს, მათ უკან იარნო ტრული და ხუან პაბლო მონტოია განლაგდნენ. ბარიკელოს მხოლოდ მერვე დრო ჰქონდა.

რბოლის წინ ჰაკინენს მორიგი მარცხი შეემთხვა. ისევე, როგორც ბრაზილიაში, მის „მაკს" ამჯერად გასახურებელ წრეზე ძრავამ უღალატა და ფინელის მანქანა ადგილზე დარჩა. სტიუარდებმა ბოლიდი ბოქსებამდე კი მიაგორეს, მაგრამ „მერსედესის" გულის ამუშავება ვერ მოხერხდა და ორგზის ჩემპიონი წლეულს მეხუთედ დარჩა ხელმოცარული.

სტარტზე სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. რალფმა ლიდერობა არავის დაუთმო. კულჰარდმა დასაწყისში იერიში მიიტანა მიხაელზე და თითქმის გაასწრო კიდეც, მაგრამ გერმანელმა ზუსტად დაიცვა თავისი პოზიცია და პირველ მოსახვევში უმთავრეს მეტოქეზე წინ შევიდა. შეფერხებულ ტრულის მონტოიამ და ბარიკელომ აუარეს გვერდი. პირველი წრის შემდეგ ექვსეულში იყვნენ რალფი, მიხაელი, კულჰარდი, მონტოია, ბარიკელო, ტრული. პირველ პიტსტოპამდე, ანუ თითქმის 100 კმ დაწინაურებულთა რიგებში ცვლილება არ მომხდარა. რალფის უპირატესობა ძმასთან სამი წამი იყო, როცა პირველად ესტუმრა ბოქსებს, სადაც საკმაო ხანს (10,3 წამი) შეაყოვნეს. მომდევნო, 25-ე წრეზე მიხაელს თავისიანები უფრო სწრაფად (7,7) მოემსახურნენ და ისიც რალფზე წინ დაბრუნდა ტრასაზე. კულჰარდმა არც ისე გრძელი, ცხრაწამიანი პიტსტოპით მესამე ადგილი კი შეინარჩუნა, მაგრამ ათწამიანი სასჯელის მოხდის შემდეგ მეხუთეზე გადავარდა.პატარა შუმის „უილიამსს" პრობლემები აწუხებდა, რის გამოც უფროსი ძმის „ფერარისთან" ჩამორჩენა ყოველ წრეზე იზრდებოდა და შუა დისტანციაზე ათ წამს მიაღწია. ის კი არა, რალფს ბარიკელოც ადვილად წამოეწია. აშკარად ჩანდა, რომ ბრაზილიელი მსუბუქი მანქანით დაქროდა. მას, სხვა ლიდერთაგან განსხვავებით, სამი პიტსტოპის ტაქტიკა ჰქონია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოქსებიდან რუბინიო ბევრად მსუბუქი მანქანით გამოდიოდა, ეს კი ყოველ წრეზე თითქმის ერთწამიან უპირატესობას იძლევა. აქვე ვიტყვით, რომ ბარიკელოს გეგმამ გაამართლა და პოდიუმზე ძალიან კმაყოფილიც ჩანდა.

ძმები ბოქსებს მეორედაც ერთმანეთის მიყოლებით ესტუმრნენ. ლიდერობა დროებით მონტოიამ იგდო ხელთ და თითქმის დაცლილი ავზით თანაგუნდელთან იმხელა მარაგი შეიქმნა, რომ თავისი პიტსტოპის შემდეგ რალფზე წინ აღმოჩნდა. მაგრამ, კოლუმბიელს ბოლომდე არ დასცალდა, უკვე მერამდენედ უმტყუნა ბოლიდმა და ძრავის მიზეზით ფინიშამდე ოციოდე წრით ადრე გამოეთიშა ბრძოლას.

ამის შემდეგ ექვსეულს ცვლილება აღარ განუცდია. მართალია, კულჰარდმა ერთი-ორჯერ სცადა ბარიკელოს გასწრება, მაგრამ უშედეგოდ. საკუთარი შეცდომის გამო საგრძნობლად დაზარალებულ შოტლანდიელს სამი ქულა და წრის რეკორდი ერგო — იმავე მენსელის ცხრა წლის წინანდელი მიღწევა თითქმის წამით გააუმჯობესა.

მიხაელ შუმახერმა 155-ე რბოლაში 50-ე გამარჯვება მოიპოვა და შვიდი ქულით გაზარდა კულჰარდთან ისედაც უზარმაზარი უპირატესობა. „სკუდერიამაც" თითქმის უკვე გაინაღდა კონსტრუქტორთა თასი — წარმოუდგენელია, რომ დარჩენილ შვიდ რბოლაში „მაკლარენმა" ლამის ორმაგი ჩამორჩენის დაძლევა მოახერხოს.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

### საფრანგეთის დიდი პრიზი

1 ივლისი. მანი კური

დისტანცია — 72 წრე — 306,072 კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:33.35,636 (196,093 კმ/სთ) |
| 2. რ. შუმახერი (უილიამსი) | ჩამორჩა 10,399 |
| 3. ბარიკელო (ფერარი) | 16,381 |
| 4. კულჰარდი (მაკლარენი) | 17,106 |
| 5. ტრული (ჯორდანი) | 1.08,285 |
| 6. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 7. რაიკონენი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 8. ფრენცენი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 9. პანი (BAR) | 1 წრით |
| 10. ბურტი (პროსტი) | 1 წრით |
| 11. ფიზიკელა (ბენეტონი) | 1 წრით |
| 12. ალეზი (პროსტი) | 2 წრით |
| 13. ფერსტაპენი (ეროუსი) | 2 წრით |
| 14. დე ლა როსა (იაგუარი) | 2 წრით |
| 15. მარკეში (მინარდი) | 3 წრით |
| 16. ბატონი (ბენეტონი) | 4 წრით |
| 17. ალონსო (მინარდი) | 7 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ირვინი (იაგუარი) | გაიარა 54 წრე |
| მონტოია (უილიამსი) | 52 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 17 |
| ვილნევი (BAR) | 5 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | 0 |

**საუკეთესო წრე**

კულჰარდი 1.16,088 (201,130 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 6 | - | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | | | | | | | | 78 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | 10 | 2 | - | 4 | 3 | | | | | | | | 47 |
| 3 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | - | 2 | - | 10 | - | - | - | 10 | 3 | 6 | | | | | | | | 31 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 4 | 6 | - | 4 | - | 4 | 6 | - | 2 | 4 | | | | | | | | 30 |
| 5 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | - | - | - | - | 6 | - | - | - | 6 | - | | | | | | | | 12 |
| 6 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | - | 1 | - | 3 | - | - | - | 4 | 1 | - | | | | | | | | 9 |
| 7 ჰაიდფელდი ზაუბერი, გერმანია | 3 | - | 4 | - | 1 | - | - | - | - | 1 | | | | | | | | 9 |
| 8 ტრული ჯორდანი, იტალია | - | - | 2 | 2 | 3 | - | - | - | - | 2 | | | | | | | | 9 |
| 9 ვილნევი BAR, კანადა | - | - | - | - | 4 | - | 3 | - | - | - | | | | | | | | 7 |
| 10 რაიკონენი ზაუბერი, ფინეთი | 1 | - | - | - | - | 3 | - | 3 | - | - | | | | | | | | 7 |

ფრენცენი (ჯორდანი) — 6; პანი (BAR) — 5; ირვინი (იაგუარი) — 4; ალეზი (პროსტი) — 3; ფიზიკელა (ბენეტონი), ფერსტაპენი (ეროუსი), დე ლა როსა (იაგუარი) — 1 ქულა

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | 10 | 16 | 6 | 12 | 14 | | | | | | | | 108 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | 10 | 2 | 4 | 5 | 3 | | | | | | | | 56 |
| 3 უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | - | - | 10 | 9 | 6 | | | | | | | | 43 |
| 4 ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | 3 | - | 3 | - | 1 | | | | | | | | 16 |
| 5 ჯორდანი | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | - | - | - | - | 2 | | | | | | | | 15 |

BAR — 12; იაგუარი — 5; პროსტი 3; ბენეტონი, ეროუსი — 1 ქულა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

**შვეიცარია. A ჯგუფი. 1-ლი ტური**
**4 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | სიონი-ბაზელი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 002 | სენტ გალენი-ლოზანა | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**7 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 003 | გრასჰოპერი-აარაუ | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.30 | 004 | ლუცერნი-ქსამაქსი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.30 | 005 | სერვეტი-ციურიხი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.15 | 006 | იანგ ბოისი-ლუგანო | 2,5 | 3,1 | 2,4 |

**შვედეთი. მე-12 ტური**
**3 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 007 | გიოტებორგი-ნორჩიოპინგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**შვედეთი. მე-13 ტური**
**4 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 008 | აიკ-ელფსბორგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**7 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 009 | იორებრო-სუნდსვალი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**8 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 010 | ნორჩიოპინგი-იურგორდენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 011 | იორგრიტე-მალმიო | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**ნორვეგია. მე-14 ტური**
**8 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 012 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 013 | ბრინი-ლილესტრიომი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 21.00 | 014 | მოსი-ბრანი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 21.00 | 015 | სოგნდალი-ოდ გრენლანდი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 016 | სტრიომგოდსეტი-ლინი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 017 | ტრომსიო-სტაბეკი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 23.05 | 018 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**ფინეთი. მე-17 ტური**
**4 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 019 | მიუპა-ატლანტისი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**5 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 020 | ჯაზი-ჰაკა | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 20.30 | 021 | ლაჰტი-ჰიკ | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 20.30 | 022 | როვანიემი-ინტერი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**ფინეთი. მე-18 ტური**
**8 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 023 | ჰიკ-კუოპიო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 024 | ტამპერე-იოკერიტი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 20.30 | 025 | ინტერი-ატლანტისი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.30 | 026 | როვანიემი-ვაასა | 2,1 | 3,1 | 3,0 |

**ავსტრია. სუპერთასი**
**7 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 027 | ტიროლი-კარნტენი | 1,45 | 3,6 | 6,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინტერტოტო. II ეტაპი. II მატჩები**
**7 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 501 | უნივერსიტატია-სინოტი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.00 | 502 | აიკ-ოდენსე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 503 | ტატაბანია-ტილიგული | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 504 | სარტიდი-მიუნხენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 505 | რიზე-პობედა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.30 | 506 | ლოზანა-შტურმი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 22.30 | 507 | ჰერენვენი-ლიეპაია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 508 | გენტი-ჩელიკი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 23.00 | 509 | ბასტია-სლავენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 510 | ლოკერენი-ზაგლებე | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**8 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 511 | ვიტ ჯორჯია-ტრუა | ანგარიში - 5,0 | | |
| 20.30 | 512 | ჰაპოელი (ჰაიფა)-დინამო (მინსკი) | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 513 | ტავრია-სპარტაკი (ვარნა) | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 514 | პეტრჟალკა-ცელიე | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 21.00 | 515 | ჯაზი-პსჟ | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 21.00 | 516 | გრინდავიკი-ბაზელი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკები (არგენტინაში). 1/2 ფინალი**
**4 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 517 | ეგვიპტე-განა | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 00.45 | 518 | არგენტინა-პარაგვაი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკები (არგენტინაში).**
**III ადგილი და ფინალი**
**8 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 519 | | | | |
| 23.45 | 520 | | | | |

**ევროპის ჩემპიონატი ქალები (გერმანიაში).**
**1/2 ფინალი**
**4 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.05 | 521 | გერმანია-ნორვეგია | 1,9 | 3,2 | 3,2 |
| 18.05 | 522 | დანია-შვედეთი | 2,7 | 3,2 | 2,2 |

**ევროპის ჩემპიონატი ქალები (გერმანიაში). ფინალი**
**7 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 523 | | | | |

**ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

ჩოგბურთის მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს იგივე წესი, რაც ფეხბურთში.

ჩოგბურთის ანგარიშის ფსონი მრავლდება მხოლოდ ანგარიშისაზე, ისევე როგორც შედეგის ფსონი შედეგისაზე. ანგარიშის ფსონის შედეგის ფსონზე გადამრავლება დაუშვებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ოქროს ლიგა. I ეტაპი (რომი)

# ოქროს გალა: ოქროს ლიგის დებიუტი



110 მეტრზე თარჯრბენი ყველაზე დაძაბული იყო: ბრიტანელმა კოლინ ჯეკსონმა (ზემოდან მეორე) იგი ბეწვზე მოიგო

**ივლისი** ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ყველაზე ცხელი თვეა კლიმატური და სამძლეოსნო თვალსაზრისით. როცა ფეხბურთი და მისთანები ჩაკვდება, ათლეტებს მაშინ უდგათ უკიდურესი გარჯის ჟამი. საერთოდ, წლის მთავარი მოვლენა აგვისტოშია (ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატი), მაგრამ ივლისი პრესტიჟული ტურნირების ინტენსივობით ლიდერობს. ამ თვეში იქნება „ოქროს ლიგის“ 3 ეტაპი, 4 „გრან პრი“ და 1 „გრან პრი 2“, ხოლო ყველაფერს საფუძველი გასული თვის ბოლო დიდმა ამბავმა, რომის „ოქროს გალამ“ ჩაუყარა.

29 ივნისს მარადიულ ქალაქში, „სტადიო ოლიმპიკოზე“, ზორბა-ზორბა ათლეტები (სახელს ვგულისხმობთ) მოგროვდნენ და 50 კილო ოქროს მოსაპოვებლად პირველი ნაბიჯი გადადგეს. ეს უხვი მადანი 31 აგვისტოს, ბერლინში იქნება ათვისებული, სადაც ბოლო, მე-7 ეტაპი შედგება, მანამდე კი ათლეტებმა უნდა თხარონ და თხარონ, ვისაც ძალა ეყოფა და გაუმართლებს, ოქროს სიმპათიურ ზოდებს იგდებს ხელთ.

ბარის პირველი მოქნევა ნაყოფიერი გამოუვიდათ დიდ მძლეოსნებს: ჰიშამ ელ გურუჯს, მარიონ ჯონსს, მორის გრინს, სტეისი დრაგილას, ჰაილუ მეკონენს... მეკონენი საერთოდაც რომიდან ისეთი გახარებული წავიდა, მეტი არ შეიძლება. „ოქროს გალამდე“ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) რიგი სპორტსმენები სპორტის დედოფლის პოპულარიზებისთვის ქალაქში გაიყვანა და ეთიოპმა პირველად გასინჯა ცხოვრების ისეთი სიამენი, როგორებიცაა: კარტინგი, ციგურაობა და კალათბურთი. კარტის საჭე მეკონენმა და მისმა თვისტომმა მილიონ ვოლდემ (ოლიმპიური ჩემპიონია) უცებ დაამუღამეს, ციგურები კი ვერაფრით, ძლიერ საცოდავები ჩანდნენ. ვერც კალათბურთში გამოდგა მათი ნიჭი საქები: რომაელი ახალგაზრდების უპირატესობა აშკარა იყო. მერე მეკონენი გავიდა „ოქროს გალაზე“ და უჩვენა, რომ თავის მთავარი საქმე ფრიადზე ესმის. 5000 მეტრის მოგებას ეთიოპელს კენიელები უშლიდნენ — სემი კიპკეტერი და რიკარდ ლიმო, მაგრამ ფინიშზე მეკონენმა მათი ჩამოტოვება მოახერხა. რაც შეეხება ვოლდეს, მან ვერც სირბილში ივარგა, თითქმის 4 წამის შემდეგ გადავიდა ფინალურ ხაზზე. ეს მე-7 შედეგი იყო.

მოკლედ, ვოლდე რომში უიღბლო ოლიმპიური ჩემპიონებიდან ერთ-ერთი გახლდათ. მეორედ გაბრიელა საბოს ვასახელებთ რომელსაც 3000-მეტრიან დისტანციაზე რუსის ქალებმა გადაურეს. სლავები გუნდური პრინციპით არ გარბოდნენ, ყველა თავის ინტერესს იცავდა, ამიტომ ელენა ზადოროჟნაიამ თავიდანვე შორს მოიტოვა თანამემამულეები და დანარჩენებიც, მაგრამ ფინიშის მოახლოებასთან ერთად მდევრებიც მოახლოვდნენ, 200 მეტრით ადრე ოლგა ეგოროვამ დასკვნითი სპრინტი დაიწყო და უძალოდქმნილ ზადოროჟნაიას ადვილად ჩაუქროლა. ზადოროჟნაიამ ბოლო ძალები მოიკრიბა და ტატიანა ტომაშოვას მეორე ადგილის ხელყოფის საშუალება არ მისცა. მერე მოირბინა საბომ, იმის კვალდაკვალ კი ფინიში კროსში მსოფლიოს ჩემპიონმა პოლა რედკლიფმა გადაჭრა. ასეთი გახლდათ ხუთეული, სადაც ადგილები ცოტა მოულოდნელად განაწილდა, მაშინ, როცა ვაჟთა 1 მილზე პაწია სენსაციაც არ მომხდარა. ის დისტანცია ჰიშამ ელ გურუჯს უნდა მოეგო და ასეც მოხდა.



მორის გრინმა საპატიო წრეს რომაული სიმბოლიკით ხელში შემოუარა

5000 მეტრში გადასვლაზე მოფიქრალმა გურუჯმა თავის საფირმო მილზე რბოლა წესისამებრ წარიმართა — წინ ერთი შავი მუტრუკი წაიმძღვარა და კარგა ნახევარი გზის გალევამდე „კურდღლობა“ აკისრებინა, მერე კი იგი მოიშორა და თვითონ შეუბერა. რბენა ელ გურუჯმა 2,5-წამიანი უპირატესობით დაასრულა, არადა, კვალში ედგა უაღრესად ძლიერი კენიელი ბერნარდ ლაგატი. სხვათა შორის, 1500 მეტრის ამოწურვისას აპარატურამ უჩვენა, რომ მაროკოელს სეზონის რეკორდი დაუმყარებია, მაგრამ ის ცოტათი გრძელ გზას გარბოდა და ამას არავინ ჩაუთვლის.

ნახსენები ჰაილუ მეკონენი გახლდათ ერთადერთი კაცი, ვისაც სპორტსმენებიდან რომში პარასკევს მოსული თქეშიც ესიამოვნა. „ყველაზე კარგად მაშინ გავრბივარ — თქვა ეთიოპმა — როცა გრილად ვარ“. მეკონენს ყურადღება არ გაუმახვილებია სველი ტრასის უარყოფით მხარეებზე, სამაგიეროდ, ელ გურუჯმა გაამახვილა და სპრინტერებმა ხომ საერთოდ... 100 მეტრის მხოლოდ 10,01 წამში დაფარვა მორის გრინმა, ცხადია, სისველეს დააბრალა, მაგამ ისიც შენიშნა, რომ გაქანების ხელოვნებას ჯერ კიდევ არასრულად ფლობს. „ამ სუსტ წერტილს ბოლომდე ვერაფრით ვუმკურნალე — თქვა გრინმა გარბენის მოგებისა და რომის ატრიბუტიკიანი ბაირაღით საპატიო წრის შემოვლისთანავე — ვმუშაობ, მაგრამ ვგრძნობ: სრულყოფამდე ჯერ ბევრი მიკლია“. გრინს გვარიანად ჩამორჩა ამერიკელი ტიმ მონტგომერი, ცოტა მეტით ნიგერიელი ფრენსის ობიკველუ და საცოდავად ირბინა სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ბარბადოსიდან, ობადელე ტომპსონმა, ოღონდ მერე გაირკვა, რომ ტრავმირებული ყოფილა. ტომპსონის შედეგი 10,27 და მე-8 ადგილი იყო.

მოხდა სხვა ღირსშესანიშნავი ამბებიც, ზოგი გასაკვირი, ზოგი — ნაკლებად. მაგალითად, მარიონ ჯონსმა რომ 100 მეტრი მოიგო და სტეისი დრაგილამ ქალთა ჭოკით ხტომა, ეს ცნობები მკითხველს არ გააოცებს, მაგრამ პოლონელი ოლიმპიური ჩემპიონის, შიმონ ციოლკოვსკის მხოლოდ მესამე ადგილი ამგვარი დონის ტურნირზე ერთობ დიდი მოულოდნელობაა. ციოლკოვსკის ურო ცუდად არ გაფრენილა, 79,10 მეტრის იქით დავარდა, მაგრამ გამოვიდა კურატივით იაპონელი, აზიის რეკორდსმენი კოჯი მუროფუში და 79,50 მეტრს უწია. ადგილობრივი საზოგადოების გასახარად, უცნობი ნიკოლა ვიძონის შედეგიც ციოლკოვსკისაზე აღმატებული გამოდგა.

პრინციპში, ვაჟთა 800 მეტრის შედეგმა აგრეთვე გააკვირვა სპეციალისტები, იური ბორზაკოვსკის გამარჯვებას უფრო ელოდნენ. არ ურბენიათ უილსონ კიპკეტერს და ნილს შუმანს, ხოლო ანდრე ბუხერს, ერთი ხანია, მოგებას ვინ ჩივის, ბორზაკოვსკისთან საპატიოდ არ წაუგია. რუსმა რომშიც ნაჩვევ ტაქტიკას მიმართა, რასაც რაკეტის სტილი ჰქვია — თავიდან ნელა დაიწყო, მერე უმატა, უმატა სიჩქარეს და ფინიში სუფთა სპრინტერის ტემპში გადალახა, ოღონდ ამჯერად გაირკვა, რომ ყუმბარას უჯობნია რაკეტისთვის: თავიდანვე წინ გავარდნილი ბუხერი დაიღალა და სიჩქარეს უკლო, მაგრამ წამის მეასედით მაინც შეძლო რუსის გასწრება. აქ საქმე ბოზაკოვსკის ტაქტიკურ შეცდომასთან უნდა გვქონდეს. ეტყობა, რუსს აჩქარება მოუგვიანდა. ქალთა იგივე დისციპლინაში არ ურბენია სახელოვან მარია მუტოლას და ასევე ქებულმა შტეფი გრაფმა (არა ჩოგბურთელმა) ეს გარემოება გამოიყენა. ავსტრიელი პირველი იყო არანაკლებ ქებული რუსის, ნატალია ციგანოვას ჯინაზე. მესამე ადგილზეც რუსი გავიდა. მისი ვინაობა წერილის ტექნიკურ ნაწილში იხილეთ.

**დავით გულუა**

### ვაჟები

შუბი: 1. კონსტადინოს გაციუდისი (საბერძნეთი) 87,49; 2. ბრიო გრიერი (აშშ) 81,59; 3. დარიუშ ტრაფაში (პოლონეთი) 79,48

3000მ. სტიპლჩეიზი: 1. რუბენ კოსგეი (კენია) 8.09,12; 2. რეიმონდ იატორი (კენია) 8.09,20; 3. ბერნარდ ბარმასაი (კენია) 8.09,72

5000მ: 1. ჰაილუ მეკონენი (ეთიოპია) 12.58,57; 2. ბენჯამინ ლიმო (კენია) 12.59,53; 3. სემი კიპკეტერი (კენია) 12.59,94

1 მილი: 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 3.44,95; 2. ბერნარდ ლაგატი (კენია) 3.47,28; 3. ანდრეს დიასი (ესპანეთი) 3.48,38

400 მ. თარჯრბენი: 1. ჯეიმს კარტერი (აშშ) 48,51; 2. ფაბრიციო მორი (იტალია) 48,54; 3. დაიმი ტამესუ (იაპონია) 48,78

100 მ: 1. მორის გრინი (აშშ) 10,01; 2. ტიმ მონტგომერი (აშშ) 10,11; 3. ფრენსის ობიკველუ (ნიგერია) 10,19

800 მ: 1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1.44,01; 2. იური ბორზაკოვსკი (რუსეთი) 1.44,02; 3. გლოდი დუბე (ბოტსვანა) 1.44,62

110 მ. თარჯრბენი: 1. კოლინ ჯეკსონი (დიდი ბრიტანეთი) 13,37; 2. დადლი დორიველი (ჰაიტი) 13,38; 3. შონ ბაუნსი (სამხრეთ აფრიკა) 13,38

სიგრძეზე ხტომა: 1. კევინ დილვორთი (აშშ) 8,06; 2. ჰუსეინ თაჰერ ალ საბე (საუდის არაბეთი) 7,99; 3. ალექსეი ლუბაშევიჩი (უკრაინა) 7,97

ურო: 1. კოჯი მუროფუში (იაპონია) 79,50; 2. ნიკოლა ვიძონი (იტალია) 79,36; 3. შიმონ ციოლკოვსკი (პოლონეთი) 79,10

### ქალები

ჭოკით ხტომა: 1. სტეისი დრაგილა (აშშ) 4,72; 2. ელენა ისინბაევა (რუსეთი) 4,42; 3. კელი სატლი (აშშ) 4,42

სიმაღლეზე ხტომა: 1. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) 1,98; 2. ვენელინა ვენევა (ბულგარეთი) 1,96; 3. ოლგა კალიტურინა (რუსეთი) 1,90

400 მ. თარჯრბენი: 1. ნუჟა ბიდუანე (მაროკო) 54,54; 2. დები ენ პერისი (იამაიკა) 54,60; 3. ტონია ბიუფორდ-ბეილი (აშშ) 54,75

სიგრძეზე ხტომა: 1. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) 6,78; 2. ფიონა მეი (იტალია) 6,67; 3. ჯეკი ედვარდსი (ბაჰამის კუნძულები) 6,28

100 მ: 1. მარიონ ჯონსი (აშშ) 10,96; 2. ჩანდრა სტარაპი (ბაჰამის კუნძულები) 11,10; 3. კრისტი გეინსი (აშშ) 11,11

1500 მ: 1. ვიოლეტა სეკელი (რუმინეთი) 4.00,92; 2. ნატალია გორელოვა (რუსეთი) 4.01,84; 3. სიუზი ფევორ-ჰამილტონი (აშშ) 4.03,10

3000 მ: 1. ოლგა ეგოროვა (რუსეთი) 8.23,96; 2. ელენა ზადოროჟნაია (რუსეთი) 8.25,40; 3. ტატიანა ტომაშოვა (რუსეთი) 8.25,56

800 მ: 1. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1.58,44; 2. ნატალია ციგანოვა (რუსეთი) 1.58,98; 3. ლუდმილა მიციუკევიჩი (რუსეთი) 1.59,42

# კრაბეს უნდა მილიონი

## მიეცით! — ბრძანა უფალმა მოსამართლემ

**ქერა,** ცხენისკუდა თმისა და ფოტოგენური გარეგნობის კატრინ კრაბე დღეს სპორტული მაღაზიის მფლობელია ნოიბრანდენბურგში, რომელიც ბერლინიდან ჩრდილოეთით მდებარე და კრაბეს მშობელი ქალაქი გახლავთ. კრაბე იქ 31 წლის წინ დაიბადა, წითელი დროშების ხანაში, როცა გერმანია ორი იყო. 20 წლისა უკვე სულმღაფავი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა 100 და 200 მეტრზე სირბილში, მომდევნო წელს ევროპის ჩემპიონატზე ნახსენებ დისციპლინათა გარდა 4X100 ესტაფეტა მოიგო და კიდევ ერთი წლის შემდეგ უკვე ერთიანი გერმანიის ნომერ პირველი სპრინტერი ქალბატონი იყო. იმავე წელს კრაბე 100 და 200 მეტრებზე მსოფლიოს ჩემპიონი ხდება და ზედიზედ მეორედ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად აცხადებენ. და უცებ წარმატებათა კასკადი დაცემით იცვლება: კრაბეს დოპინგთან კავშირს აბრალებენ, რასაც ჯერ ერთწლიანი და მერე კიდევ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოჰყვა. იქიდან მოყოლებული, კრაბე იბრძვის, რადგან თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. წლების მანძილზე მისგან წარდგენილმა საბუთებმა, როგორც იქნა, ...ლისმყოფლად იმოქმედა მავან მიუნხენელ მოსამართლეზე. განაჩენი კრაბეს სასარგებლოა: მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) მას 1,2 მილიონი გერმანული მარკა უნდა გადაუხადოს, რაც 529 600 დოლარს უდრის.

„გერმანიის სასამართლოსგან არავითარი ოფიციალური შეტყობინება არ მიგვიღია — ამბობს იააფ-ის პრესმდივანი ჯორჯო რაინერი — თუმცა ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი მოვა და მას დაუყოვნებლივ გავაპროტესტებთ. აპელაციის უფლება გვაქვს“.

ამდენად, ისტორიას გაგრძელებაც უნდა მოჰყვეს.

**დავით გულუა**



კატრინ კრაბე ზეობის ხანაში

## უიმბლდონი 2001

# მსოფლიო დოკიჩის წინააღმდეგ

**მესამე** წრეში ავსტრიელ ბარბარა შეტთან შეხვედრაზე ელენა დოკიჩი თამაშის დაწყებამდე სულ 10 წუთით ადრე გამოცხადდა, გავარჯიშებას ვინ ამბობს, ტანსაცმლის გამოცვლა ძლივს მოასწრო და პირდაპირ კორტზე გაიქცა. 18 წლის იუგოსლაველს არც მალვიძარა გაფუჭებია და არც თავისი მთავარი მოვალეობა დავიწყებია, უბრალოდ, ის უიმბლდონის ორგანიზატორებმა დაალალატეს.

საქმე ის არის, რომ დიდი სლემის ტურნირებზე მოთამაშეებს სპეციალური მანქანები ემსახურება, რომლებიც თავად ჩოგბურთელთა სასურველ დროს მათ სასტუმროში აკითხავენ და სტადიონზე მიჰყავთ. დოკიჩების ჯალაბი შაბათს ელოდა, ელოდა მანქანას, მაგრამ „ოლ ინგლენდ კლაბში" დარეკვამაც რომ არ გამოიღო შედეგი, ქუჩისკენ სპურტი და პირველივე ტაქსზე მოხტომა დასჭირდათ.

„თუ ასეთ მარტივ რამესაც კი ვერ მოაგვარებ, მაშინ ტურნირის გაძღოლაც არ შეგძლებია. დარეკვა ვცადე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, აქაური ჩინოვნიკები ჯერაც არ მინახავს თვალად. ისინი ნამდვილი ყაჩაღები არიან და ამ დილით ძალიან გამიცრუეს იმედი" — სამართლიანად აღშფოთდა პრესკონფერენციაზე დოკიჩი, რომელსაც საწუწუნო ამით არ გამოლევია. ელენა იმანაც გაალიზიანა, რომ დილით „დეილი მირორმა" მამამისზე დამცინავი და შეურაცხმყოფელი სტატია გამოაქვეყნა, მეტოქეებს შერეკილი დამირის არანაკლებ უნდა ეშინოდეთო.

დოკიჩს ისღა დარჩენოდა, მთელი ბოღმა ბარბარა შეტზე, ჟურნალ „ეისის" გამოკითხვით, მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ჩოგბურთელზე გადმოენთხია, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი სწორედ „დეილი მირორს" უწევდა ბოლო დღეებში რეკლამას. გაცილებით სწრაფმა და მძლავრმა ელენამ უკანახაზელთა დუელში აშკარად დაჩაგრა კიდეც ანა კურნიკოვას არყოფნაში ბრიტანული ყვითელი პრესის ფავორიტი „ბაბსი". შეტი მეორე ხელში ბოლოს ცოტა უკეთ ათამაშდა და ჯერ 4:4-ზე, მერე 5:5-ზე რამდენიმე ბრეიკპოინტიც ჰქონდა, თუმცა შანსების ვერგამოყენებისთვის სწრაფად და მწარედ დაისაჯა — 6:3, 7:5 დოკიჩის სასარგებლოდ.

„სამწუხაროა, რომ აქაურ გაზეთებს მამაჩემის გარდა სხვა საწერი თემა არა აქვთ, ის არ იმსახურებს ასეთ მოპყრობას. ზოგიერთი გიჟი ჟურნალისტი საერთოდ არ უნდა წერდეს არაფერს" — დაუმატა მერვედფინალში გასვლის მიუხედავად უჟმურ გუნებაზე მყოფმა ელენამ და თავისი საagენტო „ოქტაგონიც" გააკრიტიკა, მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებენო. დამირ დოკიჩი WTA-ს ტურნირებიდან ექვსთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მართლაც სანიმუშოდ იქცევა, არც მასმედიის წარმომადგენლების მობილურებს და კამერებს ამტვრევს და არც დაცვის წარმომადგენლებს ეჯიბრება აღმოსავლურ ორთაბრძოლებში, თუმცა ინგლისელებს, ალბათ, ძველი წყენა არ აძლევთ მოსვენებას — შარშანწინ სერბმა ექსტაქსისტმა ყველა ბრიტანელს ფაშისტი და რასისტი უწოდა (დედოფალ ელიზაბეტის გარდა).

დოკიჩისგან განსხვავებით, ვერ გააღწია მერვედფინალში მეექვსედ განთესილმა ფრანგმა ამელი მორესმომ. 21 წლის ლესბოსელს ტაილანდის ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელმა ტამარინე ტანასუგარნმა აჯობა.

მორესმოს ჯერაც ვერ მოუნელებია ერთი თვის წინ მშობლიურ დიდი სლემის ტურნირზე პირველივე წრეში ნაწნევი მარცხი და სეზონის დასაწყისში ზედიზედ სამი ტურნირის მოგებით შემატებული თავდაჯერებიდან ნატამალიც აღარ შერჩა. დაკუნთული ფრანგი მთელი მატჩის მანძილზე მხოლოდ გადაგდებაზე, აცილების შიშით თამაშობდა და წვრილთვალება მეტოქეს საშუალება მისცა სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყო.

ჯანიანი მარჯვენა მორესმომ მხოლოდ პირველი მატჩ-პოინტის გადარჩენისას მოიქნია მაღაზე, თუმცა ტრიბუნებზე შეკრებილი მისი თანამემამულეების წამოძახილს თუ გავიმეორებთ, უკვე ძალიან გვიანი იყო — მომდევნო გათამაშებაში ტანასუგარნის მოუხეშავ შემოკლებულს ფრანგმა ველარ მიუსწრო და შორს მოისროლა ჩოგანი — 4:6, 4:6.

„მე საძაგლად ვითამაშე, სულ დაძაბული და განერვიულებული ვიყავი, არ ვიცი, რატომ. ჯობს, დროზე გავიგო მიზეზი, თორემ მერე გვიანი იქნება — აღნიშნა მორესმომ — როლან გაროსზე მარცხი თავიდან ვერაფრით ამომიგდია, ტკივილს ჯერაც ვგრძნობ. იქნებ დრომ გადამავიწყოს".



ელენა დოკიჩმა მერვედფინალს ძლივს მიუსწრო

### კაფელნიკოვს მოსწყინდა

შაბათს 23 წლის გილერმო კანასი პირველი არგენტინელი გახდა მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ვინც მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მერვედფინალში გააღწია. კანასის სიხარული მატჩის შემდეგ, რა თქმა უნდა, გასაგები იყო, მაგრამ მის წარმატებაში ლომის წილი ზუსტმა მიღება-შემოვლებულებმა კი არა, მეტოქემ — ევგენი კაფელნიკოვმა დაიდო.

სოჭელ ჟენიას უიმბლდონზე კარგა ხნის წინ მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ ღირებული არაფერი გაუკეთებია და მესამე წრის მატჩისთვის რომ გეცქირათ, იოლად მიხვდებოდით, რატომაც. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ბადესთან თამაშის ოსტატობით, რაც ბალახზე ესოდენ მნიშვნელოვანია, ბევრს არ ჩამოუვარდება, სამაგიეროდ, ის ნამდვილად არ იცის, წინ როდის ღირს გასვლა და როდის — არა. კაფელნიკოვი თავისი მეორე, საკმაოდ სუსტი მოწოდებების შემდეგაც კი კამიკაძესავით ბადისკენ მიეშურებოდა და როგორც წესი, არგენტინელის იოლი მსხვერპლი ხდებოდა.

სულელური ტაქტიკის გარდა 27 წლის რუსმა 14 ორმაგი შეცდომითაც გამოიჩინა თავი (ზედიზედ სამი მეოთხე სეტში 5:3-სა და 30:15-ზე), უწყინარ სიტუაციაში არაერთხელ ბურთი ბადეში ან აუტისკენ გაუძახა და რაღა გასაკვირია, თუ კანასი ერთადერთი სამხრეთამერიკელი შეიქნა, ვინც უიმბლდონის მეორე კვირაში შემორჩა 3:6, 6:1, 6:3, 7:6 (7:2)

„თავადაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე მოგება, ეს ანომალიაა" — ყურებამდე გაიღიმა კანასმა, რომელიც ჩვეულებრივ მხოლოდ თიხნარზე ასპარეზობს ხეირიანად — ეს-ესაა დედაჩემს ვახარე, ბუენოს აირესში. ის ძალიან წუხს, რომ შინ ყველა გაზეთი გაფიცულია და ხვალ ჩემი გმირობის შესახებ ხალხი ვერ გაიგებს. ახლაც მახსოვს, გაბრიელა საბატინი უიმბლდონის ფინალში შტეფი გრაფთან რომ დამარცხდა. იმ დღიდან ვოცნებობდი, ამ შესანიშნავ კომპლექსში წარმატებისთვის მიმეღწია".

კაფელნიკოვმა მატჩის დროს ჩოგანი ისეთი ძალით დაახეთქა მიწას, ზევით ამხტარი კინალამ მეზობელ კორტზე გადავარდა. ბუნებრივია, პრესკონფერენციაზე ის დეპრესიისა და პესიმიზმის განსახიერება იყო: „წლეულს კენჭისყრაში გამიმართლა. ვიცოდი, მინიმუმ მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი რომ მქონდა და საკუთარ თავზე ზედმეტი ზეწოლა მოვახდინე... რაც დრო გადის, წარმატების მიღწევის სულ უფრო ნაკლები შესაძლებლობა მრჩება, გაისად უკვე 28-ის ვიქნები, ახალი თაობა — როდიკი, ჰიუიტი, საფინი კი კიდევ გაძლიერდება".

სოჭელმა თვით მილიონერი ჩოგბურთელის ცხოვრებაშიც კი უამრავი უარყოფითი მხარე მოძებნა: „შეიძლება, თქვენ გგონიათ, რომ სიმდიდრეს და სპორტსმენობას არაფერი სჯობს, მაგრამ ასე ცხოვრება საშინლად მოსაწყენია — ყოველკვირეული მოგზაურობა, ვარჯიში, სასტუმროები, მე ცოლშვილიანი კაცი ვარ და ჩემი ოჯახის წევრებს ძალიან იშვიათად ვხედავ. გარკვეულწილად, მოუთმენლად ველი სპორტიდან წასვლას".

სრულიად განსხვავებულ განწყობაზეა კაფელნიკოვის თანამემამულე მარატ საფინი. წლეულს ზურგის ტრავმით დატანჯული ზორბა რუსი, თავისდაც მოულოდნელად, საძულველ საფარზე ხეირიადან ათამაშდა და გუშინ ჩია არნო კლემანის დამარცხებით მეოთხედფინალშიც გავიდა.

თუ პარასკევს გერმანელ დევიდ პრინოშილთან შეხვედრაში აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი ბეწვზე გადაურჩა მარცხს, კლემანი მან სასტიკად დაჩაგრა. 16 წუთში დასრულებული პირველ ხელში ფრანგმა ანგარიშის დასველებაც კი ვერ შეძლო, მთელ შეხვედრაში მეტოქეს მოწოდება ერთხელაც ვერ აართვა და საათზე ოდნავ მეტში 0:6, 3:6, 2:6 წააგო.

„აღარც კი მახსოვს, ასე კარგად უკანასკნელად როდის ვითამაშე, დღეს ყველაფერი გამომდიოდა. სიმართლე გითხრათ, თავადაც გაკვირვებული ვარ, რომ მეოთხედფინალში გავედი, ტურნირის დასაწყისში საშინელ ფორმაში ვიყავი, თანაც ტრავმა ხანდახან ახლაც მახსენებს თავს" — აღნიშნა რუსმა.

საფინის მომდევნო მეტოქე კლასიფიკაციით 125-ე, მაგრამ მოწოდებით პირველი გორან ივანიშევიჩი იქნება. ცაცია ხორვატმა, კიდევ ერთ ყუმბართმტყორცნელ, გრეგ რუზეცკისთან მატჩში ნორმაზე ნაკლები, „მხოლოდ" 22 ეისი მოაწოდა, სამაგიეროდ, მიღებაზე გაცილებით უკეთ გაისარჯა და ინგლისელს ზედიზედ მეცხრე პირადი შეხვედრაც მოუგო 7:6(7:5), 6:4, 6:4.

### დიაცთა დუელის წინ

გუშინ მშვენიერი სქესის ფავორიტებმა ზედმეტი გაწამაწიის და ოფლის ღვრის გარეშე უკლებლივ გადალახეს მორიგი ეტაპი და დღეს ნახევარფინალისტთა ვინაობასაც გაარკვევენ. მეოთხედფინალებიდან ყველაზე დიდ ინტერესს ორი ამერიკელის — ჯენიფერ კაპრიატისა და სერენა უილიამსის ორთაბრძოლა იწვევს.

სერენამ ვეტერან ბულგარელ მაგდალენა მალეევას წარმატების არანაირი შანსი არ დაუტოვა. ბრძოლა იმდენად ცალკარა იყო, რომ ტრიბუნაზე ვიდეოკამერით მჯდომი მამა, შერეკილი რიჩარდი რამდენიმე წუთით მის გვერდით მჯდომ „იუვენტუსის" ვარსკვლავ ედგარ დავიდსს მიუბრუნდა და ინტერვიუს აღებას მიჰყო ხელი.

მალეევა ხშირად რეაგირებასაც კი ვერ ასწრებდა ამერიკელის ტყვიასავით დარტყმებზე და უმწეოდღა აყოლებდა თვალს ბადის მეორე მხრიდან საოცარი სისწრაფით მომქროლ ბურთებს. საბოლოოდ მატჩი 48 წუთში, 6:2, 6:1 დასრულდა.

„ჩვეულებრივ, ყოველ წაგებულ მატჩს საერთოდ ვიგდებ მეხსიერებიდან, თითქოს ისინი არც კი არსებობდნენ — აღნიშნა სერენამ, რომელიც კაპრიატისთან როლან გაროსის მეოთხედფინალში დამარცხდა — გამონაკლისი სწორედ ის მატჩი იყო. ასე უკმაყოფილო საკუთარი თამაშით არასოდეს ვყოფილვარ. ყველა სისულელე, რაც მაშინ ჩავიდინე, გუშინდელივით მახსოვს, რათა ამიერიდან მსგავსი შეცდომები აღარ გავიმეორო. შინ რომ დავბრუნდი, ორმაგი მონდომებით ვივარჯიშე".

მერვედფინალში კაპრიატიც არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. სერენას არ იყოს, ფრანგ სანდრინ ტესტიუსთან შეხვედრაში მანაც მხოლოდ სამი გეიმი წააგო და 6:1, 6:2 მოგებული მატჩით ფრიად ნასიამოვნები დარჩა: „ვერაფერზე დავიჩივლებ, დღეს ერთი დასანანი შეცდომაც კი არ დამიშვია, სერენას თამაში აქ არ მინახავს, მაგრამ თუ მისი შედეგებით ვიმსჯელებთ (უილიამსმა 4 მატჩში სულ 11 გეიმი დათმო), არაჩვეულებრივ ფორმაში უნდა იყოს. ვიცი, რომ მისი დამარცხება ძალმიძს, თუმცა ყოველი შეხვედრა განსხვავდება ერთმანეთისგან. ვნახოთ, ამჯერად რა მოხდება".

*იუნიორ გოგონებში მოასპარეზე ქართველი სალომე დევიძე, სამწუხაროდ, პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას. ჩვენებურს მეათედ განთესილმა ფრანგმა მარიონ ბარტოლიმ მოუგო 6:2, 7:6 (7:4)*

**ავთანდილ სვანიძე**

## მესამე წრე

| ვაჟები | ქალები |
|---|---|
| **ანდრე აგასი** (2, აშშ) — ნიკოლას მასიუ (ჩილე) 6:3, 6:1, 6:1; **პატრიკ რაფტერი** (3, ავსტრალია) — ჰიშამ არაზი (27, მაროკო) 7:6 (7:3), 6:4, 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (5, ავსტრალია) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 7:5, 5:7, 6:4, 7:6 (7:4); **გილერმო კანასი** (არგენტინა) — ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი) 3:6, 6:1, 6:3, 7:6 (7:2); **ნიკოლა ესკუდე** (24, საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (9, საფრანგეთი) 5:7, 6:4, 6:3, 6:4; **ტომას ენკვისტი** (10, შვედეთი) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 7:5, 6:4, 6:2; **ნიკოლას კიფერი** (19, გერმანია) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 7:6 (7:5), 6:4, 6:7 (4:7), 6:3; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ფაბრის სანტორო (20, საფრანგეთი) 7:5, 6:0, 2:0 — ტრავმა. | **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (29, რუსეთი) 6:2, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:2, 6:3; **ტამარინე ტანასუგარნი** (31, ტაილანდი) — ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) 6:4, 6:4; **კიმ კლაისტერსი** (7, ბელგია) — ანხელეს მონტოლიო (27, ესპანეთი) 7:5, 6:2; **ნატალი ტოზია** (10, საფრანგეთი) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:0, 6:3; **მეგან შონესი** (18, აშშ) — ამანდა კუტცერი (11, სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:4), 2:6, 6:1; **ელენა დოკიჩი** (14, იუგოსლავია) — ბარბარა შეტი (21, ავსტრია) 6:3, 7:5; **ნადია პეტროვა** (რუსეთი) — სილვია ფარინა (16, იტალია) 6:3, 6:3. |

## მერვედფინალი

| ვაჟები | ქალები |
|---|---|
| **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 7:6 (7:5), 6:4, 6:4; **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — არნო კლემანი (13, საფრანგეთი) 6:0, 6:3, 6:2; **პატრიკ რაფტერი** (3, ავსტრალია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 2:6, 6:3, 6:2, 7:5; **ტომას ენკვისტი** (10, შვედეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:3, 6:3, 6:1; **როჯერ ფედერერი** (15, შვეიცარია) — პიტ სამპრასი (1, აშშ) 7:6 (9:7), 5:7, 6:4, 6:7 (2:7), 7:5; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — ნიკოლას კიფერი (19, გერმანია) 6:3, 7:5, 7:5; **ნიკოლა ესკუდე** (24, საფრანგეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (5, ავსტრალია) 4:6, 6:4, 6:3, 4:6, 6:4 | **ჟიუსტინ ენენი** (8, ბელგია) — ანკე ჰუბერი (18, გერმანია) 4:6, 6:2, 6:2; **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:2, 6:0; **კონჩიტა მარტინესი** (19, ესპანეთი) — ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) 6:3, 6:4; **ნატალი ტოზია** (9, საფრანგეთი) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — ელენა დოკიჩი (14, იუგოსლავია) 7:5, 6:4; **ჯენიფერ კაპრიატი** (4, აშშ) — სანდრინ ტესტიუ (15, საფრანგეთი) 6:1, 6:2; **კიმ კლაისტერსი** (7, ბელგია) — მეგან შონესი (17, აშშ) 7:6 (7:2), 7:6 (7:5); **სერენა უილიამსი** (5, აშშ) — მაგდალენა მალეევა (12, ბულგარეთი) 6:2, 6:1 |



ჯენიფერ კაპრიატი მეოთხედფინალში

# დომინატორი დეტროიტში გადავიდა

**სკოტი ბოუმენი** დეტროიტში იმისთვის როდი დარჩა, რომ პლეი ოფის პირველ რაუნდში ისევ კრახი განიცადოს. ლიგის ყველაზე პატივცემულ და სახელგანთქმულ მწვრთნელს, რომელიც კიდევ ერთ, მისთვის რიგით 29-ე სეზონს გაატარებს ლიგაში, შეუძლია ამიერიდან მშვიდად იყოს. მისი გუნდი გაისადაც თასის მთავარი მაძიებელი იქნება და ამის გარანტი თავად დომინიკ ჰაშეკია!

ეს სენსაციური გაცვლა 30 ივნისს, თავისუფალ აგენტთა ბაზრის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე განხორციელდა. ლიგის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა, დეტროიტმა, ბუფალოსგან მსოფლიოს საუკეთესო მეკარე დომინიკ ჰაშეკი შეიძინა. „ვეზინა ტროფის" ექვსგზის, ხოლო „ჰარტ ტროფის" ორგზის მფლობელ (1997, 1998) „დომინატორს" ნატვრა აუსრულდა. მას შანსი ეძლევა, სტენლის თასი მოიპოვოს და კარიერაში დაულაშქრავი ეს ერთადერთი მწვერვალიც დაიპყროს. დეტროიტი კი, რომელმაც ჰაშეკს 9 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს, თავის მხრივ, მეკარეთა პრობლემას მოაგვარებს. ახლა მასზე დიდი ბიუჯეტი ნჰლ-ში მხოლოდ რეინჯერსს აქვს. „წითელფრთიანთა" მეორე მულტიმილიონერი გოლკიპერი, კრის ოსგუდი კი, როგორც ჩანს, სულ მალე სხვა გუნდში გადავა. საკითხავი ისღა დარჩა, თუ კიდევ რამდენი ხნით გააგრძელებს ჰაშეკი თავის ბრწყინვალე კარიერას. იგი ხომ ჯერ კიდევ შარშან აპირებდა დიდ ჰოკეიდან წასვლას, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან თასის გარდა სხვა მიზანიც გამოუჩნდა — 2002 წლის ოლიმპიადა.

ცხადია, კმაყოფილია ბუფალოც. „ხმლებმა" ჰაშეკის გაცვლის ფასად ბიუჯეტიდან გასავალი შეამცირეს, თანაც დროულად მოასწრეს „დომინატორის" გაყიდვა, რადგან 1 ივლისიდან მასზე ყველანაირ უფლებას კარგავდნენ. კომპენსაციაც არ მიუღიათ ურიგო — 2002 წლის დრაფტში პირველ წრეში არჩევანის უფლება და ფორვარდი ვიაჩესლავ კოზლოვი. მართალია, ეს ჰოკეისტი წლეულს ნაკლებად გამოირჩეოდა (72 მატჩში 20 გოლი), მაგრამ იგი მრავალმხრივი მოთამაშეა და ამპლუით მარჯვენა გარემარბს ცენტრფორვარდის ფუნქციის შესრულებაც შეუძლია. გარდა ამსა, პლეიმეიკერული ნიჭიც აქვს. კოზლოვმა სწორედ ცენტრის პოზიციაზე დაიწყო თავისი კარიერა და ბუფალოც ხომ ამ ამპლუის მოთამაშეთა ნაკლებობას განიცდის.

**სამველ ლარიბიანი**



დომინიკ ჰაშეკი პლეი ოფში პიტსბურგთან მატჩის შემდეგ

## რაგბი

### ტესტ-მატჩები

ბრისბენი. 30 ივნისი

**ავსტრალია 13:29 ბრიტანელი ლომები**

ავსტრალია: ლეითემი (ბერკი 40), უოლკერი, ჰერბერტი, გრეი, როფი, ლარკემი (ფლეტლი 50), გრეგანი; სტილსი, პოლი (ფოლი 55), პანოჰო (დარვინი 60), გიფინი, ილზი (კაპ.) (ლაიონზი 65), ფინიგანი, კეფუ, სმიტი

2ლ: უოლკერი, გრეი; 1ს: უოლკერი

ბრიტანელი ლომები: პერი (ინგლისი) (ჰილშოუ 40, ინგლისი), ჯეიმსი (უელსი), ოდრისკოლი (ირლანდია), ჰენდერსონი (ირლანდია), რობინსონი (ინგლისი), უილკინსონი (ინგლისი), ჰოული (უელსი); სმიტი (შოტლანდია) (ლეონარდი 74, ინგლისი), ვუდი (ირლანდია), ვიკერი (ინგლისი), ჯონსონი (კაპ.) (ინგლისი), გრიფკოკი (ინგლისი), კორი (ინგლისი), ქუინელი (უელსი) (ჩარვისი 62, უელსი), ჰილი (ინგლისი)

4ლ: რობინსონი, ჯეიმსი, ოდრისკოლი, ქუინელი; 3გ. და 1ს: უილკინსონი

დროებითი გაძევება: კორი, ვიკერი

მსაჯი: უოტსონი (სამხრეთ აფრიკა)

ველინგტონი. 30 ივნისი

**ახალი ზელანდია 37:12 საფრანგეთი**

ახალი ზელანდია: მაკდონალდი (ჰოულეტი 76), უილსონი, უმაგა, ალატინი, ლომუ, ბრაუნი, მარშალი (კელეჰერი 72); ჰოპტი, ოლივერი (კაპ.), სომერვილი (ჰეიმანი 50), მაქსველი, ფლეიველი, ტორნი, კრიბი, რენდელი (პოლა 65)

4ლ: უილსონი, ტორნი, ლომუ, ჰოულეტი; 4გ. და 3ს: ბრაუნი

საფრანგეთი: ელორგა (ბონეტი 74), ჟანჟანი, კოზიონი, გლა, დომინისი, სკრელა (მერსერონი 72), გალტიე (კაპ.); მილუ (კრანკა 50), აზამი (იბანიესი 50), კალრიგანო (დე ვილიე 65), ნალე (ორადუ), ბრუზე, ბუილუ (შაბალი 43), ტაბაკო, მანი

4ს: სკრელა

დროებითი გაძევება: მაქსველი

მსაჯი: ლიუისი (ირლანდია)

პორტ ელიზაბეტი. 30 ივნისი

**სამხრეთ აფრიკა 60:14 იტალია**

სამხრეთ აფრიკა: 8ლ: პოლსე (2), ფან დერ ვესტჰოიზენი (2), ედრიუსი, ფერტერი, დელპორტი, მონტგომერი; 4გ: მონტგომერი (3), იანტიესი; 4ს: მონტგომერი

იტალია: 1ლ: ტრონკონი; 3ს: მაძარიოლი

მსაჯი: დიუმე (საფრანგეთი)






REUTERS

მარცხნივ ხუან გასპარია, მარჯვნივ კარლოს რექსაჩი. პირველი ესპანური „ბარსელონას" პრეზიდენტია, მეორე, გუშინდლამდე კატალონიური გუნდის მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ, დღეიდან კი „ბარსას" მთავარი მწვრთნელია. ფოტოზე კონტრაქტზე ხელისმოწერის მომენტია აღბეჭდილი. გასპარმა რექსაჩს — ძველ ბარსელონელს გუნდი ორი წლით ჩააბარა და მისთვის სასურველი ფეხბურთელების ყიდვასაც და რივალდოს არგაყიდვასაც სახალხოდ დაჰპირდა.



# კიდი კარტოფილიანმა თეფშმა გაწირა?

**ამას** წინათ „ნიუ ჯერსი ნეთსმა" და „ფინიქს სანზმა" ერთმანეთში დიდი ვაჭრობა გააჩაღეს და თუმც ოფიციალურად ხელი არაფერზე მოუწერიათ (18 ივლისამდე ლიგა კრძალავს რაგინდარა ხელშეკრულების გაფორმებას კლუბსა და მოთამაშეს შორის), სიტყვიერად ერთობ ხმაურიან გაცვლაზე შეთანხმდნენ. აწ უკვე შეიძლება ითქვას — ექსნიუჯერსელი სტივენ მარბერი მომავალი სეზონიდან „ფინიქსის" მაისურით შეეცდება, ყოველ მატჩში ოცი-ოცდახუთი ქულა მოიხვეჭოს, „ფინიქსის" ყოფილი ლიდერი ჯეისონ კიდი კი ამიერიდან ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსის" შეტევებს გაუძღვება. ნიჭი არც ერთს აკლია და ორივე ლიგის უძლიერეს გამთამაშებელთა სამეულში შედის, ასე რომ, სალაპარაკოც თითქოს არაფერია, გაცვლა მეტ-ნაკლებად თანაბარია. თუმც სხვაგვარად ფიქრობს ვაჭრობის ერთ-ერთი მონაწილე.

ჯეისონ კიდმა გაცვლის შესახებ რომ შეიტყო, ცოფები არ უყრია, მაგრამ უკმაყოფილება არ დამალა ზესაშუალო „ფინიქსიდან" ქვესაშუალო „ნიუ ჯერსიში" იძულებითი „ჩამოქვეითების" გამო. „ძალიან ნაწყენი ვარ. რატომ უნდა ვიგებდე ასეთ მნიშვნელოვან რამეს გაზეთებიდან და ტელევიზიიდან და არა კლუბის ხელმძღვანელობისგან? „ფინიქსისთვის" თავი არ დამიზოგავს, მუდამ ბოლომდე ვიხარჯებოდი — აქ ჯეისონ კიდი ცოტა დაფიქრდა და ბოლოს დასძინა — სხვა მიზეზს ვერ ვპოულობ, კლუბმა უთუოდ მოედანს გარეთ შექმნილი პრობლემების გამო გადაწყვიტა ჩემი მოშორება".

ჯეისონ კიდი ყმაწვილობაში ერთი ხულიგანი ბიჭი გახლდათ, „დალასში" თამაშის დროს პოლიციასთან არაერთხელ ჰქონია უსიამოვნება, ვთქვათ, მარიხუანას მოწევის ან მისი შენახვის გამო, მაგრამ ამ ხუთიოდ წლის წინ, როცა კიდი ფინიქსში გადაბარგდა, ქალაქის უწყინარ, მეტიც, სამაგალითო მოქალაქედ იქცა და სამართალდამცავებთანაც გაწყვიტა ურთიერთობა. მას კანონი აღარ დაურღვევია, თუ არ ჩავთვლით ცოლის გალახვას. რამდენიმე თვის წინ, უფრო ზუსტად, იანვარში, კალათბურთელმა მეუღლეს შემწვარკარტოფილიანი თეფში თავზე გადაამტვრია და ღონიერ მუშტებსაც უთავაზებდა, ქალი ოთახში რომ არ ჩაკეტილიყო და პოლიციისთვის შველა არ ეთხოვა. მაშინ კიდი შინაპატიმრობით დასაჯეს, დღეს კი კალათბურთელი „ნიუ ჯერსიში" გადასვლას სწორედ იმ შემთხვევას უკავშირებს, რომელმაც ფინიქსში სახელი ერთობ შეულახა.

„სანზის" ყოფილ ლიდერს არ ეთანხმება კლუბის მფლობელი ჯერი კოლანჯელო. მან კიდს დელიკატურად მიანიშნა, შენთან ერთად „ფინიქსმა" თავისი შესაძლებლობები ამოწურა, გაცვლის მიზეზიც ეს არის და არა შენი მოედანსგარეთ ცხოვრებაო. კიდს არაფრის გაგონება არ სურს.

ამასობაში კი, სანამ კიდი „ნიუ ჯერსიში" გადაბარგებით უკმაყოფილებას გამოთქვამს, „ფინიქსის" ბოსმა ჯერი კოლანჯელომ კიდევ ერთი ხმაურიანი გაცვლა მოაკვარახჭინა (ცხადია, სიტყვიერად). იგი „დეტროიტ პისტონზის" პრეზიდენტ ჯო დუმარსს შეუთანხმდება, რომ მის გუნდში „სანზის" მეორე მექულეს, მატჩში საშუალოდ 16,4 ქულის ჩამგდებ კლიფ რობინსონს გაუშვებს, სანაცვლოდ კი ორ სათადარიგოს — ჯონ ვოლესსა და ჯად ბიუხლერს მიიღებს. ისევე როგორც კიდ-მარბერისას, ამ გარიგებასაც 18 ივლისის შემდეგ მოეწერება ხელი.

**ირაკლი ფირაშვილი**



ჯეისონ კიდი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge